

240
1926



BULLETIN DU MUSÉE DE GÉORGIE

საქართველოს ეროვნულ
მუზეუმი

წოდება III. TOME
— 1926 —



თბილისი TIFLIS



საქართველოს მუზეუმის მოაგენტი

III





BULLETIN DU MUSÉE DE GEORGIE

Tome III

1926



TIFLIS--1927



೨೫೧೬೩೦೩೧ ಮುದ್ರಣಾಲ್ಯಾ

ಉತ್ತರಾಂಶ

ಭಾಗ III

1926



ಉತ್ತರಾಂಶ—1927

36736720
36736720
36736720

დაიბეჭდა საქართველოს მუზეუმის დრ. სამეცნიერო საბჭოს
დადგენილებით.

საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ალ. ჭანელიძე.

ბეჭდვა დაიწყო 1927 წ. მარტში, დასრულდა 1927 წ. დეკემბერში.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ. ტრესტის მე-ჩ-ე სტაბბა, კალოუბნის ქ., № 5.

ფეხვეთა № 1109. 11. II. 27 წელი. მთავლიტ. 237. დაიბეჭდა 500.

შ 0 6 2 5 ა რ ს ტ.

83.

| | |
|---|-----|
| ო ხ ე ლ ი ა ნ ი , 6. ქართული Brachyceros'ების კრანიოლოგიური გა- მოკვლევა (29 ტაბ. და 10 სურ.) | 1 |
| Зайцев, Ф. Обзор кавказских представителей трибы Brachy- nina (Coleoptera, Carabidae) | 45 |
| Tschchikwischwili, Iw. Einige Corrigenda et Addenda zu dem Satunin'schen «Systematischen Katalog der Vögel des Kaukasus» | 63 |
| ქ უ რ დ ი ა ნ ი , 6. ჩვეულებრივი ფიჭვი და მისი მუტატური ფორმები ჩვენში (2 სურ.) | 81 |
| ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე , ა ლ. მდ. ვერის ხეობა ტფილისის მიღამოებში (1 ტაბ.). | 88 |
| თ ა თ ა რ ი შ ვ ი ლ ი , კ. გოხნარის მიღამოების მოკლე პიდრო-გეოლო- გიური მიმოხილვა (1 სურ.). | 99 |
| ჩ ი დ ა ი ა , გ. პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები (2 სურ. და 1 ტაბ.). | 109 |
| Пчелина, Евг. Отчет о раскопках близ деревни Сагурамо (с 2 табл. и 10 рис.). | 129 |
| ლ ო მ ი ა , ვ. ხის კულტისათვის საქართველოში (1 სურ.). | 164 |
| მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ხ. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში (1 ტაბ.). | 179 |
| Гордеев, Д. Мг'вимская резная дверь (с 3 табл. и 3 рис.). | 195 |
| კ რ ი ტ ი კა და ბ ი ბ ლ ი მ ი გ რ ა ფ ი ა . 1. Ученые Записки Сев.-Кавказского Института Краеведения, т. 1. ი. ჩხიკვიშვილი.—2. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. вып. 45. გ. ჩიტაი.—3. Hans Pohlig, Völkerkunde und Paläthnologie, გ. ჩიტაი | 239 |
| ქ რ ი ნ ი კა . მუზეუმები: საქართ. მუზეუმი; საქ. საისტ. და საეთნ. მუზეუ- მი; საქართ. ეროვნული გალერია; საქართ. რეკოლუციის მუზეუმი; სა- ქართ. სასოფლო მეურნეობის მუზეუმი; სოციალური პიგიენის მუზეუმი; ქუთაისის საისტ. და საეთნოგრ. მუზეუმი; აჭარისტანის მუზეუმი. სამეც- ნიერო დაწესებულებები და საზოგადოებები: საქართ. გეოლოგიური ინსტიტუტი; საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორია; ცი- ნის-ძირის ბიოლოგიური სადგური; საქართ. საისტორიო და საეთნოგრა- ფიო საზოგადოება; ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება; კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტი; რესპუბლიკის ცენტრალური არქივი. სხვადასხვა | 252 |
| ნ ე კ რ ი ლ ი მ ე ბ ი | 267 |
| ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ უ ზ ე უ მ ი ს 1926 წ ლის მუშაობის ანგარიში . | 269 |

SOMMAIRE.

| | P. |
|---|-----|
| Iosselianiani, N. Kraniologische Untersuchung über den Schädelbau des georgischen Brachyceros-Rindes (mit 29 Tab. u. 10 Abb.) | 1 |
| Zaitzew, Ph. Zur Kenntnis der Brachyninen von Kaukasus-Ländern (Coleoptera, Carabidae) | 45 |
| Tschchikwischwili, Iw. Einige Corrigenda et Addenda zu dem Satunin'schen „Systematischen Katalog der Vögel des Kaukasus“ | 63 |
| Kurdiani, S. Pinus silvestris L. und seine mutative Formen an einem Flecken in Georgien (mit 2 Abb.) | 81 |
| Djanélidzé, A. La vallée de la Véra dans les environs de Tiflis (avec 1 pl.) | 88 |
| Tatarichvili, K. Matériaux pour l'hydrographie des environs de Gokhnari (avec 1 fig.) | 99 |
| Tschitaja, G. Grabsteine aus Pitarethi und Gudarechi (mit 2 Abb. u. 1 Taf.). | 109 |
| Ptchélina, Eug. Compte-rendu des fouilles archéologiques près du vill. Sagouramo (avec 2 pl. et 10 fig.). | 129 |
| Lomia, V. Sur le culte de l'arbre en Géorgie (avec 1 fig.) | 164 |
| Makalathia, S. Sur le culte de Mithra en Géorgie (avec 1 pl.) | 179 |
| Gordeev, D. Hölzerne Tür aus Mg'wime (mit 3 Taf. u. 3 Abb.) | 195 |
| Critique et Bibliographie. 1. Ученые Записки Северо-Кавказского Института Краеведения, т. 1. I. Tschchikwischwili .—2. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 45. G. Tschitaja .—3. Hans Pohlig, Völkerkunde und Paläthnologie. G. Tschitaja | 239 |
| Chronique. Musées: Musée de Géorgie; Musée historique et ethnographique de Géorgie; Galerie nationale de Géorgie; Musée de Revolution de Géorgie; Musée d'agriculture de Géorgie; Musée d'hygiène sociale; Musée d'histoire et d'éthnographie de Kouthaïs. Les institutions et les sociétés scientifiques: Institut géologique de Géorgie; Observatoire géophysique de Géorgie; Station biologique de Tsikhis-Dziri; Société d'histoire et d'éthnographie de Géorgie; Société linguistique géorgienne; Institut historique et archéologique du Caucase; Archive centrale de la République | 252 |
| Nécrologes. | 267 |
| Le Musée de Géorgie en 1926 (rapport officiel) | 269 |

დოც. ნ. იოსელიანი.

**პართული Brachyceros' გბის პრანიოლოგიური
გამოკვლევა.**

შესავალი.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ მარტო ევროპიული მასალების მიხედვით შინაური ცხოველების მოდგმისა და გვარტომობის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია; ადამიანის კულტურის დასაწყისი, მაშასადამე შინაურ ცხოველთა პირვანდელი აკვანიც, ძველ ხალხთა შორის უნდა ვიგულოთ (Hahn, Stegmann, Duerst).

იმავე დროს აზიისა და სხვა არაევროპიული ქვეყნების სათანადო მასალები ჯერჯერობით მხოლოდ ერთეული შემთხვევებით არის შესწავლილი (Duerst, C. Keller, Hilzheimer, Adametz, Iguchi).

ამიტომ ჩვენი და ჩვენი მეზობელი, აზიელი, ხალხების შინაურ ცხოველთა მასალების გადამუშავება და მათი სისტემატიური დალაგება სამეცნიერო ინტერესს მოქლებული არ უნდა იყოს, მით უფრო რომ ჩვენი შინაური ცხოველები ამ თვალსაზრისით ჯერ სრულიად გამოუკვლეველია და ესეც აზიურ მასალებთან ერთად სათანადო სამეცნიერო შეფასებას და გამოყენებას უკდის.

ის, რაც ჩვენ დღესდღეობით შინაური ცხოველების და კერძოდ ზროხების¹ მოდგმისა და წარმოშობის შესახებ ვიცით, სრულებით არ არის იმისათვის საკმარისი, რომ ჩვენი შინაური ცხოველების მოდგმის საკითხი მიახლოვებით მაინც გადაწყვეტილად ჩავთვალოთ. ამ მხრივ, დღემდის შესწავლილი მასალა არც რაოდენობისა და არც

¹⁾ „ზროხას“ მე ლათ. Bos (გერ. das Rind) ცნების შესატყვის ტერმინად გხმარობდ: „ზროხა, ზოგად სახელი არს ყოველთა ზროხათა, ზოლო მამალსა ზროხასა ეწოდების კარი და დედალსა ფური“ (საბა-სულ ჩანორ ბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1884).



კვლევა-ძების მეთოდის მიხედვით თანამედროვე მეცნაერულ თვალ-საზრისს ¹ არ აქმაყოფილებს.

შინაური ცხოველების მოდგმის საკითხების კვლევაძების ღროს, მკვლევარის დასაყრდენ მასალას უწინარეს ყოვლისა ცხოველის სხე-ულის ძვლოვანი ნაწილები შეადგენს და მათ შორის განსაკუთრებით თავის ქალა. როგორც ცნობილია, თავის ქალა, იქნება ეს ცხოველის თუ ადამიანის, შედარებით სხვა ძვლოვან მასალასთან უფრო მუდ-მივი და უცვლელია. მოელი ეს მასალა ერთის მხრივ ნამარხების და მეორეს მხრივ აწინდელი ფორმების ძვლებისაგან შესდგება. პირველის საშუალებით პირველი შინაური ცხოველების და მათი წინაპრე-ბის ნამდვილი სახეობა უნდა აღსდგეს და აწინდელ ცოცხალ ფორ-მებთან შედარებით მათი ურთიერთობისა, ნათესაობისა და ჩამომავ-ლობის საკითხები უნდა გადაწყდეს.

Cuvier ² პირველი იყო, რომელმაც ამ გზით დაიწყო მუშაობა; მაგრამ ამ დარგში მომუშავეთა შორის ყველაზე ბედნიერი და ნაყო-ფიერი L. Rütimeyer აღმოჩნდა, რომელმაც შედარებითი ოსტეო-ლოგიის საფუძვლებზე სხვათა შორის ზროხების სისტემატიკაც ჩა-მოაყალიბა. Rütimeyer'ის ეს სისტემა, მეცნიერულ ძორტექნიაში დღესაც ერთად-ერთია, თუ მხედველობაში Duerst'ის სისტემას არ მივიღებთ, რომელმაც ჯერჯერობით ფეხი ვერ მოიკიდა. ჩვენთვის კი Rütimeyer'ის სისტემა მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის სახით არის მი-საღები. ჩვენის აზრით ამ სისტემის დიდი ნაკლი ის არის, რომ ის მხო-ლოდ მორფოლოგიური ოსტეოლოგიის თვალსაზრისშე არის აგებული. შინაური ცხოველების მოდგმისა და გვარტომობის საკითხი გადაწყვე-ტილია აქ მხოლოდ ძვლების ფორმისა და კონფიგურაციის ერთიდაიგი-ვეობის ანუ სხვადასხვაობის მიხედვით; უფრო მეტიც: ამ სკოლის ზოგი-ერთი წარმომადგენელი ცალცალკე ძვლების ანუ ძვალთა მთელი ჯუფის დიმენსიების მიხედვით მსჯელობდა და ჩვენი შინაური ცხოველების მოდგმისა და ურთიერთნათესაობის საკითხს ძვლების განაზომთა მიხედვით სწყვეტდა. მაგრამ დღესდღეობით ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ არა მარტო დიმენსიების ერთიდაიგივეობა ან სხვადასხვაობა, არამედ თვით ძვლების ფორმათა რაგვარობაც (Rütimeyer) საკითხის გადასაწყვეტდა არ კმარა: გამოირკა, რომ მრავალი გარეგნული ერთგვარობა შეიძლება არა გენეტიური ერთი-

¹) K latt, B., Über den Einfluss der Gesammtgrösse auf das Schädelbild nebst Bemerkungen über Vorgeschichte der Haustiere, Leipzig 1913.

²⁾ C u v i e r, G., Recherches sur les ossements fossiles, Paris 1835.



დაიგივეობის შედეგს წარმოადგენდეს, არამედ ის ერთგვარი საარსო პირობებით ან სხვა ფაქტორებით გამოწვეული ერთსახეობის ფაქტი იყოს (კონვერგენცის მოვლენები). ან შესაძლებელია, პირიქითი მოვლენების ფაქტებთან გვქონდეს საქმე (დივერგენციის მოვლენები). ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა დღითი-დღე მდიდრდება ამგვარი ფაქტებით. მაგალითად, სწორედ ასეთი კონვერგენციის მოვლენის ფაქტად იქმნა განმარტებული (Adametz) Rütimeyer-Wilckens'ის სისტემის ზროხების Brachycephalus'ის ტიპი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დამოუკიდებელი მოდგმის ფორმად ითვლებოდა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ჯერჯერობით არც სხვა რომელიმე ფორმის მოდგმის შესახებ შეგვიძლია გადაჭრით რისამე თქმა: არ არსებობს საკმარისად დამარტინუნებელი საბუთები, რომელთა მიხედვით, მაგალითად, ჩვენ Primitigenius'ის და Brachyceros'თა ჯგუფების სხვადასხვა ჩამომავლობაზე შეგვეძლოს ლაპარაკი, მით უფრო რომ მათი ჩამომავლობითი ერთი-დაიგივეობის სასარგებლოდ ხმები დღესაც საკმაოდ ხშირად გაისმის (Nehring, Duerst, Hilzheimer). ჩვენ ცხოველის ფორმების ერთგვარობის ფაქტების მიხედვით რაიმე დასკვნის გამოტანა რომ შევძლოთ, საჭიროა თვით ამ ფორმათა წარმოშობისა და განვითარების გზებსა და მიზეზებს ვიცნობდეთ. ჩვენ უნდა შევეცადოთ ყოველი ცალკე მორფოლოგიური ნიშანი ფიზიოლოგიურ-კაუზალურადაც (Klatt) დავასაბუთოთ. მუშაობა შინაურ ცხოველთა მოდგმის შესწალის გარშემო ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია (Duerst, Anthoni, Klatt, Hilzheimer), ამიტომ კრანიოლოგიური კვლევა ჩვენი შინაური ცხოველებისა Rütimeyer'ის მიერ მოცემულს, მხოლოდ შედარებითი მორფოლოგიის მეთოდზე ვერ შეჩერდება: ამიერიდან ფენოგრენტიკის (V. Haecker) თვალსაზრისის ქვეშ თვისებათა განვითარების სრული ისტორიული (entwicklungs geschichtliche) ანალიზი, დასაბუთება და განმარტება უნდა მოხერხდეს. მხოლოდ ასეთი მუშაობით შეიძლება გენეტიური ერთიდაიგივეობის ნამდვილი სურათის აღდეგნა და ჩვენი შინაური ცხოველების ურთიერთნათესობისა და მოდგმის საკიოხების საბოლოო გადაწყვეტა.

ეს ჩვენი პატარა შრომა სწორედ ასეთი მუშაობის დაწყების ცდას წარმოადგენს. პირველად ყოვლისა აქ მოცემულია ზოგადი დიფერენციალი დიაგნოზი ქართული ზროხებისა და მათი მოდგმის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემებია წამოყენებული. Rütimeyer'ის სისტემატიკა აღებულია, როგორც ფორმათა კლასიფიკაციის (და არა გენეტიური!) სისტემა, და ამ ფორმათა შორის ჩვენი ზროხების მო-



თავსების ცდა არის გაკეთებული. ამ მხრივ მე იმ მეტად დღიული მეცნიერო ლიტებულების ფაქტის დასაბუთებას შევეცადე, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს ზროხები *Brachyceros*'თა ტიპებს ეკუთვნიან. ამის შესახებ C. Keller'ისაგან¹ გვაქვს მიღებული (1913) ლიტონი განცხადება. მის შემდეგ 1925 წელს მე ბათუმის მხარეთმცოდნების კონგრესზე შემოხვევა მქონდა, რაჭის მასალებზე დაყრდნობით საქართველოს ზროხების *Brachyceros*'ული ნიშნების უდავო საბუთები მოხსენების სახით გამომექვეყნებინა².

დღეს ამ ნაშრომის სახით რაჭის მასალებთან ერთად გადამუშავებულია აჭარის ზროხების მასალებიც იმ რაოდენობით, რომ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისზე უფრო მეტიც არის.

მასალა, რომელიც აქ გადამუშავებულია, ტფილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოველთმომშენებლობის მეცნიერების კათედრას ეკუთვნის და იმავე კათედრის მუზეუმში შემდეგის ნიშნებით ინახება:

| | |
|---------------|-----------------------------|
| № 1, ♀—რაჭის. | № 17, ♀—აჭარის ³ |
| № 2, ♀— " | № 18, ♀— " |
| № 3, ♀— " | № 19, ♀— " |
| № 4, ♀— " | № 20, ♀— " |
| № 5, ♀— " | № 23, ♀— " |
| № 6, ♀— " | № 24, ♀— " |
| № 7, ♀— " | № 25, ♀— " |
| № 8, ♀— " | № 27, ♀— " |
| № 9, ♀— " | № 32, ♀— " |
| № 16, ♀— " | № 33, ♀— " |

საანალიზოდ მხოლოდ ფური ზროხებია აღებული, რადგან დედალი ცხოველი უნივერსალური, რასიული ტიპის წარმომადგენლია, ხოლო მამალი უფრო ინდივიდუალურ თვისებებს ატარებს“ (Nathusius).

I. თავის ჩალას სახეობა.

ჯერ Rütimeyer'ის შემდეგ Wilckens'ის, Adametz'ის და ამ უკანასკნელის სკოლიდან გამოსულ მთელ რიგ სამაგალითო შრომებში

¹⁾ C. Keller, Studien über die Haustiere der Kaukasusländer, 1913.

²⁾ იხ. Второй Краеведческий Съезд черноморского побережья и Западного Кавказа, Батум 1925.

³⁾ აჭარის მასალები შეძენილია აგრ. კ. კუსიანის მიერ, რომელსაც უდრმეს მაღლობას ვსწირავ.



საუცხოოდ არის აღნიშნული ყველა ის ნიშნები, რომელიც **B. t. Primigenius** Brachyceros'თა თვისებებს ქმნის და რომლითაც ეს ფორმა მეორე ძირითად B. t. Primigenius'ის ფორმებიდან განსხვავდება. ქართული ზროხების აქ შესწავლილ მასალასაც, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ყველა ეს ნიშნები ტიპიურად ახასიათებს. მეც ჩვენი მასალის შესწავლას ამ ნიშნების ზოგადი მიმოხილვით ვიწყებ.



სურ. 1:

1. კეფა (იხ. სურათი № 1 და I-a). საანალიზოდ აღებული თავისი ყველა ქალა, კეფის ნაწილში, ბრახიცეროსული ნიშნების თვალსაზრისით მეტად ტიპიურია: ის შუბლის ძვალის სრულს ვერტიკალს წარმოადგენს და ამიტომ ამ ორი ძვალის შეხვედრის ხაზზე წამომდგარი კუთხე 90° -ზე მცირე არ არის. როგორც ვიცით, ეს ბრახიცეროსთა ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია (Adametz). კეფა, საკუთარ განთან შედარებით, უფრო მაღალია, რაც მას პრიმიგენიუსის ფორმებისაგან ასე ასხვავებს (Rütimeyer, Adametz); საკუთრივ კეფის ნაწილი, საფეხქელის ნაჭდევთა ქვევით, ოვალი ფორმის კი არ არის, როგორც ეს უფრო ფრინჯობულის ტიპის დამახასიათებელია (Rütimeyer), არამედ ტიპიურად ბრახიცეროსულია და



ვიწროზე გადაჭრილ თანასწორკუთხიან სამკუთხედს ემსგავს უფრო მატებული რამ ყველაზე ტიპიურსა და იშვიათად წმინდად შენახულ ბრახიცე-როსულ ნიშანს კეფის ის ნაწილი ატარებს, რომელიც საკუთრივ კე-ფის სახურავს წარმოადგენს: შუბლის ბორცვი (Stirnwulst). ეს ნა-წილი კეფის მხარეზე მეტად დაბალია და სუსტად არის განვითა-რებული; ის მხოლოდ რამოდენიმე mm'ით სცილდება კეფის ზედა-პირს და ამით ბრახიცეროსთა თვისება აქაც ზედმიწევნით დაცულია; ამ ბორცვის შუაკეფის ნაწილი საკმარისად ვიწროა, ლრმად ამოჭ-რილია და წინწამოწეულ სამკუთხედს ემსგავსება ზედმიწევნით. ბრახიცეროსთა ეს ტიპიურობა თავის ღროზე Rütimeyer'მა აღნიშნა და ალექსირის ზრობის თავის ერთი ქალას სურათის სახით ამ ნიშნის კლასიკური ნიმუში მოგვცა¹. ჩვენი მასალის ნიმუშები (სურ. № 1



სურ. 2.

და I-a), როგორც სურათიდან ნათლად სიჩნის, ალექირის ნიმუშს ტიპიურობით არ ჩამოუვარდება. ყველა საანალიზოდ აღებული მა-სალის დასახასიათებლად უნდა აღინიშნოს, რომ თხემის და თხემშუა-ძელების შეზრდილი ნაწილი შუბლის ძვალის ზედაპირზე საკმარი-დ მოზრდილ სამკუთხედად არის შეკრილი (იხ. სურ. № 2). ამრიგად, ყველა ზემოთ დასახელებული ნიშნების მიხედვით, ჩვენი მასალის კე-ფის ნაწილი ტიპიურად ბრახიცეროსულია.

2. ხარქო მორჩები (სურათი I-a, II-a,b, III-a,b) ეს მორჩე-ბი ქართულ ზროხებს საერთოდ მეტად სუსტად აქვთ განვითარე-ბული. მორჩი უშუალოდ შუბლის კუთხის უკანა არედან გამოდის და, რაღაც მორჩის ფუძის მიღამოში შუბლის ძვალი პატარ-პატარა, ღარებითა და ხორკილებით (იხ. სურ. № 1), არის დაფარული,

¹⁾ Rütimeyer, L., Über Art u. Rasse des zahmen europäischen Rindes: Archiv f. Anthropologie, 2. H. Braunschweig 1866, გვ.236., სურ. № 57.



შუბლის ძეალსა და მორჩის შორს აშკარა საზღვრის გატარებულება უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელი ხდება. სარქო მორჩი დაზღვულ დასვრეტილი და ფორმებიანი ძელის შთაბეჭდილებას სტოვებს. ასე რომ Rütimeyer'ის დახასიათება ბრახიცეროსთა სარქო მორჩებისა („d. wormstichigen Holz ähnlich ist“) ჩვენი მასალისათვის ზედგამოჭრილი შედარება იქნებოდა. მორჩების მიმართულება უმეტეს შემთხვევაში ტიპიურად ბრახიცეროსულია: ისინი ჯერ ცოტათი უკან მიღიან, შემდეგ ზევითები იხრებიან და ბოლოს ნახევარრკალად ზევიდან წინისკენ იღუნებიან. ამ ნიშნის მიხედვითაც ჩვენ ჩვენი მასალის სახით ტიპიურ ბრახიცეროსებთან გვაქვს საქმე.

3. რქები. ქართული ზროხის რქების მოყვანილობა დაახლოებით იგივეა, რაც მათი სარქო მორჩისა. უმეტეს შემთხვევაში ჩვენი მასალის ყველა წარმომადგენელს მეტად სუსტად განვითარებული რქები ჰქონდათ. რქას უფრო ხშირად შავი წვეტი, რუხი ან მოყითალო ტანი და შავი რგოლები იქნება. იშვიათად ყვითელწვეტიან რქებსაც შეხვდებით.

4. შუბლი. შუბლის შესწავლის გაადგილების მიზნით, შეიძლება ის სამ ძმნად გაყვით (Staffe, Adametz) და მათი დახასიათება ცალცალკე ვაწარმოოთ (სურათი II-a,b). პირველ ძმნაში შუბლის ის ნაწილი მოექცევა, რომელიც შუბლის ვიწრო სიგანის ზევით არის მოქცეული; მეორე ნაკვეთი შუბლის ვიწრო სიგანისა და თვალბუდის ქვედა ტანგენტის შუა მოჰყება. მესამე ნაკერს შეადგენს შუბლის დანარჩენი ნაწილი: თვალბუდის ქვედა ტანგენტიდან მოყოლებული ცხვირის ძვალთა ფუძემდის.

პირველ ძმნაში უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს შუბლის ძვალთა ნაკერის შემაღლება. ეს შემაღლება ზოგჯერ მეორე ძმნიდან იწყება და თხემისაკენ თან-და-თანობით მაღლდება, უფრო-და-უფრო ფართო ხდება და ბრახიცეროსთა იმ უეპველ ნიშანს ჰქმნის, რომელსაც შუბლის ბორცვი ეწოდება და რომელიც ჩვენს მასალაზე არც ერთ ქალას არ აკლია. შუბლის მეორე ძმნაში პირველად ყოვლისა ე.წ. ილირიული ანუ ბრახიცეროსული შემაღლება (Illyrische od. Brachycerosbeule) უნდა აღინიშნოს. ეს ნიშანი ჩვენი მასალის ყოველ ცალკე წარმომადგენელს კარგად აქვს განვითარებული. უმეტეს შემთხვევაში შუბლის პირველი ძმნის ქვედა და მეორე ძმნის ზედა ნაკვეთში, შუბლის ნაკერის მარჯვივ და მარცხნივ, შუბლის ორი პატარა ფოსო (Stirndelle) მდებარეობს. ესენი ზოგჯერ შუბლის მესამე ძმნაში შუბლის ნაკერზე მოთავსებულ მთავარ ფოსოსთან არიან პატარა ღარებით შეერთებული (იხ. სუ-



რათი II-ა). მეორე ძონაშივე იწყება ბრახიცეროსთათვის უფრო მატერიალური (Adametz) თვალბუდის ზედა ღარები. ეს ღარი უმეტეს შემთხვევაში შუბლის ვიწრო სიგანის ქვევით იწყება და შუბლურემლის ძვალთა ნაკერამდის ვრცელდება.

ყველა ამ ნიშნების მიხედვით ჩვენი მასალა უეჭველად ბრახიცეროსთა შუბლის ყველა ტიპიურობის მატარებელია.

5. **წარბზედა რკალები.** ყველა ქალას წარბზედა რკალები გაცილებით უფრო მაღალი აქვს, ვიდრე შუბლის ფიცარია (იხ. სურათი I-ს) და ამით ეს ნიშანი კიდევ უფრო ხელს უწყობს იმ უსწორმასწორობას, რომელიც ბრახიცეროსთა შუბლის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად ითვლება (Rütimeyer, Wilckens, Adametz, Hilzheimer, Staffe, Kühnemann).

6. **შუბლის მთავარი ფოსო წარბზედა რკალების შუა მეორე ძონის ბოლო ნაკვეთში და მესამე ძონის თითქმის მთელ სიგრძეზე არის მოთავსებული (იხ. სურათი II-ა). ეს მთავარი ფოსო არც ერთ ჩვენ მიერ განხილულ თავის ქალას არ აკლია. თავისთავად ცხადია, რომ მისი სიდიდე მეტად ცვალებადია.**

7. **ცხვირის ძვალი ჩვენი ზროხების მასალებისა ტიპიურად ბრახიცეროსულია:** ცხვირის ორთავე ძვალი თანაბრად განვითარებულია და შედარებით ვიწროა. ძვლები მჭიდროდ შეერთებული არ არიან, და ამიტომაც მათ შორის ვიწრო და ღრმა ღალის. ცხვირის ძვლები ფუძეში ვიწროდ იწყებიან და თავისი სიგრძის ზედა მესამედში უცბად აღწევენ უდიდეს სიფართეს. აქედან მოყოლებული ისევ ვიწროვდებიან უცბად და შემდეგ თითქმის თანაბრის სიგანით თავდებიან. (სურ. II-a, b).


8. **ყბათაშუა ძვალი.** ამ ძვალს უმეტეს შემთხვევაში ცხვირის ძვალთან შეხვედრა არა აქვს და ზოგჯერ მათ შორის დიდი მანძილიც რჩება (იხ. სურათი III-a, b.) ამ შემთხვევაშიაც ტიპიურად ბრახიცეროსულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

9. **თვალბუდა** საქმარისად მოზრდილია, შესამჩნევად ამოწეულია და უფრო ოთხკუთხედია, ვიდრე რგვალი (იხ. სურათი III-a, b.). Zygomaticum'ის Proc. frontalis და Frontale'ს Proc. zygomaticum ერთმანერთთან დაკავშირებული კი არიან. მაგრამ მტკიცე ნაკერით შეკრული არ არიან. ეს ერთგვარი ახალგაზრდული ნიშანია საერთოდ და იმავე დროს ბრახიცეროსთა ტიპიურ თვისებას უნდა წარმოადგენდეს (Adametz, Kühnemann, Hilzheimer).

10. **შუბლის, ცხვირის და ცრემლის ძვლების შეხვედრის ადგილას ყოველთვის საქმარისად დიდი მანძილია დარჩენილი (იხ**



სურ. № 3). აქ ეს ძვლები ერთმანეროს ვერ სწვდებიან და ტიპიურად ამ ბრახიცეროსულ ნიშანს იძლევიან.



სურ. 3.

11. საფეთქელის ფოსო. როგორც Adametz ის მიერ აღნიშნული იყო, საფეთქელის ფოსოს სიღრმე-სიგანის შეფარდება ბრახიცეროსთათვის მეტად დამახასიათებელია: აქ ეს ფოსო საკმარისად განიერია, მაგრამ ღრმა კი არსოდეს არ არის. ამ თვალსაზრისით ჩვენი საანალიზო მასალა მეტად ტიპიურია (იხ. სურათი I-b, III-a,b).

12. ქვედა ყბა. ქართული ძროხების ქვედა ყბა უაღრესად ბრახიცეროსულია: მისი Ramus ascendens ქვედაყბის სხეულთან სწორკუთხედად არის დაკავშირებული (იხ. სურათი III-b); Proc. coronoideus მოქლეა, მაგრამ სწორად ამართულია და ამიტომ მისი წვერიდან წამოსული შვეული სასახსრე მორჩის ფასეტის არეს არ სცილდება.

13. კბილები ჩვენი ძროხებისა, ისე როგორც ყველა ბრახიცეროსთა კბილები, მარტივად არის ნაგები: როგორც დენტინის, აგრეთვე კბილის დანარჩენი ნაწილების კონტურები მეტად საღაა, რადგან სუსტი ნაკეცებისაგან შესდგებიან.

ყველა ზემოთ ნათქვამის მიხედვით ცხადი უნდა იყვეს, რომ ჩვენი ზროხების მასალა უდაოდ ჰედმიწევნით წმინდა B. t. Brachyceros Rüt. მოდგმას ეკუთვნის.

ეხლა-კი საჭიროა განაზომებს მიუბრუნდეთ და ზოგიერთი შემდეგი დასკვნები მათი საშუალებით გავაკეთოთ.



II. თავის ჩალას განაზღვები.

ჯიშისა და ჯიშურ თვისებათა ღიაგნოსტიკის მიზნით ხშირად განაზომების მეთოდს მიმართავენ. ზომავენ არა მარტო ცხოველის ძვლებს, არამედ თვით ცოცხალ საქონელსაც. რა თქმა უნდა, ცოცხალი საქონლის გაზომვის ღროსაც განაზომების საფუძვლებს, რამდენადაც ეს შესძლებელია, იგივე ანატომიური წერტილები შეადგენენ.

ცოცხალი საქონლის განაზომებით შეფასების მეთოდი საფრანგეთიდან მომდინარეობს. ხოლო ზროხებისათვის მან განსაკუთრებულ განვითარებას Lidtink ის და Werner ის შრომების სახით მიაღწია გერმანიაში. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის იმედები, რომელთაც ამ მეთოდზე ამყარებდენ მისი შემოღების პირველ ხანებში, ნაწილობრივადაც არ გამართლდა და დღესდღეობით მისი ღირებულების საუკეთესო შეფასება, თანამედროვე სამეცნიერო კრიტიკის თვალსაზრისით, პირველად ყოვლისა იმავე გერმანული სკოლიდან გვაქვს მოცემული: „რადგან საზომი ჯონის მოხმარება ადამიანმა შეიძლება სულ რამოდენიმე საათში შეისწავლოს, ამიტომ ეს ჯონი ძალიან უყვართ იმათ, რომელთაც ან დრო არა აქვთ ან-და უნარი აქლიათ ყოველნაირი გარემოების გამოყენება-შეფასება ისწავლონ: ასეთი შზომელები, მეტი რომ არ ვთქვათ, ისეთსაც საფრთხეს წარმოადგენ, როგორც „შეცდომათა დამნახველნი“, ვინაიდან ისინი, როგორც ეს უკანასკნელნი, დიდი წარმატების პირბადით არიან შემოსილი და მათ მხოლოდ უვარგისი სამუშაოს შესრულება თუ შეუძლიათ. მაგრამ, საბედნიეროდ ასეთი ხალხის დრომ უკვე განვლო. გაზომვა მოდიდან გადავარდა და სულ ახლო მომავალში მას მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით თუ განიხილავენ“¹⁾.

ინგლისი და სხვა არაგერმანული ქვეყნები განაზომთა მეთოდით გატაცებული თავის დღეში არ ყოფილია. გამონაკლისს რუსეთი შეადგენდა, მაგრამ რუსეთშიაც დღეს განაზომებით გატაცება მხოლოდ „ისტორიულ ფაქტად ითვლება“²⁾.

ამრიგად, თუ ცოცხალი საქონლის განაზომები ჯიშის გამოკ-

¹⁾ Detweiler u. Müller, Lehrbuch d. Schweinezucht, Berlin 1924, გვ. 147.

²⁾ Кулешов, П. Н., Выбор лошадей, скота, овец и свиней по экстерьеру, Москва 1926 გვ. 29 და 30.

ვლევისა და დიაგნოსტიკის მიზნებისათვის. სრულიად გამოყენებული რი აღმოჩნდა და მათი დახმარებით ჯიშის თვისებების და ოაგვარობის ამოკითხვა აბსოლუტურად შეუძლებელი გახდა, მოსალოდნელი იყო, რომ ჩონჩხის ძვლების განაზომები მოგვცემდა სასურველ შედეგებს. მაგრამ აქაც იგივე სურათი გადაიშალა: ძვლების „ჩამოყალიბება ციფრებში“ იმდენადვე ნაკლებად მეტყველი აღმოჩნდა, რამდენადაც თვით ცოცხალი საჭონლის განაზომების ციფრები. აქაც ჯიშური თვისებების საზღვრების დადება ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა¹.

ძვლების განაზომთა შორის თავის ქალის განაზომებს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. თავის ქალა, რომელიც უეჭველად უფრო მკვიდრია ვიდრე სხეულის სხვა ძვლები, დიაგნოსტიკის საკითხების გადაწყვეტის დროს სხვა ძვლებზე უფრო საიმედოა თავისი განაზომების მხრივ. მაგრამ დიდ ლირებულებას ჩვენ ვერც თავის ძვლების განაზომებს მივაკუთვნებთ. ეს ჯერ კიდევ Rütimeyer-მა აღნიშნა გარკვევით: „Immerhin tritt durch die Zahlenreihen nichts zu Tage, was nicht durch das Auge ohnehin erkannt worden wäre².“

ხოლო დღეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ორი სხვადასხვა აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ თავის ქალის სახეობა (Gepräge) და ძვლების ფორმები წარმოადგენს გარდამწყვეტ დიაგნოსტურ მომენტს და არა განაზომთა ციფრები (Adametz).

ყველა ამ მოსაზრებებით ჩვენი მასალის განაზომთა დანიშნულებაც გარკვეულად შემოფარგლულია: განაზომს ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლია დაგვიდასტუროს ის, რაც უკვე ქალის მორფოლოგიაში აღნიშნული იყო, და მეორეს მხრივ მოგვიძებნოს ის ადგილი, რომელიც ქართულ ბრახიცეროსებს დიმენსიონალურად სხვა ბრახიცეროსთა მოდგმებს შორის უჭირავთ: არც მეტი და არც ნაკლები. ამ მიზნით მე შევეცდები ქართული ბრახიცეროსები ჯერ ნამარხების ბრახიცეროსთა მასალას და შემდეგ ბრახიცეროსთა აწინდელ მოდგმებს შევადარო.

ა) ქართული ბრახიცეროსების ზედარება ტორნის ჯროვების.

აქ მე ტორნის ზროხის (Torfrind) სახელწოდებას, ისე როგორც თვით Rütimeyer-ი, ტორნის ფენების განახტრებში ნაპოვნ პრეის-

¹⁾ Iosseiani, N., Vergleichende Untersuchungen über die Skelettbildung einiger europäischen Bovidensassen, Halle a. d. S. 1923.

²⁾ Rütimeyer, L., Über Art und Rasse des zahmen europäischen Rindes: Archiv f. Anthropologie, 2. H., Braunschweig 1886, gg. 249.



ტორიული მასალებისათვის ვებმარობ. ჩვენი უახლოესი მიზანი მასალების ზევადაროთ და მათ შორის ჩვენი ბრახიცეროსების ადგილი ვიპოვოთ.

ტორფის ზროხების მასალები ჯერჯერობით მხოლოდ ევროპის ქვეყნებიდან არის შესწავლილი. ამ მასალის სისტემატიური დალაგება და მთლიანი გამოყენება Kühnemann'მა სცადა¹⁾.

Kühnemann'ი ყველა, დღემდის ცნობილ ტორფის ზროხის მასალების ანალიზის შემდეგ ტორფის ზროხებს ასეთს მთავარ მოდგმებად ჰყოფს:

- a. B. longifrons typicus (N.O.=ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფორმა).
- b. B. longifrons brachyceros (Z.E.=ცენტრალ ევროპის ფორმები).
- c. B. longifrons depresicornis (Sl.=სლავონურ მოსახლ. ფორმები).

ამას გარდა მას კიდევ სამი ფორმა აქვს ცალკე გამოყოფილი:

- a. ირლანდიის ტორფის ზროხები (N.W.=ჩრდილ. დასავ. ფორმები).
- b. B. europeus Adametz (Eur.=ევროპიული ზროხის გარეული ფორმა).
- c. სამხრეთ-დასავლეთი ევროპის ტორფის ზროხები (S.W.=სამხრეთ-დასავლეთი ევროპის ფორმა).

Kühnemann'ის ამ სისტემას ჩვენ ვღებულობთ, როგორც სამუშაო პიპოთებს, რადგან სისტემის დასამყარებლად საჭირო დასაბუთებას ის ჯერჯერობით ჩვენის აზრით სავსებით მოკლებულია. ამ საკითხს ახლო მომავალში სპეციალი შრომის სახით ვფიქრობ დაუბრუნდე. ეხლა კი დავიწყებ ტორფის ზროხების შედარებას ჩვენს ბრახიცეროსებთან.

Kühnemann'ის მასალიდან მე S.W.-ფორმა გამოვტოვე, რაღაც ეს მასალა მხოლოდ რამდენიმე განაზომით იყო წარმოდგენილი. Eur.-ფორმას მიემატა Adametz'ის მიერ გამოქვეყნებული Pomiatkowo'ს ახალი მასალა²⁾. ამ რიგად მიღებული მასალა შემდეგ დალაგებას მოგვცემს:

¹⁾ Kühnemann, A., Versuch einer Monographie des Albanischen Zwergrindes: Archiv f. Naturgeschichte, Abt. A, 11. H., Berlin 1922.

²⁾ Adametz, L., Kraniologische Untersuchungen des Wildrindes von Pomiatkowo, Wien 1925.

ခုက္ခနာရွှေ

| ပိုစိတ် အများ | ဘဏ္ဍာနီမြတ်စာ ဇာတ်ဆောင်ရွက်ခဲ့သူ | ခုက္ခနာရွှေ | | | | | | | | |
|------------------|--|-------------|-------|--------|-------|-------|--------------|-------|-------|-------|
| | | cm | | | | | | | | |
| | | N.O. | N.W. | B.Eur. | SL. | Z.E. | ပုံး ပေါ် | Max. | Min. | Diff. |
| 1 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ စိန္တရာ့ | 41.60 | 44.91 | 48.10 | 40.20 | 42.42 | 43.45 | 48.10 | 40.20 | 7.90 |
| 2 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ စိန္တရာ့ | 19.70 | 23.58 | 20.60 | 18.00 | 18.50 | 20.07 | 23.58 | 18.00 | 5.58 |
| 3 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ စိန္တရာ့ | 21.90 | 20.33 | 26.60 | 21.50 | 22.54 | 22.57 | 26.60 | 20.33 | 6.27 |
| 4 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ မဖြတ်ရ စိန္တရာ့ | 12.90 | 14.30 | 14.90 | 13.60 | 14.11 | 13.96 | 14.90 | 12.90 | 2.00 |
| 5 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ ဖြတ်ရ စိန္တရာ့ | 17.00 | 19.86 | 19.35 | 16.15 | 16.96 | 17.86 | 19.86 | 16.15 | 3.71 |
| 6 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ စိန္တရာ့ | 12.40 | 15.00 | 14.30 | 12.75 | 11.70 | 13.23 | 15.00 | 11.70 | 3.30 |
| 7 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ ဖြတ်ရ စိန္တရာ့ | 13.40 | 14.92 | 14.10 | 13.60 | 12.62 | 13.73 | 14.92 | 12.62 | 2.30 |
| 8 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ မဖြတ်ရ စိန္တရာ့ | 9.30 | 11.68 | 12.05 | 10.25 | 11.49 | 10.95 | 12.05 | 9.30 | 2.75 |
| 9 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ ဖြတ်ရ စိန္တရာ့ | 16.00 | 19.47 | 19.60 | 16.60 | 18.55 | 18.04 | 19.60 | 16.00 | 3.60 |
| 10 | မာန်လှုပ်စာ မာန်လှုပ်စာ | 11.70 | 15.61 | 12.15 | 11.70 | 13.25 | 12.88 | 15.61 | 11.70 | 3.91 |
| 11 | ပုံးပေါ်လှုပ်စာ ပုံးပေါ်လှုပ်စာ စိန္တရာ့ | 12.40 | 11.83 | 13.30 | — | 11.43 | 12.24 | 13.30 | 11.43 | 1.87 |

ပုံးပေါ်လှုပ်စာ Brachyceros ပုံးပေါ်လှုပ်စာ ပုံးပေါ်လှုပ်စာ ပုံးပေါ်လှုပ်စာ



ამ ტაბულაში მოყვანილ სხვადასხვა ტორფის ზროხების განაზომებას შევადაროთ ქართული ბრახიცეროსების იგივე განაზომები (იხ. ტაბ. A). შედარება ვაწარმოოთ ყოველი ცალკე განაზომების ფარგლებში და სხვადასხვა ფორმები სიღიღის მიხედვით დავალავოთ. ასეთი შედარება შემდეგ დალაგებას მოგვცემს:

ტაბ. № 2.

| კოდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | საშუალო |
|-------|-------|-------|-------|-------|------|-------|-------|-------|------|-------|-------|---------|
| Eur. | N.W. | Eur. | N.W. | N.W. | N.W. | N.W. | Eur. | Eur. | N.W. | Eur. | N.W. | |
| Z.E. | Eur. | Z.E. | Z.E. | Eur. | Eur. | Eur. | N.W. | N.W. | Z.E. | N.O. | Eur. | |
| N.O. | Z.E. | N.O. | Eur. | N.W. | Sl. | Sl. | Z.E. | Z.E. | Eur. | N.W. | Z.E. | |
| Sl. | Sl. | ქართ. | ქართ. | ქართ. | N.O. | Z.E. | N.O. | N.O. | Sl. | Sl. | Z.E. | Sl. |
| ქართ. | ქართ. | N.W. | N.O. | Sl. | Z.E. | ქართ. | ქართ. | ქართ. | N.O. | ქართ. | ქართ. | |

როგორც ეს უკანასკნელი ტაბულა გვიჩვენებს, ყველა ტორფის ზროხათა შორის, 1., 2., 7., 8., 9. და 11. განაზომის მიხედვით, ქართულ ბრახიცეროსებს უკანასკნელი ადგილი უჭირავთ, 3., 4. და 5. განაზომების მიხედვით — მეხუთე, ხოლო 6. და 7. განაზომების მიხედვით მეოთხე ადგილი. საერთოდ კი ტორფის ზროხებთან შედარებით ქართული ზროხა აბსოლუტურად პატარა აღმოჩნდა.

ტორფისა და ქართული ზროხების განაზომები გამოესახოთ ეხლა რელატივ ციფრებში და შედარება მათ რელატივ ლირებულებათა შორის ვაწარმოოთ. ამ მიზნით ძირითად განაზომად პროფილის სიგრძე ავილოთ და ამ განაზომის უდიდეს ლირებულებასთან შედარებით გამოვიანგარიშოთ დანარჩენი ციფრები (Kühnemann). ტორფის ზროხებისათვის შემდეგ დალაგებას მივიღებთ:

ტორფის ზროხები

R e l.

| ცვლილების ჯგუფი | განაზომთა დასახელება | ტორფის ზროხები | | | | | | | | |
|--------------------|--|----------------|-------|------------|-------|-------|---------|-------|-------|-------|
| | | N. O. | N.W. | B. Eur. | SL. | Z.E. | საშუალო | Max. | Min. | Diff. |
| 1 | პროფილის სიგრძე | 48.10 | 48.10 | 48.10 | 48.10 | 48.10 | 48.10 | — | — | — |
| 2 | შუბლის სიგრძე | 21.90 | 25.25 | 21.60 | 21.58 | 20.95 | 22.25 | 25.25 | 20.95 | 4.30 |
| 3 | სახის სიგრძე | 25.30 | 21.77 | 26.60 | 25.72 | 25.55 | 24.98 | 21.60 | 21.77 | 4.83 |
| 4 | შუბლის მცირე სიგანე | 14.91 | 15.31 | 15.30 | 13.78 | 16.00 | 15.06 | 16.00 | 13.78 | 2.22 |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე | 19.65 | 21.27 | 20.50 | 19.32 | 19.23 | 19.99 | 21.27 | 19.23 | 2.04 |
| 6 | ყბის სიგანე | 14.33 | 16.06 | 14.30 | 15.25 | 13.26 | 14.64 | 16.06 | 13.26 | 2.80 |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე | 15.50 | 15.98 | 15.00 | 13.78 | 14.30 | 14.91 | 15.98 | 13.78 | 2.20 |
| 8 | კეფის მცირე სიგანე | 10.75 | 12.51 | 12.10 | 12.26 | 13.00 | 12.16 | 13.00 | 10.75 | 2.25 |
| 9 | კეფის დიდი სიგანე | 18.50 | 20.56 | 19.60 | 17.37 | 21.05 | 19.25 | 21.05 | 17.37 | 3.68 |
| 10 | რქათაშუა მანძილი | 13.50 | 16.72 | 12.70 | 13.99 | 15.02 | 14.38 | 16.72 | 12.70 | 4.02 |
| 11 | შედაყბის საკბილე მორჩის სიგრძე | 14.33 | 12.67 | 13.30 | — | 12.96 | 13.31 | 14.33 | 12.67 | 1.64 |

Brachyceros ების კანიკლებ. გამოყენება.



ქართული ზროხის იმავე განაზომების რელატივული ფორმების
იქნება:

ტაბ. № 4.

| განაზომი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|----------|------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| cm | 48.4 | 21.92 | 26.25 | 16.16 | 20.89 | 15.34 | 15.02 | 10.60 | 19.45 | 14.59 | 13.93 |

თუ ეხლა ჩვენ ქართულ ბრახიცეროსთა განაზომების ამ რელატივული ციფრებს (ტაბ. 4) ტორფის ზროხების იმავე განაზომთა რელატივული ციფრებს (ტაბ. 3) შევადარებთ და ყოველი ცალკე განაზომის ფარგლებში სხვადასხვა ფორმებს დიდი ციფრის თანდათანობით დავალაგებთ, შემდეგ ტაბულას მივიღებთ:

ტაბ. № 5.

| ზ. | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|----|----|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| 1 | — | N.W. | Eur. | ქართ. | N.W. | N.W. | N.W. | Z.E. | Z.E. | N.W. | N.O. |
| 2 | — | ქართ. | ქართ. | Z.E. | ქართ. | ქართ. | N.O. | N.W. | N.W. | Z.E. | Eur. |
| 3 | -- | N.O. | Sl. | N.W. | Eur. | Sl. | ქართ. | Sl. | Eur. | ქართ. | ქართ. |
| 4 | — | Eur. | Z.E. | Eur. | N.O. | N.O. | Eur. | Eur. | ქართ. | Sl. | Z.E. |
| 5 | — | Sl. | N.O. | N.O. | Sl. | Eur. | Z.E. | N.O. | N.O. | N.O. | N.W. |
| 6 | -- | Z.E. | N.W. | Sl. | Z.E. | Z.E. | Sl. | ქართ. | Sl. | Eur. | — |

როგორც ამ ტაბულიდან სჩანს, N.W.-ფორმის შემდეგ ყველაზე განიერი და გრძელი შუბლი (განაზომები 1., 4. და 5.) შესადარებლად აღებულ ფორმათა შორის ქართულ ბრახიცეროსებს ჰქონია. იმავე დროს Eur.-ფორმის შემდეგ შედარებით ყველაზე გრძელი სახე (განაზომი 3.) და იგივე N.W.-ფორმის შემდეგ შედარებით ყველაზე განიერი ყბა (განაზ. 6) ქართულ ბრახიცეროსებს



აღმოაჩნდათ. კეფის სიმაღლის მიხედვით ქართულ ზროხებს აღმოაჩნდათ შორის მესამე ადგილი უჭირავთ, კეფის მცირე სიგანის მიხედვით უკანასკნელი, ხოლო კეფის დიდი სიგანის მიხედვით მეოთხე ადგილი. რქათაშუა მანძილი N.W. და Z.E.-ფორმებს ქართულ ბრახიცეროსებზე შედარებით დიდი აღმოაჩნდათ. ზედაყბის საკბილო მორჩი N.O. და Eur.-ფორმებს შედარებით უფრო დიდი აღმოაჩნდათ, ვიდრე ქართულ საქონელს აქვს.

რომ ჩვენი შედარების დასკვნები უფრო საფუძვლიანი იყოს, საჭიროა საბოლოო დასკვნები ცალცალკე ფორმებთან შედარების მიხედვით კი არ გამოვიტანოთ, არამედ საერთოდ ყველა ტორფის ზროხების განაზომთა საშუალო ციფრების შედარებით ქართულ ბრახიცეროსთა განაზომების საშუალოსთან. ასეთი შედარება შემდეგ დალაგებას მოვცემს:

ტ ა ბ. № 6.

| ნო დე ნო | განაზომების დასახელება | cm | | | | Rel. | | | |
|----------------|--|---------|----------------|-------|-------|---------|----------------|-------|-------|
| | | საშუალო | | Diff. | | საშუალო | | Diff. | |
| | | ტორფ. | ქართ. ზროხა | ქართ. | ზროხა | ტორფ. | ქართ. ზროხა | ქართ. | ზროხა |
| 1 | პროფილის სიგრძე . . . | 43.45 | 39.00 | — | 4.45 | 48.10 | 48.10 | — | — |
| 2 | შუბლის სიგრძე . . . | 20.07 | 17.77 | — | 2.30 | 22.25 | 21.92 | — | 0.33 |
| 3 | სახის სიგრძე | 22.57 | 21.29 | — | 1.28 | 24.98 | 26.25 | 1.27 | — |
| 4 | შუბლის მცირე სიგანე . | 13.96 | 13.11 | — | 0.85 | 15.06 | 16.16 | 1.10 | — |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე . | 17.86 | 16.94 | — | 0.92 | 19.99 | 20.89 | 0.90 | — |
| 6 | კეფის სიგანე | 13.23 | 12.44 | — | 0.79 | 14.64 | 15.34 | 0.70 | — |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე . | 13.73 | 12.18 | — | 1.55 | 14.91 | 15.02 | 0.11 | — |
| 8 | კეფის მცირე სიგანე . . | 10.35 | 8.60 | — | 2.35 | 12.16 | 10.60 | — | 1.56 |
| 9 | კეფის დადი სიგანე . . . | 18.04 | 15.77 | — | 2.27 | 19.25 | 19.45 | 0.20 | — |
| 10 | რქათაშუა მანძილი . . . | 12.88 | 11.83 | — | 1.05 | 14.38 | 14.59 | 0.21 | — |
| 11 | შედა ყბის საკბილე მო- რჩი | 12.24 | 11.30 | — | 1.94 | 13.31 | 13.93 | 0.62 | — |

სურათი აქ უფრო ნათლად არის გამოხატული; ქართული ზრო
ხა აბსოლუტურად პატარაა ტორფის ფორმებთან შედარებით
საქართველოს მუზეუმის მოამბე, III



მაგრამ ქართულ ზროხებს შედარებით უფრო დიდი შემცირებულების გვიწრო კეფა და უფრო გრძელი სახე, შედარებით უფრო დიდი საკბილო მორჩი ზედაყბაში და უფრო განიერი ყბები ახასიათებს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კულტურის გავლენა შუბლის და კეფის გაღიერებას, სახისა და საკბილო მორჩის დამოკლებას და ყბის დავიწროებას იწვევს, იმ დასკვნამდის უნდა მივიღეთ, რომ ქართული ბრახიცეროსები კულტურული განვითარების თვალსაზრისით საერთოდ ტორფის ზროხის განვითარების დონეზე მაღლა არაფრით არ დგანან.

ბ) ჩართული ზროხების შედარება სხვა ძველის პრატიცეროსთა აჭიდებლ შოდგებთან ცალცალება.

ბრახიცეროსთა ჯგუფის ზროხების გავრცელების სრული სურათი ჯერჯერობით აღდგენილი არ არის; ბრახიცეროსთა მრავალი მოდგმა ჯერ კიდევ სრულიად უცნობია. ამიტომ ჩვენი შედარებაც არ შეიძლება სრული იყოს: ჩვენ შევიძლია ქართული ზროხები მხოლოდ იმ ჯგუფებს შევადაროთ, რომლებიც უკვე შესწავლილი არის და რომელთა შესახებ ცნობები ლიტერატურული მასალის სახით ჩვენთვის მისაწვდომია. ამნაირად შესწავლილი ჯგუფები დღემდის შემდეგია:

ევროპული ჯგუფები.

1. ალბანური 6 ძროხის თ. ქალა (Adametz 1898, Kühnemann 1922).
2. ბუზა 10 " " " (Franges 1902).
3. ილირიის 1 " " " (Kühnemann 1922).
4. პოლონური 5 " " " (Adametz 1893, 1901).
5. პოდგორიც. 5 " " " (Adametz 1925).
6. ალბერი 9 " " " (Kühnemann 1922).
7. დაბაუს 14 " " " (Kitt 1884, 1883).
8. ბრეტანული 14 " " " (Kleckie 1898, Lundwall 1913).
9. კერძის 16 " " " (Lundwall 1913).
10. სარდინული 1 " " " (C. Keller 1911).
11. ვოლინიდან 5 " " " (Lipinski 1912).

აფრიკული ჯგუფები.

1. ალეგირის 2 ძროხის თავის ქალა (Rütimeyer 1866; Duerst 1899).
2. ტუნისის 1 " " " (Duerst 1899).
3. ტოგო 2 " " " (Breiting 1910).

აზიური ჯგუფები.

1. სირია-შესოპოტამიის 1 ძროხის თავის ქალა (Duerst 1899).

2. ჰელსპონტოდან 1 " " " (Duerst 1899).

3. აზერბაიჯანიდან 1 " " " (C. Keller, 1913).

ი. ყველა იმ ბრახიცეროსთა მოდგმები, რომლებთანაც ჩვენ ქართული ზროხების შედარება მოვალეობა, ჯერ ცალცალკე და მერე საერთოდ. შედარებას ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე ძირითადი განაზომებისა და ნიშნების მიხედვით ვაწარმოებთ. საქართველოს ზროხების განაზომების სრულს ტაბულას კი, როგორც მასალას, აქვე ვაკეყნებთ (იხ. ტაბ. A და B).

1) ქართული ზროხების შედარება ალბანეთის ბრახიცეროსებთან.

ალბანეთის ბრახიცეროსები პირველად Adametz'მა (1898) აღწერა. მან მაშინ 5 ძროხის თავის ქალას გაუკეთა ანალიზი. ამას მიემატა შემდეგ Kühnemann'ის მიერ გამოქვეყნებული (1922) ერთი ძროხის თავის ქ. ამ რიგად შემდგარი მასალის შედარება ჩვენი ბრახიცეროსების განაზომებთან შემდეგ დალაგებას მოგვცემს:

ტაბ. № 7.

| I | განაზომების დასახელება | cm | | | R e l. | | |
|----|---------------------------------|--------------------------|------------------------|----------------|--------|----------------|--------|
| | | ქართ. (20-ის საშ.) | ალბ. (6 ის საშ.) | Diff. ქართ. | ალბ. | Diff. ქართ. | |
| | | | | + | - | + | - |
| 1 | პროფილის სიგრძე | 39.00 | 38.23 | 0.77 | — | 39.00 | — |
| 2 | შუბლის სიგრძე | 17.77 | 17.11 | 0.66 | — | 17.54 | 0.32 |
| 3 | სახის სიკრძე | 21.29 | 21.12 | 0.17 | — | 21.54 | — 0.25 |
| 4 | შუბლის მცირე სიგანე | 13.11 | 13.23 | — | 0.12 | 13.54 | — 0.43 |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე | 16.94 | 17.19 | — | 0.25 | 17.53 | — 0.59 |
| 6 | ყბის სიგანე | 12.44 | 11.78 | 0.66 | — | 12.01 | 0.33 |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე | 12.18 | 11.91 | 0.27 | — | 12.14 | 0.04 |
| 8 | კეფის მცირე სიმაღლე | 9.12 | 9.00 | 0.12 | — | 9.18 | — 0.6 |
| 9 | კეფის მცირე სიგანე | 8.60 | 9.45 | — | 0.85 | 9.60 | — 0.15 |
| 10 | კეფის დიდი სიგანე | 15.77 | 16.02 | — | 0.25 | 16.34 | — 0.32 |
| 11 | რქათაშუა მანძილი | 11.83 | 1.30 | 0.53 | — | 11.52 | 0.31 |
| 12 | საკბილე მორჩის სიგრძე | 11.30 | 10.41 | 0.89 | — | 10.61 | 0.69 |

როგორც ამ ტაბულიდან სჩანს, განაზომთა აბსოლუტურ ჭრა
რებულების მიხედვით საქართველოს და ალბანეთის ზრდაში შემცირდება
მანეროთისაგან თითქმის არ განსხვავდება. თუ ჩვენ მაინც მხედველო-
ბაში მივიღებთ მათ შორის არსებულ მცირე განსხვავებას, რომელიც
უშველად განაზომთა ალების შეთოდთან დაკავშირებულ შესაძლო
შეცდომების ფარგლებში მდებარეობს, უნდა ითქვას, რომ საქართვე-
ლოს ზროხის ქალას ალბანურთან შედარებით უფრო დიდი დიმენ-
სიები ახასიათებს. მაგრამ განსაკუთრებით ალსანიშნავია ის, რომ
ალბანურს შედარებით ქართულ ზროხასთან უფრო დიდი შუბლი
(განახ. № 4 და 5) და უფრო დიდი კეფა (9 და 10) აღმოაჩნდა.
ეს ცხადია არა მარტო აბსოლუტური, არამედ რელატიური ციფრე-
ბის მიხედვითაც. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შედარებით
ვიწრო შუბლი და ვიწრო კეფა მეტი პრიმიტივობის ნიშნებია (Adam-
metz, Kühnemann), უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ზროხა უფრო
პრიმიტივი ყოფილა, ვიდრე ალბანური ბრახიცეროსული ზროხები.
ესეც რომ არ იყოს და ჩვენ ის მცირე განსხვავება, რომელიც ალბა-
ნეთისა და საქართველოს ზროხებს შორის შუბლისა და კეფის გა-
ნაზომებში არსებობს, მხედველობაში არ მივიღოთ, ფაქტი მაინც ის
იქნება, რომ საქართველოს ბრახიცეროსები თავიანთი განვითარებით
ალბანეთის ზროხებზე მაღლა მაინც არ დგანან. ხოლო თვით ალბა-
ნეთის ზროხები როგორც ვიცით, უდაოდ განვითარების მეტისმე-
ტად დაბალ საფეხურზე მყოფ (Adametz) ბრახიცეროსთა მოდგმას
წარმოადგენნ, რომელიც პრეისტორიული (Pfahlbau) ზროხის ტიპ-
თან უფრო ახლოს დგას¹. მაშასადამე, აქედან ქართული ზროხაც,
რომელიც ყოველ შემთხვევაში ალბანურზე უფრო განვითარებულ
ფორმას არ წარმოადგენს, თავისი განვითარების დონით ტორფის
ზროხებთან ახლოს უნდა იდგეს. ამ დასკვნამდის ჩვენ ზევით, საქარ-
თველოს ბრახიცეროსების ტორფის ზროხებთან უშუალო შედარები-
თაც მივედით.

2) ქართული ზროხების შედარება „ბუზა“-ზროხებთან.

კრიატიისა და სლავონიის ზროხები, რომელნიც „ბუზას“ სა-
ხელწოდებით არიან ცნობილი, საკმაოდ საფუძვლიანად Franges'მა
(1902) შეისწავლა. შევადაროთ ამ ბრახიცეროსულ მოდგმას ჩვენი
ქართული ზროხები:

¹⁾ Adametz, L., Untersuchungen über den Schädelbau des Brachyceros-Rindes aus dem Polje von Podgorica (Süd-Montenegro, S. H. S.) Berlin 1925.

| ცხვრა N. N. | განაზომების დასახელება | cm | | | Rel. | | |
|-------------------|---------------------------------|---------------|--------------|----------------|-------|----------------|------|
| | | ქართ. (20) | ბუზა (10) | Diff. ქართ. | ქართ. | Diff. ქართ. | |
| | | + - | | | + - | | |
| 1 | პროფილის სიგრძე | 39.00 | 41.98 | — 2.98 | 41.98 | — | — |
| 2 | შუბლის სიგრძე | 17.77 | 18.86 | — 1.09 | 19.13 | 1.27 | — |
| 3 | სახის სიგრძე | 21.29 | 23.12 | — 1.93 | 22.91 | — | 0.19 |
| 4 | შუბლის მცირე სიგანე | 13.11 | 14.40 | — 1.29 | 14.11 | — | 0.29 |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე | 16.94 | 17.78 | — 0.84 | 18.23 | 0.45 | — |
| 6 | ყბის სიგანე | 12.44 | 13.12 | — 0.68 | 13.30 | 0.27 | — |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე | 12.18 | — | — — | 13.11 | — | — |
| 8 | კეფის მცირე სიმაღლე | 9.12 | 10.16 | — 1.04 | 9.82 | — | 0.34 |
| 9 | კეფის მცირე სიგანე | 8.60 | 9.31 | — — | 9.25 | — | 0.06 |
| 10 | კეფის დიდი სიგანე | 15.77 | 15.72 | 0.05 — | 16.97 | 1.25 | — |
| 11 | რქათაშუა მანძილი | 11.83 | 15.17 | — 3.34 | 12.73 | — | 2.44 |
| 12 | საკბილე მორჩის სიგრძე | 11.30 | 12.11 | — 0.81 | 12.16 | 0.05 | — |

როგორც ვხედავთ, ბუზა ყველა მთავარ დიმენსიებში საქართველოს ზრდებზე დიდია. განაზომთარელატივი ლირებულების მიხედვთ, ქართულ ზროხას შედარებით უფრო გრძელი და განიერი შებლი, შედარებით უფრო მოკლე სახე და შედარებით უფრო განიერი კეფა აქვს, ვიდრე ბუზას. ამისდა მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ბუზა განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ქართული ზროხა.

3) ქართული ზროხის შედარება ილირიის ბრაზიცეროსებთან.

ილირიის ბრაზიცეროსების კრანიოლოგიური გამოცვლევა Kühlmann-მა მოახდინა (1922). მის მიერ გამოქვეყნებული ილირიის ზონების თავის ქალას განაზომების შედარება საქართველოს ბრაზიცეროსების მასალებთან შემდეგ დალაგებას მოგვცემს:



| ზე წე ლი და ნი | განაზომების დასახელება | cm | | | Rel. | | |
|----------------------------|---------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| | | ჭართ. | ილირ. | Diff. | ჭართ. | Diff. | ჭართ. |
| | | (20) | (1) | ჯართ. | ჭართ. | ჯართ. | ჯართ. |
| 1 | პროფილის სიგრძე | 39.00 | 39.10 | — | 0.10 | 39.10 | — |
| 2 | შუბლის სიგრძე | 17.77 | 18.50 | — | 0.73 | 17.81 | — |
| 3 | სახის სიგრძე | 21.29 | 20.70 | 0.59 | — | 21.34 | 0.61 |
| 4 | შუბლის მცირე სიგანე . . | 13.11 | 13.40 | — | 0.29 | 13.14 | — |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე . . | 16.94 | 17.60 | — | 0.66 | 16.98 | — |
| 9 | ყბის სიგანე | 12.44 | 12.80 | — | 0.36 | 12.47 | — |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე . . | 12.18 | 13.10 | — | 0.92 | 12.21 | — |
| 8 | კეფის მცირე სიმაღლე . . | 9.12 | 9.90 | — | 0.78 | 9.14 | — |
| 9 | კეფის მცირე სიგანე . . . | 8.60 | 8.20 | 0.4 | — | 8.62 | 0.42 |
| 10 | კეფის დიდი სიგანე | 15.77 | 15.90 | — | 0.13 | 15.81 | — |
| 11 | რქათაშუა მანძილი | 11.83 | 15.30 | — | 3.47 | 11.86 | — |
| 12 | საკბილე მორჩის სიგრძე | 11.30 | 11.00 | 0.30 | — | 11.32 | 0.32 |

განაზომთა აბსოლუტური ციფრების შედარება გვიჩვენებს, რომ ჭართული ბრახიცეროსების თ. ქ. საერთოდ უფრო პატარა დიმენსიები აქვს, ვიდრე ილირიის ზროხებისას. როგორც აბსოლუტური, აგრეთვე განაზომთა რელატივი ციფრების მიხედვით ჭართულ ბრახიცეროსებს შედარებით უფრო გრძელი სახე, უფრო განიერი კეფა და გრძელი საკბილე მორჩი აქვთ.

4) ჭართული ბრახიცეროსების შედარება პოლონეთის ბრახიცეროსულ ზროხებთან.

ჩვენს ზროხებთან შესადარებლად ჩვენს განკარგულებაში 5 წითელი წმინდა პოლონერი ბრახიცეროსული ზროხის თავის ქალათა გამოკვლევა იმყოფება; ეს მასალა Adametz შა 1893 და 1901 წლებში გამოქვეყნა. პოლონეთის და საქართველოს ბრახიცეროსთა შედარების ტაბულა შემდეგია:

ურთიერთობის
ტაბულითი დანართი

| No. | განაზომების დასახელება | cm | | | | Rel. | | | |
|-----|------------------------------|--------------|-------------|----------------|------|-------|----------------|------|---|
| | | ქართ. (2) | პოლ. (5) | Diff. ქართ. | | ქართ. | Diff. ქართ. | | |
| | | | | + | - | | | + | - |
| 1 | პროფილის სიგრძე | 39.00 | 41.66 | — | 2.66 | 41.66 | — | — | — |
| 2 | შუბლის სიგრძე | 17.77 | 19.02 | — | 1.25 | 18.98 | — | 0.04 | |
| 3 | სახის სიგრძე | 21.29 | 22.64 | — | 1.35 | 22.74 | 0.14 | — | |
| 4 | შუბლის მც. სიგანე | 13.11 | 13.60 | — | 0.49 | 14.00 | 0.40 | — | |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე | 16.94 | 16.52 | 0.42 | — | 18.09 | 2.57 | — | |
| 6 | ყბის სიგანე | 12.44 | 13.58 | — | 1.14 | 13.28 | — | 0.30 | |
| 7 | კეფის დ. სიმაღლე | 12.18 | 13.14 | — | 0.96 | 13.01 | — | 0.13 | |
| 8 | კეფის მც. სიმაღლე | 9.12 | — | — | — | 9,74 | — | — | |
| 9 | კეფის მც. სიგანე | 8.60 | 10.14 | — | 1.54 | 9.18 | — | 0.96 | |
| 10 | კეფის დიდი სიგანე | 15.77 | 19.50 | — | 3.73 | 16.87 | — | 2.63 | |
| 11 | რქათაშუა მანძილი | 11.83 | 11.00 | 0.83 | — | 12.63 | 1.63 | — | |
| 12 | საკბილე მორჩი | 11.30 | 11.42 | — | 0.12 | 12.07 | 0.65 | — | |

განაზომითა აბსოლუტურ ლირებულებათა მიხედვით, ქართულ ზროხას უფრო განიერი შუბლი და უფრო დიდი რქათაშუა მანძილი უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლონური ბრახიცეროსების გრძელი შუბლი, განიერი ყბა, მაღალი და კიდევ უფრო განიერი კეფა. განაზომითა რელატივი ციფრების მიხედვით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ზროხებს შედარებით უფრო დიდი შუბლი აღმოაჩნდათ, ვიდრე პოლონეთის ბრახიცეროსებს. კეფის შედარებითს დიმენსიებში პოლონეთის ბრახიცეროსები საქართველოს ბრახიცეროსებს შესამჩნევად სჭარბობს.

ა) ქართული ბრახიცეროსების შედარება პოდგორიცის ბრახიცეროსებთან.

პოდგორიცის ბრახიცეროსთა თ. ქ. ანალიზი Adametz'ის მიერ არის გამოქვეყნდებული (1925). Adametz'ის მასალებში 5 ძროხის თ. ქ. განაზომებია მოცემული:

| № რიგი | განაზომების დასახელება | cm | | | Rel. | |
|--------|--------------------------|---------------|--------------|--|-------|--|
| | | ქართ. (20) | პოდგ. (5) | Diff. ^{ქართ.} _{+ -} | ქართ. | Diff. ^{ქართ.} _{+ -} |
| 1 | პროფილის სიგრძე . . . | 39.00 | 37.98 | 1.02 | — | 39.00 — — |
| 2 | შუბლის სიგრძე . . . | 17.77 | 16.96 | 0.81 | — | 17.41 0.36 — |
| 3 | საჭის სიგრძე . . . | 21.29 | 21.20 | 0.09 | — | 21.76 — 0.47 |
| 4 | შუბლის მცირე სიგანე . . | 13.11 | 12.34 | 0.77 | — | 12.67 0.44 — |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე . . | 16.94 | 16.20 | 0.74 | — | 16.63 0.31 — |
| 6 | ყბის სიგანე . . . | 12.44 | 11.74 | 0.70 | — | 12.06 0.38 — |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე . . | 12.18 | 11.56 | 0.62 | — | 11.86 0.62 — |
| 8 | კეფის მცირე სიმაღლე . . | 9.12 | 8.56 | 0.56 | — | 8.76 0.36 — |
| 9 | კეფის მცირე სიგანე . . . | 8.60 | 8.50 | 0.10 | — | 8.70 — 0.10 |
| 10 | კეფის დიდი სიგანე . . . | 15.77 | 15.18 | 0.59 | — | 15.58 0.19 — |
| 11 | რქათაშუა მანძილი . . . | 19.83 | 10.88 | 0.95 | — | 11.17 0.66 — |
| 12 | საკბილე მორჩი . . . | 11.30 | 10.96 | 0.34 | — | 11.35 — 0.50 |

ჩვენ ჩვენი შედარების დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ქართული ბრახიცეროსები ალბანურ ზროხებთან შედარებით, ზოგიერთ განაზომთა მიხედვით, უფრო დიდი დიმენსიებს იძლევიან. ამ შემთხვევაში კი გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ზროხების განაზომები პოდგორიცის, ამ ალბანური ზროხების მონათესავე ბრახიცეროსების, იმავე განაზომებს ყველა დიმენსიებს გარკვევით სკარბობენ. ხოლო, რაც განაზომთა რელატივ ციფრებს შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ პოდგორიცის ზროხებს ქართულ ზროხებზე შედარებით უფრო გრძელი სახე აღმოაჩნდათ, ხოლო საკბილე მორჩი, თუ უფრო გრძელი არა, ყოველ შემთხვევაში ისეთივე სიგრძის, როგორც ქართულ ზროხებს.

6) ქართული ბრახიცეროსების შედარება ალბურ ბრახიცეროსებთან.

მასალა, რომელიც ამ შედარებისათვის არის გამოყენებული Kühnemann-ის მიერ, სხვადასხვა შრომებიდან (Brügger, Laurer,

Siegfrid) არის ამოკრეფილი. მათი შედარება ჩვენებურ ბრაზილი-
როსებთან შემდეგ დაღვაგებას გვაძლევს:

ტაბ. № 12.

| № | რიცხვი განაზომების დასახელება | cm | | | Rel. | | |
|----|----------------------------------|-------|-------|----------------|-------|----------------|------|
| | | ქართ. | ალპ. | Diff. ქართ. | ქართ. | ქართ. Diff. | |
| | | + | - | | | + | - |
| 1 | პროფილის სიგრძე | 39.00 | 44.54 | — 5.54 | 44.54 | — | — |
| 2 | შუბლის სიგრძე | 17.70 | 22.85 | — 5.15 | 20.29 | — | 2.56 |
| 3 | საზის სიგრძე | 21.29 | 21.69 | — 0.40 | 24.31 | 2.62 | — |
| 4 | შუბლის მცირე სიგანე . . | 13.11 | 16.36 | — 3.25 | 14.96 | — | 1.40 |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე . . | 16.94 | 21.57 | — 4.63 | 19.34 | — | 2.23 |
| 6 | ყბის სიგანე | 12.44 | 16.05 | — 3.61 | 14.20 | — | 1.85 |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე . . | 12.18 | 15.19 | — 3.01 | 13.65 | — | 1.54 |
| 8 | კეფის მცირე სიმაღლე . . | 9.12 | — | — | 10.40 | — | — |
| 9 | კეფის მცირე სიგანე . . . | 8.6 | 13.29 | — 4.69 | 9.82 | — | 3.47 |
| 10 | კეფის დიდი სიგანე . . . | 15.77 | 21.19 | — 5.42 | 18.01 | — | 3.18 |
| 11 | რქათაშუა მანძილი . . . | 11.83 | 16.46 | — 4.63 | 13.51 | — | 2.95 |
| 12 | საქმილე მორჩი | 11.30 | 13.51 | — 3.21 | 12.90 | — | 0.61 |

უწინარეს ყოვლისა ალსანიშნავია ის, რომ ალპური ბრაზიცერო-
სები ყველა დამენსიებში შესამჩნევად სკარბობენ საქართველოს ბრა-
ზიცეროსებს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორთავე მოღვამას
სახის განაზომები თითქმის თანაბარი სიდიდის აქვს. ეს მომენტი რე-
ლატივი ციფრების მიხედვით უფრო აქარა ხდება: სახის სიგრძე
ქართულ ბრაზიცეროსებს გაცილებით უფრო დიდი აქვთ, ვიდრე
ალპურ ბრაზიცეროსებს. ეს მოვლენა თავისითავად იმის მაჩვენებელია,
რომ ალპური ბრაზიცეროსები ქართულ ზროხებთან შედარებით ძა-
ლიან მაღალი განვითარების დონეზე დგანან. ამას გარდა ალპური
ზროხის შედარებით ფართო შუბლი, განიერი კეფა, შედარებით
მოქლე საქმილე მორჩები იმას მოწმობენ, რომ ალპური ბრაზიცე-
როსები საქართველოს ზროხებთან შედარებით მეტად მაღალი გან-
ვითარების ფორმას წარმოადგენენ.



7) ქართული ბრახიცეროსების შედარება დახაუს ბრახიცეროსების შედეგების

დახაუს ბრახიცეროსების გამოკვლევა Kitt'მა (1883, 1884) მოგვცა. მის შრომებში გადამუშავებულია 14 ძროხის ო. ქ.. ამ მასალის შედარება ქართულ ბრახიცეროსთა განაზომებთან შემდეგ დალაგებას იძლევა:

ტაბ. № 13.

| № | განაზომების დასახელება | cm | | | Rel. | | |
|----|-------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|--------|
| | | ქართ. | დახაუ | Diff. | ქართ. | Diff. | ქართ. |
| | | | | + - | | | |
| 1 | პროფილის სიგრძე | 39.00 | 43.36 | — | 4.36 | 4.36 | — — |
| 2 | შუბლის სიგრძე | 17.77 | 20.50 | — | 2.73 | 19.75 | — 0.75 |
| 3 | სახის სიგრძე | 21.29 | 22.86 | — | 1.57 | 23.67 | 0.81 — |
| 4 | შუბლის მც. სიგანე | 13.11 | 14.29 | — | 1.18 | 14.57 | 0.28 — |
| 5 | შუბლის დიდი სიგანე | 16.94 | 18.51 | — | 1.57 | 18.83 | 0.32 — |
| 6 | ყბის სიგანე | 12.44 | 13.39 | — | 0.95 | 13.83 | 0.44 — |
| 7 | კეფის დიდი სიმაღლე | 12.18 | 13.77 | — | 1.59 | 13.54 | — 0.23 |
| 8 | კეფის მცირე სიმაღლე | 9.12 | — | — | — | 10.14 | — — |
| 9 | კეფის მცირე სიგანე | 8.60 | 10.21 | — | 1.61 | 9.56 | — 0.65 |
| 10 | კეფის დიდი სიგანე | 15.77 | 17.83 | — | 2.06 | 17.53 | — 0.30 |
| 11 | რქათაშუა მანძილი | 11.83 | — | — | — | 13.15 | — — |
| 12 | საჭბილე მორჩი | 11.80 | 12.31 | — | 1.01 | 12.56 | 0.25 — |

Über das Vorkommen dieses Vogels in Kaukasus sagt Satunin folgendes: «Sicher wurde er in Transkaukasien nur im Winter beobachtet. Die Behauptung, dass er hier auch niste, scheint ihren Grund in einer Verwechslung des Vogels mit einer ihm verwandten Art (*Saxicola finschi* Heugl.) zu haben». Satunin bezweifelt die Behauptung von G. Radde, er hätte am 19. und 24. Mai in der Umgebung von Tiflis 6 Paare dieses schönen Vogels gesehen. Ebenso zweifelnd verhält er sich E. Zwetkow gegenüber, der am 2. und 28. Mai bei der Dedophlis-Zcharo (russ. Zarskje Kolodzy) auf einer Höhe von 2500' einige schon brutfertige Paare des Vogels gesehen haben will. Die Sammlungen des Georgischen Museums enthalten vier Exemplare des Vogels: zwei Exemplare (18c und 40—15) aus dem Areschbezirk, das dritte (18a) aus der Umgebung von Tiflis und das vierte aus dem Bezirk von Batum. Das eine von ihnen (№ 40—15) ist vom Zoologen der russischen Akademie der Wissenschaften, W. Bianki, irrtümlicherweise als *Saxicola finschi* Heugl. bezeichnet worden. Das Männchen der *Saxicola finschi* in Hochzeitstracht unterscheidet sich vom Männchen der *Saxicola melanoleuca* dadurch, dass die schwarze Färbung, die den Zügel, die Augengegend, den Hals und den Kropf umfasst, beim ersten nicht bis zu den Flügeln reicht, wie beim letzteren, bei welchem sie vom Kropf auch auf die Brust übergeht. Nach P. Nesterow ist der Vogel zahlreich am Grenzposten von Gurdschaani (im gew. Bezirk von Batum); es ist ihm, während seiner Reise in dieser Gegend, gelungen, 5 Männchen und 3 Weibchen zu erlegen. Auch bei Ordschochi auf dem Salagirgebirge und in der Nähe von Artanudschi (im Bezirk von Arhwini) wurde der Vogel von demselben Forscher getroffen. P. Suschkin berichtet über den Fund eines Exemplars im Jakobs-



tal in der Nähe des Grenzpostens von Sergiewskoe (Armenien). Nach N. Bobrinsky ist dieser Vogel zahlreich im Surmalinbezirk (im gew. Gouv. von Erewan).

Es kann auf Gruud dieser Angaben behauptet werden: *Saxicola melanoleuca melanoleuca* Guld. nistet im östlichen und im südwestlichen Transkaukasien.

15. Hippolais caligata Licht.

Sylvia caligata Lichtenstein, in Eversmanns Reise von Orenburg nach Buchara, p. 128 (1823).

Hypolais caligata Радде, Ornis Caucas., 187; Мензбир, Пт. России, II, 907.

Hypolais (Iduna) caligata Плеске, Ornithogr., 367.

Iduna caligata, Сатунин, Материалы, 50.

Hippolais caligata Hartert, I, 575; Сатунин, Систем. кат. пт., 63.

«Auf dem Durchzug an den Küsten des Kaspischen Meeres», so lakonisch ist dieser Vogel im Katalog verzeichnet. Die Sammlungen des Georgischen Museums legen jedoch die Unrichtigkeit dieser Behauptung dar. Aus Datierungen der im Museum befindlichen Exemplare (№ 63e—3/VII, № 63f—11/VI.) geht hervor, dass der Vogel auf dem Gebiete des Lenkoran'schen Bezirks nistet.

16. Irania gutturalis Guérin.

Cossypha gutturalis Cuérin: Rev. Zool., 1843, p. 162.

Cossypha gutturalis Радде, Ornis Caucas., 198.

Erithacus gutturalis Мензбир, Пт. Росс., II, 996.

Irania gutturalis Hartert, I, 755; Сатунин, Систем. кат. пт., 80; Сатунин, Экскурс. в южное Закавказье, 106; Сушкин, Заметки о кавк. пт., 22; Бобринский, Результ. орнит. экск. в Эриван. губ., 23.

Über diesen Vogel liest man im Katalog: «Nach Radde's Meinung, pflegt der Vogel in Talysch nur im Winter einzufliegen.



Obgleich diese Meinung von Prof. Menzbier bestätigt wurde, hat tatsächlich den Vogel bis jetzt noch niemand gesehen».

Zwei Jahre später nach der Publikation seines «Systematischen Katalogs» entdeckte Satunin selbst diesen interessanten Vogel in der Umgebung des Ararats. N. N. Bobrinsky fand (während seiner Excursionen, Sommer 1911 und 1912) viele Vögel dieser Art in derselben Gegend, und zwar an den Bergabhängen, etwas oberhalb vom Dorfe Pernautom. Im Jahre 1913 beobachtete Prof. Suschkin die Lebensart dieses Vogels in der Umgebung des Ararats.

Diese species muss in das Verzeichnis der kaukasischen Vögel eingetragen werden. Nach den bis jetzt vorhandenen Nachrichten ist sie in Kaukasus nur in der Gegend des Ararats und der in seiner Nähe liegenden Berge verbreitet. Diese Linie ist wohl als Nordgrenze ihrer Verbreitung zu betrachten.

17. ***Bubo bubo interpositus* Roths. et Hartert.**

Strix bubo Linné, Syst. Nat, p. 134 (1766).

Bubo maximus Богданов, Пт. Кавк., 51; Радде, Ornis Caucas., 87; Id. Talysch, 14; Россиков, Дол. Малки, 19; Динник, Орнит. набл., 368; Lorenz, Beitrag, 6; Мензбир, Пт. России, II, 269; Вильконский, Аджария, 86; Цветков, 74.

Bubo bubo, Сатунин, Материалы, 75; Loudon, Reise, 60; Сатунин, Системат. катал., 96;

Bubo bubo ruthenus, Hartert, II, 962.

Bubo bubo interpositus Сушкин, Орнит. вестн., 1914 г.
№ 1, 27.

Prof. Suschkin kam nach der Untersuchung der ziemlich reichen Materialien aus verschiedenen Gegenden von Kaukasus (Tiflis, Borjom, Zakatalabbezirk, Wladikaukasus, Prochladnaja) zum Schlusse, dass der kaukasische Uhu in allen seinen Variationen typisch eine und dieselbe Erscheinung darstelle und sich von der typischen Form *bubo* durch seine helle Farbe und vom *ruthenus* der Mittel-Wolga durch die Buntheit des Rückens unterscheide.

[*Terra typica*: Kleinasiens, Nordkaukasien, das untere Wolga-Gebiet (Sarepta); Typus aus Eregli, Kleinasiens].

18. *Cursorius gallicus* Gm.

Charadrius gallicus Gmelin, Syst. Nat., p. 692 (1788).

Cursorius isabellinus Богданов, Пт. Кавк., 154; Динник, Орнитол. набл., 272.

Cursorius europaeus Радде, *Ornis Caucas.* 334.

Cursorius gallicus Bogdanow, Conspectus 66; Мензбир, Пт. России, I, 352; Сатунин, Материалы, 91; Систематич. катал., 111.

Cursor isabellinus, Nordmann, Fauna Pontique, 230.

Nach Satunin pflegte dieser Vogel früher sich in den wüsten Ebenen, wie Nord-, so auch Transkaukasiens aufzuhalten. Ein kleiner Flug dieser Vögel (6—8 Exemplare) wurde von A. Nordmann im Mai 1836 an der Kürse des Schwarzen Meeres in der Nähe der Festung von Bitschwintha (Pitzunda) gesehen. Es ist anzunehmen, das der Vogel, als eingeflogen, hie und da an den kaukasischen Küsten des Schwarzen Meeres getroffen wird.

19. *Strepsilas interpres* L.

Tringa interpres Linné, Syst. Nat. p. 248 (1766).

Strepsilas interpres Богданов, Пт. Кавк., 154; Радде, *Ornis Caucas.* 333; Bogdanow, Conspectus, 77; Мензбир, Охотн. пт. I, 225; Кобылин, Материалы, 22; Сатунин, Сист. катал. пт. Кавк., 123;

Arenaria strepsilas Лауниц, Матер. для орнит. Черном. поб. Кавк., 33.

Strepsilas interpres L. gilt bei Satunin als ein durchziehender Vogel an den Küsten der beiden Meere. K. Launitz ist es gelungen, 10/VII. in der Umgebung des Dorfes Bombori (bei Gudauthi) einen Flug aus zwei erwachsenen Vögeln und drei Jungen zu beobachten und dabei ein weibliches Exemplar zu erlegen. Demzufolge kann *Strepsilas int.* L. als ein an der kaukasischen Küste des Schwarzen Meeres selten nistender Vogel betrachtet werden.



20. *Sarcogeranus leucogeranus* Pall.

Grus leucogeranus Pallas, Reise d. Prov. des Russ. Reiches, II, p. 714 (1773).

Grus leucogeranus Богданов, Пт. Кавк., 165; Радде, *Ornis Caucas.* 308; Bogdanow, Conspectus, 108; Мензбир, Пт. России, I, 422; Katal. 223; Мензбир, Охотн. птицы, I, 489; Сатунин, Материалы, 98; Карамзин: *Орнит. вестн.* 1912, № 4; Сатунин, Систем. катал., 129.

Übes das Vorhandensein dieses Vogels in Transkaukasien enthält der Katalog keine Notiz. In Übereinstimmung mit den Forschern der kaukasischen Vogelwelt nimmt Satunin an, dass diese species nur auf dem Durchzuge an den Nordküsten des Kaspischen Meeres vorkomme. Von grossem Interesse sind deswegen die Mitteilungen, welche A. Karamzin über das Auffinden dieses Vogels im östlichen Transkaukasien macht. Nach Beobachtung dieses Forschers verbringt *Sarcogeranus leuc.* Pall. in grosser Zahl den Winter an den Ufern der unteren überfluteten Teile der Flüsse Kur und Arax. Die von Karamzin beobachteten Flüge dieses schönen Vogels bestanden aus 100 bis 200 Exemplaren.

21. *Porphyrio poliocephalus* Lath.

Gallinula poliocephala Latham. Ind. Orn. Suppl. p. LXVIII. (1801).

Porphyrio veterum Богданов, Пт. Кавк., 146; Радде, *Ornis Caucas.*, 299.

Porphyrio poliocephalus Мензбир, Пт. России, I, 458; Catal. 223; Сатунин, Материалы, 100; Loudon, Reise, 87; Сатунин, Системат. катал., 131.

Als die Grenze der Verbreitung dieses Vogels gilt bei Satunin «die Südküste des Kaspischen Meeres». Das ist geographisch unrichtig. Die Südküste des Kaspischen Meeres gehört nicht zum Kaukasus. In seiner Arbeit «Материалы к познанию птиц Кавказского Края», S. 100, schreibt Satunin folgendes: «Ich

habe diesen Vogel im Winter in Mughanlo in der Nähe von Saljany und im Frühling auf dem Wege aus Saljany nach Lenkoran im Schilfe des Araxflusses und selbst bei Lenkoran auf dem Olchowskoe-See gefunden». Nach Pallas haust dieser Vogel an den sümpfigen Küsten des Kaspischen Meeres, in der Gegend um die Mündung des Terekflusses.

Ich persönlich habe den Vogel in der Umgebung von Ew-lach gesehen; ein anderes Exemplar fand ich am Basalethi-See bei der Stadt Duschethi; im Juli 1923 habe ich eine kleine Kolonie des Vogels am Karaja-See nistend aufgefunden. Ein, am Nuria-See im Herbst erlegtes Exemplar wird im Museum der Stadt Batum aufbewahrt. Diese Daten führen uns zum folgenden Schluss: In Kaukasus haust der Vogel an den Küsten des Kaspischen Meeres von der persischen Grenze ab bis zur Mündung des Terekflusses, im östlichen Transkaukasien aber an den Ufern des Kurflusses von seiner Mündung ab bis zum Karaja-See, in den seiner Lebensart entsprechenden Stellen. Als zufällig eingeflogen, wird er wohl auch an anderen Orten von Kaukasus getroffen.

22. *Aquila fulvescens* Gray.

Aquila fulvescens Sev. et Menzb., Ornith. du Turkest., 2-me livr. p. 114; Мензбир, Птицы России, II, 154; Холодковский и Сиантиев, Пт. Европы, стр. 24.

Der Vogel ist im Katalog nicht verzeichnet. Im Georgischen Museum findet man nur ein Exemplar dieses Adlers, mit der Angabe: I—84. Leg. G. Radde. Der Grundton seiner Färbung ist goldig-rot. Die Deckfedern der Armschwingen und die Flügelfedern weisen in der Mitte bräunliche Färbung auf. Die erste und die zweite Schwingen und die Steuerfedern dunkelbraun. Am Schwanz lassen sich deutlich gezeichnete Querstreifen wahrnehmen. Wurzelpartie der Schwanzfedern weiss. Schnabel und Krallen hornig-schwarz. *Aquila fulvescens* ist zweifellos in Kaukasus eine seltene Erscheinung. Ebenso selten ist der Vogel im Zentral-Europa, im europäischen Russland, in Kleinasiens und Turkestan, und nur in Indien kommt er verhältnismässig häufig vor.



ეროვნული
ბიბლიოთეკი

23. *Circus macrurus* Gmel.

Accipiter macrurus Gmelin, Nov. Comm. Petrop. p., XV, p. 439, pls. VIII, IX (1771).

Strigiceps pallidus Богданов, Пт. Кавк., 50; Динник, Орнит. набл., 367.

Strigiceps Swainsoni Радде, *Ornis Caucas*, 86.

Circus macrurus Мензбир, Пт. России, II, 224; Сатуний, Материалы, 121; Системат. катал., 144; Домбровский, Материалы для изуч. пт. Колхиды и Аджарии.

Im Katalog ist diese species als ein Vogel Nordkaukasiens und östlichen Transkaukasiens verzeichnet. Ein Exemplar des Vogels wurde 25/VIII.09 am Flusse Tscheruk-Ssu (im Bezirk von Batum) erlegt. In der Umgebung der Stadt Choni (Bezirk von Kutais) habe ich einige Exemplare des Vogels auf dem Durchzuge im Spätsommer gesehen und erlegt. Es unterliegt keinem Zweifel, dass diese species im westlichen Transkaukasien, obgleich verhältnismässig nur selten, vorzukommen pflegt. Demgemäss muss ihr Verbreitungsgebiet durch Hinzufügung Westgeorgiens erweitert werden.

24. *Aesalon aesalon pallidus* Suschk.

Falco aesalon Tunstall, Ornith. Brit., p. I (1771).

Falco aesalon Богданов, Пт. Кавк., 42; Радде, *Ornis Caucas.* 55; Lorenz, Beitrag, 5; Вильконский, Аджария 77.

Lithofalko aesalon Мензбир, Пт. России, II, 30; Сатуний, Материалы, 117; Loudon, Reise, 65; Сатуний, Системат. катал., 150.

Aesalon aesalon pallidus, Сушкин, Заметки о кавказск. птиц., 25.

Im Katalog ist diese subspecies nicht notiert. Die Mehrzahl der von P. Suschkin in Wladikaukasus untersuchten Exemplare gehörte dem typischen *Aesalon aesalon* an und nur einige von ihnen stellten die subspecies *pallidus* dar. Der Mitarbeiter von B. Dombrowsky, M. Skudinsky, erlegte 19/IX—09. ein

Exemplar dieses Vogels in der Nähe von Tschuruk-Ssu (Адшанчию) в 1903 г.
Exemplar dieses Vogels in der Nähe von Tschuruk-Ssu (Адшанчию). Demzufolge wird diese subspecies als ein in Kaukasus seltener, durchziehender Vogel zu betrachten sein.

25. *Cygnus bewicki* Varr.

Cygnus bewickii Varrel, Trans. Linn. Soc., XVI, p. 445 (1833).

Cygnus bewicki? Радде, Ornis Caucas. 356; Мензбир, Пт. Росс. I, 714; Сатунин Систематич. каталог, 154; Карамзин: Орнит. вестн. 1912 г., № 4.

Im Katalog steht *Cygnus bev.* V. unter einem Fragezeichen. Sein Vorhandensein in Kaukasus hält Satunin für unbewiesen. Es war A. Karamsin vorbehalten, den Vogel in Transkaukasien zum ersten Male zu sehen und zu beschreiben. Nach seinem Bericht, ist es den Jägern gelungen, am 26. XII. 10 am Ach-Tschalla-See in der Nähe von Saljany ein erwachsenes und ein junges, zart befiedertes Exemplar zu erlegen.

26. *Puffinus puffinus* L.

Procellaria puffinus Linné, Syst. Nat., p. 213 (1766).

Puffinus anglorum Богданов, Пт. Кавк., 182. Радде Ornis Caucas., 382; Мензбир, Пт. России, I, 85.

Puffinus puffinus Сатунин, Материалы, 14; Птушенко, к орнитоф. Кубанск. обл.: Орнит. вестн., 1915 г. № 2, стр. 117; Сатунин, Системат. каталог, 170.

Puffinus yelcoyan Домбровский, Материалы для изуч. птиц Колхиды и Адж., 19; Молчанов, Материалы к познанию фауны и флоры Росс. Имп., отд. зоол., в. VII, стр. 300.

Über diesen Vogel gibt Satunin in seinem Werke folgende Notiz: «Nach Nordmanns Zeugnis ist der Taucher-Sturmvogel am Schwarzen Meere zahlreich vertreten. M. Bogdanow hat ihn oft am Kaspischen Meere gesehen. Seitdem aber ist der Vogel von keinem Forscher gesehen worden». Diese letztere Bemerkung ist nicht richtig. Noch im Juni 1903 fand L. Moltschanow auf dem Meere in der Nähe von Sebastopol zahlreiche Flüge des Vogels



und erlegte dabei zwei Exemplare. Am 27. VII. bemerkte B. D. browsky in der Nähe des Dorfes Tscheruk-Ssu (Atjara) bei wogendem Meere ein Exemplar des Vogels, welches auch erlegt, aber von den Wellen weggetragen wurde. Von seinem Mitarbeiter, M. Skufiew, wurde im Oktober an demselben Orte nach einem stürmischen Meere ein Exemplar des Taucher-Sturm vogels erlegt. Ein zweites Exemplar bemerkte er am 7. VIII. 1910 und nach einigen Tagen fand er an der Küste einen angeschwemmten toten Vogel. Öfters ist der Vogel von S. Ptuschenko am Schwarzen Meere in der Nähe der Stadt Eysk beobachtet worden.

Durch diese Daten wird es ausser Zweifel gestellt, dass der Taucher-Sturm vogel, obgleich nur selten, an den Ost- und Nordküsten des Schwarzen Meeres getroffen wird. Damit ist auch die Richtigkeit Nordmanns Angaben in vollem Masse erwiesen.

პროფ. ს. ჩურავიანი.

ჩვეულებრივი ფიჭვი (Pinus silvestris) და მისი გუტატური ფორმები ჩვენში.

ტყის ხეების ჯიშთა სისტემატიკის დროს მთავარ ყურადღებას მხოლოდ გეარისა და სახეთა ნიშნების შესწავლის აქცევდენ; უფრო პატარა სისტემატიკური ერთეულების დახასიათებასა და განსახლებრას დიდი ადგილი თავის დღეში არ ჰქონია დათმობილი. ხოლო, რაც ჯიშურ თვისებათა მემკვიდრეობით გადასვლის საკითხების შესწავლას შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ წინათ მუშაობა ამ მიმართულებით არც კი წარმოებულა. მხოლოდ ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც გენეტიკა, როგორც სამეცნიერო დისკიპლინა, მომწიფდა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკის თეორიულ დედაბორძად გახდა, სატყეო დარგის მეცნიერებამაც მოჰკიდა ხელი ხეების გენეტიკის საკითხების გამოკვლევას. ასეთი მუშაობის გზით გამოირკა, რომ ხის ჯიშების უმრავლესობა რასიულად კონსტანტსა და ჰომომიგრატორმებს კი არ წარმოადგენს, არამედ მათ შორის ბევრია ჰიბრიდული, ჰეტერომიგრატი ჯგუფები, რომელნიც ყოველი ცალკე შემთხვევის დროს კომბინაციურად თავმოყრილ გენთა დათიშვას განიცდიან. ამის გარდა ისიც ცხადი გახდა, რომ ხის ჯიშთა შორის მუტაციის მოვლენები ისეთივე ხშირი შეიძლება იყოს, როგორც ამას ბოტანიკურ ანუ სასოფლო სამეურნო მცენარეთა შორის აქვს ადგილი.

სწორედ ასეთი მუტაციის მოვლენას უნდა წარმოადგენდეს გარე-კახეთის სატყეოში ნაპოვნი ფიჭვის ფორმა, რომლის აღწერაც ამ წერილის მიზანს შეადგენს.

ჩვეულებრივი ფიჭვი (Pinus silvestris L.) მეტად გავრცელებულ ტყის-ჯიშს ეკუთვნის: მას, სამხრეთის გამოკლებით, თითქმის მთელი ევროპა უჭირავს. მის საზღვარს დასავლეთით ბელგია შეადგენს, ხოლო ჩრდილოეთით უტყეო ტუნდრები. აღმოსავლეთით იგი ევროპიდან ციმბირში გადადის, სადაც მისი მასიური კორომები მდინარე ამურთან თავდება. არა ნაკლებად არის ის გავრცელებული



მერიდიონალური მიმართულებითაც. იგი იწყება მცირე აზერბაიჯანის ფანტულია კავკასიაში, შემდეგ გადადის ხარკოვის გუბერნიაში და თითქმის განუწყვეტლივ ლაპლანდიას აღწევს, სადაც, როგორც უკვე იყო ალნიშვნული, ის ტუნდრებს საზღვრავს.

რაღაცანაც ამ ფრიად გავრცელებულ ტყის-ჯიშს იმავე დროს ძვირფასი და საუკეთესო საშენებელი მერქანი აქვს, ამიტომ ტყის მეურნეობაში ფიჭვი უმთავრეს ჯიშად ითვლება როგორც ეკროპაში, ისე ჩრდილო აზიაში. გერმანიასა და რუსეთში არც ერთი ტყის ჯიში არ იძლევა. იმდენ შემოსავალს, რამდენსაც ფიჭვი იძლევა.

საქართველოში ფიჭვი ბევრ ადგილას არის გავრცელებული, თუმცა ის წმინდა კორომებს ისე ხშირად არ იძლევა, როგორც ნაძვი და სოჭი; შერევის სახით კი სხვა ჯიშებთან მას ხშირად შეხვდებით როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთ საქართველოში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაძვი და სოჭი უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ტყეებს ახასიათებენ. აღმოსავლეთით მათ საზღვრავს ტფილისის მერიდიანი, ფიჭვი კი აღმოსავლეთით კარგა შორს მიდის, აღს თუშეთში და გავრცელებულია ცივ-გომბორის მთებში და მის კალთებზედ, გარე კახეთში იგი ეშვება თითქმის ვაზის რაიონამდე.

ფიჭვის წმინდა კორომები უმთავრესად აბასთუმნისა და ბორჯომის კურორტის ტყეებშია გავრცელებული. აქ მას, როგორც ფიჭვით მდიდარს, საუკეთესო ოზონატორსა და ამიტომ კურორტებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ჯიშს, დიდ მფარველობას უწევნ. წმინდა კორომები, შედარებით მცირე არეზედ, გავრცელებულია აგრეთვე სვანეთში, რაჭაში და თუშეთში.

ფიჭვის გავრცელებას დიდ არეზედ (მეტადრე ეკროპაში) და მის უაღრეს მნიშვნელობას, როგორც ტყის ჯიშისა, უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ეს ჯიში სხვა ტყის-ჯიშებთან შედარებით უკეთესად არის შესწავლილი, არც ერთი ტყის-ჯიშის შესახებ არ დაწერილა იმდენი, რაც ფიჭვზედ. მიუხედავად ამისა ამ ჯიშის მორფოლოგიური, თუ ბიოლოგიური ცვალებადობა ჯერ-ჯერობით კარგად შესწავლილი არ არის და ამ მხრივ იგი მეტად საინტერესო მბიექტს წარმოადგენს.

იმ ცვლილებებს, რომელთაც ფიჭვი ხშირად იჩენდა, ხნოვანობის, ნიაღავის ან შემთხვევითი პირობების მოვლენათა გავლენას აწერდენ. მართლაც-და, ფიჭვი სხვადასხვა პირობებში შეგუების დიდ თვისებებს იჩენს: ჭაობიან აღგილას, მაგალითად, ფიჭვი იგოლება, ას წელიწადს ძლივს 1—2 მეტრის სიმაღლეს აღწევს, მაშინ როდესაც ამ ხნის ფიჭვი კარგ ბუნებრივ პირობებში ჩვეულებრივ 30—40

მეტრზედ უფრო მაღალია; ხშირ ტყეში ის ფრიად სწორსა და დატურტულ ხეს ჭარმოადგენს, თავისუფლად-კი გაშლილ ტოტებს იკეთებს; ახალ-გაზრდობაში წიწვი და გირჩები უფრო მსხვილი აქვს, ვიდრე სიბერეში და სხ. პროფ. მოროზოვის სიტყვით, ფიჭვი ფრიად პლასტიური ჯიშია, რის გამოც პირობების მიხედვით შესაფერად იცვლება.

შემჩნეულია, რომ გერმანიაში, და მეტადრე საფრანგეთში, ფიჭვი კარგ ნიადაგზედაც მრუდე არაახოვან ხედ იზრდება და არ იძლევა ისეთი ღირსების ხე-ტყეს, როგორც რუსეთის ფიჭვი. ყველა ამას ჰავის გავლენას აწერდენ.

მაგრამ სივრასის, ტურსკის, შოტტეს, ნაწილობრივ ჩვენი და სხვათა დაკვირვებებით დამტკიცდა, რომ მარტო საარსო პირობების გავლენით არ აიხსნება ფიჭვის ყველა ცვლილებები, რომ აქ ხშირად ადგილი აქვს უფრო ღრმა ცვლილებას, რომლის ახსნა გარევანი პირობების ზეგავლენით შეუძლებელია. ბევრ შემთხვევაში ფიჭვი გარკვეულ მუტანტებს იძლევა, რომელთაც თავისი განსაკუთრებული თვისებები ჩამომავლობაზედ გადააქვთ. მართლაც-და, სხვადასხვა ადგილის ფიჭვი, ერთ ადგილის და ერთსა და იმავე პირობებში აღზრდილი, ერთმანეთისაგან ფრიად განირჩევან ბიოლოგიური და ხან მორფოლოგიური ნიშნებითაც. ეჭვს გარეშეა, რომ ფიჭვს გარკვეული კლიმატიური რასები აქვს, რომელთა შემჩნევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს კლიმატიური რასები ერთ პირობებში იზრდებიან.

ჩრდილოეთ ქვეყნის ფიჭვი უფრო მძიმედ იზრდება, ვიდრე სამხრეთისა; ამ თვისებას წინათ იმ სუსს ჰავას აწერდენ, რომელიც ჩრდილოეთ ქვეყნებში მძვინვარებს. მაგრამ, როცა ამ ჯიშმა, ხელოვნურად გაღმოტანილმა სამხრეთისაკენ, აქაც ნელი ზრდა შეინარჩუნა, რასაკვირველია აქედან დასკვნა უნდა გამოეტანათ, რომ აქ გეოტიპიურმა თავისებურებამ იჩინა თავი. ჩვენი დაკვირვებებით გამოიჩვა, რომ ჩრდილოეთ ქვეყნის (არხანგელსკის გუბერნიის) ფიჭვი შეგუებულია ზაფხულის მოკლე სავეგეტაციო ხანას და სამხრეთ ქვეყნებშიაც (პოლონეთი). ვეგეტაციას ის მხოლოდ იმდენ ხანს აწარმოებს, რამდენსაც სამშობლოში; სამხრეთ ქვეყანაში (პოლონეთში) ის უკვე შუა ზაფხულში (ივნისში) იკეთებს ზამთრის კვირტს და ძილს ეძლევა, თუმცა აქ ზაფხული ახლად დაწყებულია და ყველა ადგილობრივი ჯიშები გაცხარებულ ვეგეტაციას აწარმოებენ. მეორე მხრივ ფიჭვი, სამხრეთიდან (ყარსიდან) უფრო ცივ ქვეყნებში (პოლონეთში) გადატანილი, იბუჩქება, ხედ არ იზრდება. აქაც ეს ჯიში მკვიდრი



რასების თვისებებს იჩენს. სამშობლოში ხანგრძელ ვეგეტაციას ჟენეტიკური ჩვეული, ჩრდილოეთში მოკლე სავეგეტაციო ხანის გამო სუკრებული წრებს საზამთროდ მომზადებას: ზამთრის სიცივე ნორჩ ტოტებს უხმობს და ხეს ბუჩქის სახეს აღლევს. სივერსის დაკვირვებით გერმანიისა და რუსეთის ფიჭვები ერთსა და იმავე პირობებში ზრდის სხვადასხვა თვისებებს იჩენს: გერმანიის ფიჭვი არ იზრდება ისეთ ახოვან ხედ, როგორც რუსეთისა და სხ.

ჩვენი დაკვირვებებით¹⁾ დამტკიცდა, რომ თვით ერთსა და იმავე ადგილას ჩვეულებრივი ფიჭვები მკაფიოდ განირჩევიან ერთმანერთი-საგან თესლის ფერით (ერთსა და იმავე პირობებში ზოგს ფიჭვს შავი თესლი აქვს, ზოგს თეთრი, ზოგს ყავის-ფერი და ზოგს წინწელებიანი), მაშასადამე, ფიჭვი სხვადასხვა რასებისაგან შესდგება. ფართე გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ეს რასობრივი სხვადასხვაობა ყველგან არსებობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შავთესლიანი რასები შედარებით უფრო მეტია სამხრეთ ქვეყნებში, ვიდრე ჩრდილოეთ ქვეყნებში.

ეგრეთვე გამოირკვა, რომ ერთსა და იმავე პირობებში ფიჭვებს შორის დიდი სხვაგვარი განსხვავებაც არსებობს. მაგალითად, ზოგი ფიჭვი აღრე (20 წლისა) იკეთებს გულს, ზოგი გვიან (40—60 წლისა); ზოგს გული მუქი ფერისა აქვს, ზოგს მკრთალი; განსხვავება არის აგრეთვე მიკროსკოპიულ აგებულებაში—უჯრედის სიდიდეში და სხ.²⁾

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს რომ ფიჭვი გარდა მოდიფიკაციური ფორმებისა კიდევ გენოტიპიურს, მემკვიდრეობით განსხვავებულ ფორმებსაც იძლევა. ასეთი გენოტიპიური ვარიაციის ანუ მუტაციის ერთი მაგალითი გარეკახეთის სატყეოს (ტფილისის მაზრა) მარიამჯვარის აგარაკში შეგვხდა.

ეს აგარაკი ცივ-გომბორის მთაგრეხილის სამხრეთ კალთებზედ არის გაწყობილი, სოფელ გიორგიშვილდასა და მარიამჯვარის შუა. მთიდან ამ სოფლებისკენ ეშვება რამდენიმე ხევი, შედარებით მცირედაქანებით 15-30°. როგორც თვით მთა, ისე მისი კალთები და ხევები წარმოადგენენ ოლიგოცენის კონგლომერატებს. ხევები, საღაც კონგლომერატები თიხიდან გარეცხილია, აგორებული ქვების გროვას წარმოადგენენ, რომელიც შორიდან მდინარეს წააგავს. მთის კალთები დაფარულია ფოთლიანი ტყით, ხევი კი დაწყნარების შემ-

1) Zur Frage über die Rassen der Pinus Silvestris: *Centralblatt für das gesamte Forstwesen*, Wien, Juni 1908.

2) С. Курдивани, Об организации селекции лесных растений в России, 1912. г. 14—15 стр.

დეგ თან-და-თან ტყით იფარება, საღაც უმთავრესი ადგილზე ფიჭვების უჭირავს. ფიჭვი გავრცელებულია მთაში 1.000—1.200 მეტრის სიმაღლეზედ და აქედან ხევების საშუალებით ქვევით ეშვება და თითქმის გაზის რაიონამდე ჩამოდის (600—700 მეტრი).



სურ. 1.

თაღსამ გირჩს ისხამს. მარიამჯერის აგარაკში აღმოვაჩინეთ ფიჭვი, რომელსაც გირჩები ტოტებს შუა ესხა. ამნაირი მოსხმით ხასიათდება *Pinus Banksiana* და *P. Eldarica*.

აქვე აღმოვაჩინეთ მეორე ხე, რომელსაც სანაყოფო ტოტები შემოსილი ჰქონდა 40—70 ცალი გირჩით. ასეთს ცვალებადობას ფიჭვის (ხის) გირჩებად გარდაქმნას უწოდებენ (*Tuberculif, die Nadelholzter*). ამისთანა მსხმოიარე ფიჭვები, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის

დიდ ინტერესს წარმოადგენს ერთ-ერთი ხევი, სოფ. გიორგი-წმინდის სიახლოვეს, სიგრძით 3—4 კილომეტრი და სიგანით 100—200 მეტრი. ამ ხევში ჩვეულებრივი ფიჭვი (*P. silvestris L.*) არა ჩვეულებრივ ცვალებადობას იჩენს. ჩვენ შევამჩნიეთ ორნაირი ცვალებადობა, გირჩის მოსხმაში და ზრდის ფორმაში.

ჩვეულებრივი ფიჭვი გირჩებს ზევითა ტოტების წვეროებზედ ისხამს. ტოტები ერთი წლის გირჩებით თავდება. ტოტი ორს, იშვია-

აწერილი სხვადასხვა ადგილის და სხვადასხვა ავტორისაგან. ეს ყოველი ბათ, ისეთი მუტანტია, რომელიც თავისი უხვი მსხმოიარობის მსხვერპლი ხდება, რადგანაც გირჩების სიმრავლის გამო თესლებს ის თითქმის არ იკეთებს და გირჩების დასხმის შემდეგ მაღვე ხმება.

უფრო საინტერესოა ის ცვალებადობა, რომელიც ფიჭვება აქ ფორმის სხვადასხვაობაში იჩინა. ფიჭვი ჩვეულებრივ გვერდის ტოტებს (3—6 ცალს) რგოლებრივ იკეთებს და ეს ტოტები თითქმის ჰორიზონტალურად მიიმართებიან, მთავარი ღერო კი ვერტიკალურად იზრდება. გვერდის ტოტი ყოველწლივ საში ან თოხი კვირტით თავდება და ეს კვირტებიც თითქმის ჰორიზონტალურად ზრდიან ტოტებს. ამნაირად, ფიჭვის ხეს გაშლილი კონუსის შეხედულება აქვს.

ამ ხევში აღმოჩნდა მრავალი (თითქმის მესამედი) არა ჩვეულებრივი ფორმის ხეები. ეს ფორმები შეიძლება ორ ტიპად შევაჯგუფოთ. პირველი ტიპის ხეები დახასიათდება პირამიდალური ფორმით; ეს იქნება *Pinus silvestris* var. *pyramidalis* (იხ. სურათი 1). მათი, გვერდის ტოტები მიიმართებიან, რგოლრც მთავარი ღერო (ტანი) ვერტიკალურად და შორდებიან მთავარ ღეროს ფრიად მახვილი (2—5°) კუთხით; გვერდის ტოტები გაცილებით მძიმედ იზრდებიან, ვიდრე მთავარი ღერო, ამიტომ ხე იღებს ვიწრო და მაღალი პირამიდის სახეს. დატოტვაშიაც არ ეტყობა რგოლებრივი გაწყობა; თუ ზოგჯერ ტოტები რგოლებრივ ეწყობა, მაინც მათი რიცხვი გაცილებით მეტია (15—20 ცალი), ვიდრე ჩვეულებრივ ხეს აქვს.

მეორე ტიპის ხეები იძლევიან ნახევარსფეროს ფორმას. ამას შეიძლება უწოდოთ *P. s. var. compacta*. აქ მთავარი ღერო (ტანი) არ ეტყობა, ხე დატოტვას იწყებს ძირიდანვე და ყველა ტოტი, რგოლრც მთავარი ისე გვერდისა, ერთნაირი საწრაფით იზრდება და იმიტომ ხე ნახევარსფეროს ფრიად კომპაქტურ ფორმას (იხ. სურათი 2) იღებს.

ამ ორი ტიპის ერთმანეთში არევით წარმოშობილია, ალბათ, უმრავლესი ფორმის ის სხვადასხვაობა, რომელიც ამ ხევში ხშირად გვხვდება და თითქმის 30%, შეადგენს. საერთოდ ამ ორ ტიპს, გარდა არანორმალური ფორმისა, შედარებით მძიმე ზრდა, მოკლე ფოთოლი (წიწვი) და წვრილი გირჩი ახასიათებს; ხის ტანის (ღეროს) ანალიზშა გვიჩვენა, რომ არაჩვეულებრივი ფორმის ხე ერთობრად მძიმედ იზრდება, ვიდრე ნორმალური: 8,6 მეტრის ხე ნორმალური ფორმისა 37 წლისა ალმოჩნდა, პირამიდალური ხე თითქმის იმავე სიმაღლისა (8,7 მეტრ.)—63 წლისა. ნორმალური ფიჭვის წიწვი სიგრძით 6-8 სანტიმეტრია, პირამიდალუ-

რისა—3-5 cm., ნორმალური ფიჭვის გირჩის სიგრძე 4-6 cm. ნორმალურისა 3-4 cm.

ეს ფორმები მთელი რიგი ნიშნებით იმდენად მკაფიოდ განირჩევიან ნორმალური ფიჭვებისაგან, რომ ისინი მუტაციით წარმოშობილ ფორმებს უნდა წარმოადგენდენ.



სურ. 2.

ფორმების ამნაირი სიმრავლე ერთ პატარა არეზედ დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს, ამიტომ, ჩვენის აზრით, ეს ადგილი 40 ჰექტარამდე ბუნების ძეგლად უნდა იყოს ცნობილი და მის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

რაც შეეხება ამ მუტანტების გამოყენებას, მათ, ალბათ, სატყეო მნიშვნელობა არ ექმნებათ თავისი მძიმე ზრდის გამო, სამაგიეროდ მათი საპარკო მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა, მით უმეტეს, რომ იმის მიუხედავად, რომ ფიჭვი ფართოდ არის გავრცელებული და მას უდიდესი სატყეო მნიშვნელობა აქვს, მაინც იგი ლამაზი ფორმის ხეებს (პირამიდას, კომპაქტურ ფორმას და სხ.) არ იძლევა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ნაპოვნი ფორმებიდან ახალი საპარკო ჯიშები იქმნება გამოყვანილი.

S. KURDIANI.

PINUS SILVESTRIS L. UND SEINE MUTATIVE FORMEN AN
EINEM FLECKEN IN GEORGIEN.

Zusammenfassung.

An den Abhängen des Ziw-Gombori-Gebirges (Bezirk von Tiflis, Jorital) im Laubwald von Mariam-Dschwari befindet sich eine Schlucht, die sich von einer Höhe von 1200 m allmählich bis zu 600 m niedersenkt und die aus abgewaschenen oligozänen Konglomeraten besteht. Sie ist von einem jungen (40—70-jährigen) spärlichen Kiefernwalde bedeckt und nimmt im Ganzen ein Areal von circa 40 Hektar ein. An einem so kleinen Flecken weist die gemeine Kiefer (*Pinus silvestris* L.) zweierlei (im Hinblick auf die Art des Zapfenansatzes und die des Wachstums) Variationen auf. Da ist eine Kiefer gefunden worden, deren Zapfen am Mittelteile der Zweige und nicht (wie gewöhnlich) an deren Enden angesetzt sind. Ausserdem werden hier Kiefern getroffen, die an ihren Fruchzweigen statt 2 oder 3 Zapfen deren viele (bis 70 Stück) tragen.

Ebdieselbst findet man viele Bäume (fast $\frac{1}{3}$ des ganzen Bestandes), die ungewöhnliche Formen (Habitus) haben. Diese Formen können zu zwei Typen zurückgeführt werden. Die Bäume des ersten Typus unterscheiden sich durch ihre pyramidale Form—*Pinus silvestris* L. var. *pyramidalis*, die des zweiten Typus durch kompakte Form—*P. s. L. var. compacta*.

Aus Mischung dieser zweien Typen ist wahrscheinlich hauptsächlich jener Formenreichtum entstanden, der in dieser Schlucht beobachtet wird.

Diese Formen lassen sich durch eine Reihe von Merkmalen so deutlich von normalen Kiefern unterscheiden, dass die Annahme ihrer Entstehung auf dem Wege der Mutation gerechtfertigt zu sein scheint.

Dieser Reichtum der Formen an einem so kleinen Flecken stellt grosses wissenschaftliches Interesse dar. Deswegen soll dieser Ort (circa 40 Hektar umfassend) zu einem Naturdenkmal erhoben werden.

Ausserdem, kann man aus hier entdeckten Formen neue Parkformen erzeugen.

პროფ. ალ. ჯანელიძე.

მდ. ვერის ხეობა ტფილისის მიღამოები.

(ტაბ. IV).

ერთ-ერთ წინა წერილში მე შევეცალე კუს ტბის ბუნება გა-
მერკვია და ოლვნიშნე, რომ მისი წარმოშობა მამადავითის ანტიკლი-
ნის ჩრდილოეთისკენ დაქანებულ ფრთაზე შრეების დაცოცების შე-
დეგი არის¹⁾. ეს ჰიპოთეზი დასკვა იყო კუს ტბაზე ჩემი პირველისავე
ექსკურსიისა. შემდეგმა დაკვირვებამ იგი სავსებით გაამართლა და
დღეს, ვფიქრობ, მისი სისწორე საჭიროდ აღარ უნდა ჩაითვალოს.
თანაც შესაძლო ხდება ჩემს შეხედულებაში ახლა მეტი გარევუ-
ლობა შევიტანო და მისი მნიშვნელობის ფარგლები საგრძნობლად
გავაფართოვო.

დავიწყებ თვით შრეების დაცოცების ფაქტით. ზემოხსენებულ
წერილში მისი დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთი მხოლოდ ერთი
არის დასახელებული: დანგრეული შრეები ხრამში კუს ტბის ქვემოთ
სემინარიისაკენ. შეიძლება ეს საბუთი ვისმე საქმაოდ არ მიეჩნია.
მიუხედავად ტოპოგრაფიული ფორმების სიცხადისა (მაგ. კუს ტბის
ტაფობის შესახედაობა ლაპლაპის გორიდან), ეჭვი მოსალოდნელი
იყო. მაგრამ ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს მიუჟთითოთ მკითხველს
ახალს, უფრო დამარტინებელ გარემოებაზე. უნივერსიტეტის უკან
(დასავლეთით), 100-ოდე მეტრის მანძილზე წყალაღმა, მდ. ვერას პა-
ტრარა ხევი ერთვის. ამ წყალს ნაკლებად გამძლე ქანებში ლრმა ხრამი
გაუთხრია, რომლის სილრმე შესართავთან წარმოადგენს მთელს სხვაო-
ბას ვერის კალაპოტისა და ვაკის ტერასის დონეთა შორის. აქ თი-
ხიანი ქვიშაქვის შრეების მშვენიერი განაკვეთი გვაქვს და არაჩეუ-
ლებრივი სიცხადით ჩანს, თუ როგორ არის დანგრეული ეს შრეები
ზევიდან ჩამოცოცების გამო. სურათი იმავე ხასიათის არის, როგორც
სემინარიისათან კუს ტბის ქვემოთ. მიმართულებითაც ეტყობა, რომ

¹⁾ ალ. ჯანელიძე, ტფილისის მიღამოების ჰიდროგრაფია. ტფ ილ ი-
სის უნივერსიტეტის მთამბე, ტ. V, გვ. 342.



ორივე შემთხვევაში ერთსაღაიმავე გაწყვეტის ხაზთან უნდა ჰყაული დეს საქმე. ამგვარად არა თუ მთკიცდება კუს ტბის ქვემოთ შრე-ების დაცოცების სინამდვილე, ირკვევა, რომ ეს მოვლენა საქმაოდ ფართო ფრონტის გასწვრივ მომხდარა და არა მხოლოდ იმ პატარა სივრცეზე, საცა კუს ტბა არის.

ამ დაკვირვებას უნდა დაუუკავშიროთ მეორე. იმ ადგილას, საღაც ვერას ვარაზისხვი (უნივერსიტეტის წინ ჩამომდინარე პატარა წყალი) ერთვის, ვერის მარჯვენა ნაპირზე ჩრდილოეთისკენ დაქანებულს თიხიანი ქვიშაქვის შრეებში ნათლად ჩანს საქმაოდ დიდი ამ-პლიტულის ფლექსური. შრეების ნორმული დაქანება ამ კუთხეში არის $NNW \angle 35^{\circ}$, ფლექსურთან იგი ჩამოდის 15° -მდი, ხოლო თვით ფლექსურში 90° -მდი აღწევს. ამავე ფლექსურს ქვევითაც ვხედებით კავკავის შარის პირას მდ. ვერის ხილთან². აქედან ჩანს, რომ იგი ONO არის მიმართული, ე. ი. შრეების მიმართებას მიჰყება. თუ მას ამ მიმართულებით ზევითკენაც (დასავლეთისკენ) განვაგრძობთ, დავინახავთ, რომ იგი უნივერსიტეტის უკან ზემოხსენებულ დანგრეულ შრეებს უერთდება. ამაზე უშუალოდაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუ ვარაზისხვის შესართავიდან ხსენებულ ადგილა-მდი ვერის ნაპირით გავისეირნებთ. ფლექსურის მსვლელობა ყველგან კარგად ჩანს, ისევე როგორც მისი გაგრძელება გაწყვეტილი შრე-ებით. მეორე მხრით, ვარაზისხვისა და მდ. ვერის ხილს შუაც არის ზოგ ადგილას ფლექსური გაწყვეტილი და შრეები აშლილი. ყოვე-ლივე ეს კი ნათელყოფს არა მარტო ვერის მარჯვენა ნაპირის ფლექსურის გავრცელებას, არამედ იმასაც, რომ მასი წარმოშობა შრეების დაცოცებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამით აი-ხსნება, რომ ხილს დაბლა, საცა ვერა OSO-სკენ უხვევს და ფლექსურს ჰქვეთს, მდინარის მარცხენა ნაპირზე ფლექსურის კვალი არა ჩანს, მიუხედავად მანძილის სიმცირისა. ფლექსური რომ ენდოტექტონური³ ხასიათის იყოს, იგი ვერის ხეობაზე ადრინდელი იქნებოდა და უკანასკნელი მის გავრცელებას საზღვარს ვერ დაუდებდა.

²⁾ იბ. ტაბ. IV და მისი აღწერა ამ წერილის ბოლოში. ეს ფლექსური კონიუშევსკის აღნიშნული არა აქვს (Mat. და გეოლ. კავკ., ცერ. IV, ენ. 3). ფურნიეს იგი შეუმჩნევია, მაგრამ ყალბად გაუგია, როგორც დაწოლილი ნაოჭი (Fourrier, Descr. géol. du Caucase centr., p. 177, coupe XXXI).

³⁾ ყოველი გოლოგი, რომელსაც მაღალმთან ადგილებში უმუშავნია, უკველად დამეთანხმება, რომ ენდოტექტონური და ეგზოტექტონური მოვლენების გარჩევა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. თვით ტერმინები ლიტერატურაში არ შემხვედრია, მაგრამ რუსეთის გეოლოგებისგან გამიგონია, რომ მას იქაც ხმარობენ.

მაგრამ აქ ახალი საკითხი იბადება. იმ ადგილამდება, უნივერსიტეტის უკან ღელეში ფლექსური დანგრეულ ქანებს უერთდება, ეს დისლოკაცია ვერის ნაპირს მიჰყება. მისი წარმოშობა ჩვენ შეგვიძლია ვერის ხეობის გათხრასთან დაკავშირებით წარმოვიდგინოთ: როდესაც მდინარემ ჩრდილოეთისკენ ძალზე დაქანებული შრეები ღრმად გააშიშელა, მათ საკუთარი სიმძიმის გავლენის ქვეშ ქვევითკენ ცოცვა იწყეს. მაგრამ სხენებული ღელის ზემოთ (დასავლეთისკენ) ფლექსურის გამაგრძელებელი შრეების გაწყვეტის ხაზი ვაკის ტერასის ქვეშ შედის (აქ ვერის ხეობა ჩრდილოეთისკენ რჩება) და გაუგებარი არის, როგორ უნდა მომხდარიყო შრეების დაცოცება სილრმეში, იქ სადაც მათ გასაჭანი არ ჰქონდათ?

ამ საკითხის გასაშუქებლად საჭირო იქნება ვაკის ქვენიადაგის შედგენილობას შევეხოთ. უნივერსიტეტის ქუჩით რომ ყოფილი სემინარის შენობისაკენ წავიდეთ, სანამ უკანასკნელთან მივიღოდეთ, ზემოხსენებული ოელის შემდეგ მეორე ღრმა ხრამის თავზე მოვაიხდება გავლა, რომელსაც თუ არ ვცდები, ვაკისხევი უნდა ერქვას, იგი თვით ქუჩის პირას იწყება და სათავეშივე აღწევს 20-ოდე მეტრის სიღრმეს. ქრჩა* აქ განსაკუთრებული ჯებირით იყო გამაგრძებული, მაგრამ უკანასკნელი წვიმების დროს (1926 წლის გაზაფხული) მაინც ჩაიქცა⁴⁾, რაც ადვილი გასაგებია, თუ გეოლოგიურ პირობებს გავითვალისწინებთ. ხრამის ორივე ნაპირი ნათელ განაკვეთს წარმოადგენს, და ერთიანად ფხვიერი ნალექი მასალისგან შედგება. ქვევიდან ზევით ჩვენა გვაქვს:

1. მოყვითლო წმინდამარცვლოვანი ქვიშისა და თიხის თხელი შრეების მორიგეობა. შრეები დაახლოებით ჰორიზონტულია, 3-4 cm სისქე, მთელი წყობის საერთო სისქე კი 20-ოდე მეტრი იქნება. იშვიათად, შიგაღაშიგ, ხვინჭის უმნიშვნელო ლინზებიც გვხვდება.
2. ნარიყალის ფენა, რომელიც ალაგ-ალაგ ხლართული შრეებრივობით არის ქვიშისათან დაკავშირებული და ორ მთავარ შრედ იყოფა. ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით მდ. ვერის პირას სემინარის შენობის ჩრდილოეთით ამ ფენის შედგენილობა შემდეგი არის: а) ქვეშ ერთი მეტრის სისქე საკმაოდ მჭიდრო კონგლომერატის შრე, რომელიც ხეობის მაღალ ნაპირს ჰორიზონტულ კარნიზად მიჰყება. მისი ელემენტების დიამეტრის

* ეს სტრიქონები დაწერილია 1926 წლის ზაფხულში. წასული შემოდგომის განმავლობაში აქ მიწას ჰყონილ და დამეწყრილი ადგილი ისევ ამოავსეს.



სიდიდე მეტ შემთხვევაში 2-3 cm არ აღემატება, მაგრამ გვხვდება აგრეთვე 20 cm და მეტიც. მ) ამ შრეს თავზედ ადევს შეუდუღაბებელი რიყე და ხვინჭა, საერთოდ 7-8 m სისქე.

3. დასასრულ, ღვარების მონალეკი ფენა ცვალებადი სისქისა, რომელიც ყვითელ-რუხი „ლიოსისა“ და შიგ ნარევი ქვიშაქვის ნამ-ტვრევებისაგან შედგება. ეს ფენა მთელს ვაკის ტერასს ჰქონდება.

ეს ძლიერი მასა ჰორიზონტულად შრეებრივი მასალისა, რომელიც უთანხმოდ არის განლაგებული ჩრდილოეთისკენ დაქანებულს და გადარეცხილ მკვიდრ შრეებზე, მრავალი მხრით არის საგულისხმო. ვაკისხევსა და მესამე ხრამს შუა, რომელიც უფრო ზემოთ მდებარეობს, იგი ვერის კანიონამდი მიღის და მის მარჯვენა ნაპირს შეაღენს. მთელი ეს მანძილი მდინარისაკენ ერთიანად დამეწყრილი არის. ცუტა უფრო ზემოთ კი ამ ნალექსა და ვერას შუა დარჩენილი არის მკვიდრი კლდის, ჩრდილოეთისაკენ დაქანებული ქვიშაქვისა და თიხის ფიქლების შრეებისაგან შემდგარი მოწამე. თუ ხეობას კიდევ უფრო ზემოთ გავყვებით, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის შემდეგ (სწორი მიმართულებით) წისქვილთან გავალთ. აქ ვერა საკმაოდ ღრმა მენენდრის სახავს სამხრეთისაკენ. მდინარის მარცხენა ნაპირი შორს არის წინ წაშვერილი და ზომიერი დაქანება აქვს. მარჯვენა შეზნექილი ნაპირი, პირიქით, შეულებრივად არის ჩამოწყვეტილი. პირველი კლდოვანი არის, ხოლო მეორე ძირიდან თავამდი ისეთივე ნალექისაგან შედგება, როგორც სემინარიის ქვევით, მხოლოდ მასალა რამოდენადმე უფრო მსხვილმარცვლოვანი ჩანს და ხვინჭა უფრო ხშირია. ექვს გარეშეა, რომ აქიდან ვაკისხევამდი ერთი ღრმა არხი გვაქვს, რომელსაც ვერის ხეობისაგან სხენებული კლდოვანი მოწამე ჰყოფს და რომელიც ნალექით არის ამოვსებული. ეს არხი მხოლოდ მდინარის განათხარი შეიძლება იყოს, ე. ი. აწინდელი ვაკის ტერასის ნაწილი წინათ ხეობა ყოფილა და სწორედ ამ ხეობის მარჯვენა ნაპირს მიჰყება ზემოხსენებული ფლექსური და მისი გამაგრძელებელი ანგრეული შრეების ზოლი. ამის შემდეგ ჩვენთვის ადვილი გასაგები ხდება ამ შრეების დაცოცების მექანიზმი. უნდა აღვნიშნოთ კი, რომ ფლექსურის და შრეების გაწყვეტის ღერძი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დახრილი არის, ისე რომ კავკავის შარასთან მისი აბსოლუტური სიმაღლე 430m უდრის, კუს ტბის ქვევით კი დაახლოებით 500m-მდი ადის. ამის გამო აქ დისლოკაცია ტერასის ზევით მდებარეობს.

მაგრამ ახლა ჩვენს წინაშე დგება სხვა საკითხი: რამ გამოიწვია და როგორ მოხდა ვერის ამ ძველი ხეობის ამოვსება? ვაკისხევში

ნალექის განაკვეთი, ზემოთ რომ აესწერეთ, ნათლად გრიფენებს, რომ ეს მასა ტბაში უნდა იყოს დალეკილი, ხოლო მდინარე მიერა მოტანილი. იგი არ შეიძლება, მაგ., მახლობელი ფერდობებიდან ღვარების ჩამონაზიდად ჩავთვალოთ. ასეთ შეხედულებას ეწინააღმდეგება: კუთხედი ღორღის უქონლობა; მარცვლის სიწმინდე ქვედა ნაწილში და პლასტიური თიხის შრები; ხეინჭისა და კონგლომერატის მორგვალებული ქვები. აღსანიშნავია აგრეთვე სერიის ძირში მდებარე პლასტიური თიხის მოცისფრო ფერი, რაც ღვარების ნალექში შეუძლებელი იქნებოდა დაუანგების პროცესების სიძლიერის გამო.

მაშასადამე, აქ ტბა უნდა ყოფილიყო. იგი ეროვნიულ ხეობაში იყო მოთავსებული და პირობების მიხედვით, მისი წარმოშობა და გუბებას უნდა გამოეწვია. დაგუბება, აშეარა, საღმე ვაკისხევის ქვემოთ უნდა მომხდარიყო. აქიდან იწყებოდა ტბა, რომელიც, თუ ხეობის სილრმეს მივიღებთ მხედველობაში, ზემოთკენ საქმაოდ შორის უნდა გაგრძელებულიყო, რომ მისი დონე მდინარისას გასწორებოდა. ამ ტბის არსებობა ხანძოკლე იყო და მისი დაშრობა ამოვსებით მოხდა. მასალა ვერას შემოჰკონდა დასავლეთიდან, როგორც ამას მოწმობს უფრო მსხევილმარცვლოვანი ნალექი წყალაღმა ზემოხსენებულ წისქვილთან და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აქითკენ რიყის ქვების მორგვალებულობა კონგლომერატში თანდათან უფრო უსრულია. მხოლოდ, ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს თითქო ტბის ამოვსებაში მახლობელი ფერდობებიდან ღვარების მიერ ჩამონატან მასალასაც მნიშვნელოვანი როლი არ ეთამაშოს. პირიქით, ის ფაქტი, რომ ზემოთაღწერილი კონგლომერატის შრეს თავზე რამოღენიმე მეტრის სისქე ღვარნალექი ადევს, სულ სხვას მოწმობს. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტბა გათვისებულ გუბეს არ წარმოადგენდა, რომ მას მდინარე ერთვოდა და მისი ამოვსება უმთავრესად ამ უკანასკნელის საქმეა. სხვათა შორის ის კონგლომერატის ნაგორები ქვები, რომლითაც ტბის ნალექები თავდება, მხოლოდ მდინარის მოზიდული შეიძლება იყოს.

მთელი ეს პროცესი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. საბურთალოსა და ლისის წყლის წარტყვევნის შემდეგ ⁵ ვერამ ვაკის ტერასი მოასწორა. ეს ტერასი რომ საბურთალოს ტერასზე ახალგაზრდაა, იმით ვტყობილობთ, რომ ვერის ხეობისა და საბურთალოს ხეობის გამყოფი სერი სოფ. ბაკების ზემოთ ვაკის ტერასზე მაღალია.



უკანასკნელის საზღვრები იმ დროს საქმაოდ განსხვავდებოდა, დელისგან. ზემოთ აღწერილი ფლექსურის გასწვრივ მას შალალი ფერდობი საზღვრავდა. ვარაზისხევი ამ დროს ვერას არ ერთვიდა, ან თუ ერთვიდა, სადმე ხიდს ქვევით. ეს ნათლად ჩანს იმ გარემოებიდან, რომ ვარაზისხევის ხეობა მის აწინდელ შესართავთან ფლექსურში არის გათხრილი და უკანასკნელის მსვლელობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს.

შემდეგში ვერამ ამ ტერასში გათხარა საქმაოდ ღრმა ხეობა, რომელიც ნაწილობრივ აწინდელ ხეობას მიჰყვებოდა, ნაწილობრივ კი, ვაკისხევიდან ზედა წისქვილამდი, სხვა მიმართულებით მიღიოდა. ამ ხეობის ძირის დონე მდინარის ქვემო ნაწილში თითქმის დღევანდელს გაუთანასწორდა, ხოლო ზემოთკენ 2-3 მეტრით მასზე მაღლა იდგა, როგორც ამას ვხედავთ წისქვილის ნანგრევთან უნივერსიტეტის მამულის ზემოთ ვერის მარჯვენა ნაპირზე და ხიდის ხევის შესართავის პირდაპირ მარცხენა ნაპირზე. მდინარის მარჯვენა ნაპირის ძალზე დაქანებულმა შრეებმა, რომელიც თიხაფიქლებისა და ქვიშაქვის მორიგეობისაგან შედგებოდენ, უეჭველია, ადრევე იწყეს ქვევითკენ (ამ შემთხვევაში ჩრდილოეთისკენ) ცოცვა, როგორც ამას ყველგან აქვს ხოლმე ადგილი მსგავს პირობებში. მაგრამ ამ დროს ცოცვის ინტენსივობამ იმატა და ზემოხსენებული ფლექსური და შრეების გაწყვეტა წარმოშვა. ზევით ამ დაცოცებას შედეგად მოჰყვა ჩაღრმავებითი ტბის, კუს ტბის, გაჩენა, ხოლო ქვევით, როგორც ჩანს, მანვე ვერის დაგუბება გამოიწვია. გაჩნდა ვიწრო, მაგრამ გრძელი ტბა, რომლის სილრმე წყალაღმა თანდათან კლებულობდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ტბის მაქსიმალ სილრმეს ქვემ ნაწილში და პორიზონტალების ვარდნას ნახევარვერსიანი რუკის მიხედვით, ტბა დაახლოვებით უნივერსიტეტის მამულამდი უნდა გაგრძელებულიყო.

წყლის დაგუბებას ნალექის ინტენსიური გროვება მოჰყვა. მასალა შემოჰქონდა ღვარებს მარჯვენა ნაპირიდან და ზეცოდან ვერას. ტბაში მისი დახარისხება და დალექვა სწარმოებდა. ტბის ამოვსება იმდენად სწრაფად მოხდა, რომ მისმა განაკადმა დამაგუბებელი ჯებირის გათხრა ვერ მოასწრო. ამიტომ ნალექი ადრინდელი ტერასის დონეს გაუსწორდა. ამის შემდეგ ისევ მდინარეებ იწყო დენა და ტბის ნალექს ხვინჭა და რიყე მოჰჭინა. მდინარეული ალუვიონი დაგროვდა, რასაკვირველია, ტბის შენაკადშიაც ტბის დონის ზევით და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძველი ხეობის ამოვსების ნიშნებს ვხედავთ სოფ. ბაგებთან და უფრო ზემოთაც. ამავე დროს

დაგროვების ფაზის ახლა ისევ ეროზია მოჰყვა. მდინარემ თავისი სარბიელის გალრმავება დაიწყო და თან მარცხნით, ჩრდილოეთისკენ გადაიხარა. ამ მიგრაციის დროს მან ვარაზის ხევიც თან გაიყოლა. აქ მდინარე ჯერ ახალშენზე მიმდინარეობდა და ვაკის ტერასის ეს ნაწილი საგრძნობლად დაადაბლა. შემდეგ თანდათან მარჯვნით გადაიხარა ტბის ფხვიერ ნალექში და თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. მხოლოდ სემინარიის ზემოთ, იქ საცა ზემოხსენებული ეროზიული მოწამეა, ახალს და ძველ კალაპოტს შუა კარგა მანძილი იყო და, რადგან ტერასი ჩრდილოეთისკენ არის დაქანებული, მდინარე იძულებული შეიქნა ახალი ხეობის გათხრა აქ ეწარმოებია უფრო მაგარ ქანებში. ტბის ნალექი გვერდზე დარჩა ხელუხლები. ზემო წისქვილთან ძველი და ახალი ხეობა ისევ ერთმანეთს ხვდება და შემდეგ მათი მიმართულება დაახლოვებით ერთიდაიგივეა.

თანდათანობით ახალმა ხეობამ მიაღწია ძველის სილრმეს და კიდეც დასცილდა მას. ამის მაჩვენებელი არის ის გარემოება, რომ უკვე ხსენებული დანგრეული წისქვილის არხის გასწრივ ახალი კალაპოტის ძირი რამოდენიმე მეტრით უფრო დაბლა არის ვიდრე ძველისა. თანაც აღსანიშნავი არის, რომ წყალდაღმა განსხვავება ძველი და ახალი კალაპოტის სილრმეთა შორის ნაკლები არის. აქიდან შეგვიძლია დავასკრათ, რომ ტბისადრინდელი ვერა უფრო ჩქარ მდინარეს წარმოადგენდა, ვიდრე აწინდელი. უკანასკნელი უფრო მიახლოვებია ძალთასწორობის პროფილს.

სანამ ქვევით ვერა კალაპოტს აღრმავებდა, ზევით ტერასზე ღვარები და ქარი თავის საქმეს განაგრძობდენ. მახლობელი ფერდობიდან მათ ჩამოჰქმნდათ გამოფიტული მასალა და კონგლომერატის თავზე აგროვებდენ იმ ქვიშიან თიხას, რომელსაც დღეს სააგურედ ხმარობდნ. უკანასკნელმა ერთიანად დაპფარა მთელი ტერასი, მაგრამ ადვილად გასაგები მიზეზების გამო მისი სისქე ყველგან ერთი არ არის.

ასეთი არის ვერის ხეობის ევოლუციის უკანასკნელი ეტაპები ვაკის მიღამოებში. კუს ტბის წარმოშობა ამ ევოლუციის ერთი მცირე ეპიზოდია. მისი ხასიათის ჩემი პირველი ახსნა⁶ არსებითად სწორი გამოდგა, მხოლოდ შრეების დაცოცება გაცილებით უფრო დიდი ფარდსაზომით მომხდარა, ვიდრე მაშინ ვფიქრობდი. ასეთი

⁶) Loc. cit., p. 348

დაცოცების დროს მოძრაობის უსწორმასწორობათა გამო უზრუნველყოფილი წარმოშობა ჩვეულებრივი მოვლენა არის ⁷⁾.

ტაბულის აღწერა.

ტაბულაზე მოცემულია ვერის ხეობის განაკვეთები: 1. ქვის ხიდთან კავკავის შარის პირას; 2. ვარაზის ხევის შესართავთან; უკანასკნელის მარცხენა ნაპირით; 3. უნივერსიტეტის უკან მდებარე პირველი ხევის მარცხენა ნაპირის გასწვრივ; 4. ვაკისხევსა და სემინარიას შუა; 5. სემინარიის დასავლეთით; 6. უნივერსიტეტის მამულზე; 7. სოფ. ბაკემზე, ხიდისხევის მარცხენა ნაპირით.

დგარნალევი (უმთავრესად „ლიოსი“) წარმოდგენილი არ არის. წყვეტილი ხაზით აღნიშნულია მდინარის ძველი კალაპოტი.

პორიშონტული ფარდსაზომი 1 : 21000. სიმაღლეები გაორკეცებული.

7) ა. ჯანელიძე, მეჭყერი და მსგავსი მოვლენები რაჭაში, in გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, 1926. გვ. 220.

A. DJANÉLIDZÉ.

LA VALLÉE DE LA VÉRA DANS LES ENVIRONS DE TIFLIS.

(Résumé).

En poursuivant ses études de l'histoire du réseau hydrographique des environs immédiats de Tiflis, l'auteur s'occupe cette fois de la vallée de la petite rivière Véra qui est un affluent droit du Mtkvari (Koura).

Entre la ville de Tiflis et sa banlieue septentrionale Sabourthalo, près du pont de la Véra, sur la rive droite de cette dernière on remarque dans les grès oligocènes une flexure. Cet accident n'a jamais été décrit ni figuré que par E. Fournier¹, mais ce géologue l'a interprété comme un pli couché ce qui est évidemment inexact. On peut suivre cette flexure en amont de la rivière jusqu'au premier ravin qui se trouve à l'ouest de l'Université entre celle-ci et l'Ancien Séminaire. Plus loin elle se continue par une rupture dans les mêmes couches, qui est en rapport manifeste avec le glissement des couches de grès et d'argiles schisteuses ayant donné naissance au Lac des Tortues². Le glissement s'est produit sur le flanc nord de l'anticinal du Mont St. David vers la Véra dont le lit ne se trouvait pas alors à la même place qu'aujourd'hui, mais plus au sud (v. sur la planche les coupes successives de la vallée). Cet ancien lit est actuellement comblé avec des alluvions lacustres. En étudiant leur origine l'auteur montre qu'un lac de barrage s'est formé ici, probablement à la suite du glissement des couches susmentionné. Ce petit re-

¹ E. Fournier, Description géologique du Caucase central, p. 177, coupe XXXI Marselle 1896.

² A. Djanelidzé, Contribution à l'étude de l'hydrographie des environs de Tiflis: *Bull. de l'Univ. de Tiflis*, t. V, 1925, p. 342.



sevoir a dû être vite comblé par les apports de la Véra et ensuite achévé de modeler la terrasse du Vaké. Plus tard la rivière s'est déplacée au nord où elle a creusé son lit actuel.

Explication de la planche.

La planche donne les coupes transversales successives de la vallée de la Véra. Les coupes passent: 1. près du pont de la Véra; 2. par la rive gauche du Varasis-Khévi; 3. entre l'Université et le Vakis-Khevi; 4. entre le Vakis-Khévi et le Séminaire; 5. à l'ouest du Séminaire; 6. par la rive gauche du Khidis-Khévi (le vill. de Bakébi).

La couverture de «loess» n'est pas représentée. Le pointillé indique l'ancien lit de la rivière.

Echelle des longueurs 1 : 21000; éch. des hauteurs 1 : 10500.

პ. თათარიშვილი.

**გოხნარის მიღამოვას მოდლე ჰიდრო-გეოლო-
გიური მიმოხილვა.**

ადგილ-მდებარეობა.

ადგილი, გოხნარიდ წოდებული, მდებარეობს მანგლის-წალკის გზატკეცილზე, მანგლისიდან, სწორი ხაზით, ათიოდე კილომეტრის მანძილზე. ამჟამად ეს ადგილი დაუსახლებელია. წარსულში კი ამ ალაგას სოფელი ყოფილა, რასაც ამტკიცებს ეკლესიის ნანგრევი და მის გალავანში ძველი სასაფლაო. ეკლესია აშენებულია, ლიპარიტერისთავთ-ერისთავის მიერ, ბაგრატ IV-ის დროს მეთერთმეტე საუკუნეში. გზატკეცილი ამ ნანგრევს გვერდით უვლის. ამ ნანგრევიდანვე ნახევარი კილომეტრის მანძილზე, ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით, არის ორი ღამის გასათევი, დუქანი. პირველი ღუქანი (აღმოსავლეთის მხრივ) 1230 მეტრის სიმაღლეზეა.

გზატკეცილი საკმაო მაღალ სერს უვლის პორიზონტული მიმართულებით. გზატკეცილის ქვემოთ სერი ძლიერ არაა დაქანებული და უერთდება ბზის-წყლის ხეობას. „ბზის წყალს“ ახლო-მახლო სოფლელები ეძახიან, ხუთ ვერსიან რუკაზე კი ეს ღელ „ლაპის წყლად“ იწოდება, ხოლო ერთ ვერსიანზე „ზიმოვნიჩა“-დ არის მონათლული. გზატკეცილის ზევით კი სერი საკმაოდ დაქანებულია, შემდეგ ამას მოსდევს პატარა დავაკება, მერე კვლავ დაქანება; ეს მეორდება რამდენჯერმე და ბოლოს ფართე დავაკებას მოსდევს შვეულებრივად ამართული სალი კლდე, რომლის ზემოთ ხელის გულივით სწორი ზეგანია გაშლილი 1600 მეტრის აბსოლუტურ სიმაღლეზე. რუსული რუკების მიხედვით ამ ზეგანს „უოლტაია გორა“ (ყვითელი მთა) ეწო-

დება, ხოლო ბროსეს მიერ გამოცემულ ვახუშტის რუკუ „საკრისალ“ არის ხენებული. ჩვენც ამ სახელშოდებას ვიხმართ.

ამ ზეგანის სამხრეთით, შვეულებრივად ჩამოგლეჯილი კლდის ქვეშ დავაკება მოფენილია აუარებელი, სხვადასხვა ზომის ლოდებით. ქართველები ამ ადგილს „ლოდიანს“ ეძახიან, ხოლო რუსები „დათვის ხევს“ (ძევეჯა ბალკა). ლოდიანში ხშირია ხელოვნური ზღუდები და გვირაბები, სადაც მასალაც ნახმარია მხოლოდ ლოდები, უკიროდ და უტალახოდ. ამ ნაშენების გამოსაკვლევად მოეწყო ექსპედიცია სახელ. უნივერს. დოკუმენტის ლ. მელიქ ქსეთ-ბეგის მეთაურობით, რომელშიაც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა.

ლოდიანის მერიდიანზე საკრისის ზეგანს განი ერთი კილომეტრი ექნება. მისი ჩრდილოეთის ნაპირი შვეულებრივად კლდოვანია, შემდეგ მისდევს ძლიერ დაქანებული ფერდობი მდ. ალგეთამდედასავლეთით საქრისი ფართოვდება და უერთდება იმ კუთხეს, რომელსაც საერთოდ წალკას უწოდებენ; საკრისის აღმოსავლეთის ფერდობი კი ძლიერ დაქანებულია, ხშირი ტყით არის შემოსილი და იყოფა მრავალ ხევებიც მდ. ალგეთს უერთდებიან მანგლისის დასავლეთით. ამ მხრივ ზეგანის კიდეზე პატარა ეკალესიის ნანგრევია და მის წინ ქვის ჯვრებია ამართული. იქვე დევს დიდი წრეებგამოსახული ლოდი. ამ ადგილს ქართველები „მარიამ-ჯვარს“ ეძახიან, რუსები კი, „ქვის პატარძალს“ (Каменная невеста). ამ ლოდის ვახუშტიც იხსნებას, ხოლო დაწვრილებით ლ. მელიქ-ს ეთ-ბეგს აქვს აწერილი¹. ეს წერტილი 500 მეტრით მაღლაა მანგლისზე. აქედან ამ უკანასკნელზე ოვალ-წარმტაცი სურათი იშლება და კიდევაც ზაფხულობით მრავალი ხალხი ამოდის სასეირნოდ. ძველად ეს ადგილი წმიდა და სათაყვანებლად ყოფილა მიჩნეული.

ჩვენი მიმოხილვის მთავარ საგანს შეადგენს საკრისი და მისი ფერდები, ანუ ადგილი მდ. ალგეთსა და ბზის-წყალს შუა.

ბიბლიოგრაფია.

გოხნარის მიდამოების შესახებ გეოლოგიური ლიტერატურა ერთობ ლარიბია. ჩვენი ცნობებით, მხოლოდ ინუქნერი წულუკიძე² შეეხმ ამ ადგილებს გეოლოგურის მხრივ³. უნდა აღნიშნოთ, რომ

¹⁾ ლ. მელიქ-ს-ე-დ-ბეგი, მანგლისის რაიონი: „ახალი სკოლისკენ“ 1924 წ. № 2—3, გვ. 77—79.


²⁾ ვახუშტი, გეოგრაფიული აღწერა საქართ. ბროსეს გამოცემა, პეტრ. 1842, გვ. 170; ლ. მელიქ ქსეთ-ბეგი, օრ. eit.

³⁾ Материалы для геологии Кавказа, сер. II-ая кн. I-ая 1887 года.

წულუკიძის და ჩვენი დაკვირვება, ამ ადგილის გეოლოგიურ შემთხვევა ნაგობის შესახებ, ერთიმეორეს არ უდგება.

განაკვეთის მიმართულება.

წულუკიძის განაკვეთი იწყება მანგლისის აღმოსავლეთით მაღლობებში, გადის ძეველ მანგლისზე, სჭრის მდ. ალგეთს, საკრისს, ბზის-წყალს და თავდება ბზის-წყლის გალმა მთის კალთებში. განაკვეთი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთი-საკენ (სურ. 1).



სურ. 1. თეორიული განაკვეთი არხოტსა და მზის-წყალს შუა.

ჩვენი განაკვეთი (სურ. 1) იწყება ს. არხოტთან, სჭრის მდ. ალგეთს, საკრისს და თავდება ბზის-წყალთან გოხნარის ქვემოთ, განაკვეთი მიმართულია ჩრდილოეთ-სამხრეთით. ამ ორ მიმართულებას შორის დიდი განსხვავება არ არის. ორივე საკრისთან ჯვარედინდება და აქ მაინც მათ შორის განსხვავება არ უნდა იყოს. არც აქ არის მათ შორის მსგავსება და ამიტომ გასავარებია, რომ მიმოხილვის დროს წულუკიძის განაკვეთს კრიტიკულად შევეხებით.

ს. არხოტიდან გოხნარის ეკულესიის ნანგრევამდე საკრისის ზეგანის ირგვლივ.

ა. პირველი წრე.

ს. არხოტი მდებარეობს საკრისის ჩრდილოეთით მდ. ალგეთის პირას. მდინარე ვიწრო და ღრმა ხეობაში იყვლებს გზას და მისი ორივე ნაპირის აღნავობა ნათლად ჩანს. ფრნები შესდგება ქვაშაქვისა და ფიქალებრივი თიხისაგან, რომლებიც ერთიმეორეს მორი-



გეობით მისდევენ. სისქით ხან ერთი სკარბობს, ხან მეორე ფრენული გარც ტფილისის მიდამოებში. არსებითადაც ეს ფენები უცნდეს მიდამოების გაგრძელება უნდა იყოს. მდ. ალგეთი მათ გან-და-გან სწრის. ფენები დახრილია სამხრეთით. ს. არხოტან მდ. ალგეთი 1100 მეტრით მაღლაა ზღვის დონეზე, ხოლო საკრისის ზეგანი 1600 მეტრით, ასე რომ 500 მეტრის სიმაღლე ძლიერ დაქანებული მთის გვერდი ს. არხოტს ზედ დაჰყურებს.

იგივე, სამხრეთით დაქანებული ფენები ძლიერ მკეთრად ჩანს. არხოტსა და ს. შახვეტილს შუა, ალგეთისავე ნაპირებზე, სამონდე კილომეტრის მანძილზე, ქვემოთ. ალაგ-ალაგ ალგეთი პაწია ჩანჩქრებად ვარდება ძირს, ამ შემთხვევაში ფენები ნათლად ჩანს და მათი სა-მხრეთით დაქანებაც აშკარაა. არსად ამ ხაზზე დანალექ ქანებს ზედ არ ადევს ვულკანური ქანები, გარდა საკრისიდან ჩამონანგრევი ქანებისა.

ამ ადგილის შესახებ წულუკიძის შრომაში ვკითხულობთ შემდეგს: „У сел. Архоты базальты слагают берега Алгетки, в которой и покрывают эоценовые осадки, состоящие из толстых, темносерых песчаников и мергелей. Мощные толщи их разбиты здесь трещинами на куски и глыбы, которые обваливаясь образуют значительных нагромождения. Базальты в рассматриваемом пункте представляют породу черного цвета.

ეს ქანი არის არა შავის, არამედ ღია ნაცრის ფერისა. და არც ბაზალტია, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. პროფესორმა ალ-თვალჭრელი მე ამ ქანის ჩვენ მიერ მოტანილი ნიმუში თავის ლაბორატორიაში გამოიკვლია და ის აღმოჩნდა ოფიციური სტრუქტურის ანამეზიტი; მართლია ის ბაზალტის ჯგუფისაა, მაგრამ არა ბაზალტი. პატივცემულ პროფესორს დახმარებისათვის აქვე მადლობას ვუძლენით.

ამ ქანზე ჩვენ ქვემოთ კიდევ ვვეჯნება ლაპარაკი. მისგან შესღება საკრისის ღერძი, ლოდიანი და სხვა ადგილები, მაგრამ მდ. ალგეთის ნაპირებზე არხოტში, საკრისიდან გადმოვორებული ლოდების გარდა, როგორც ვთქვით, იგი არ მოიპოვება. შეიძლება აკტორს „ალგეთის ნაპირები“ ფართედ ესმის და საკრისის კლდოვანი კიდეები, რომელიც სამი კილომეტრით არის დაშორებული ალგეთის ნაპირებს, ალგეთის ნაპირად მიაჩნია. ეს იმას ჰგავს, რომ ფუნიკულორთან ჩამოგლეჯილი კლდე მტკვრის ნაპირად მივიჩნიოთ.

ქვემოთ მანგლისის მიმართულებით ერთსა და იმავე სურათს ვხედავთ: ყველგან ქვიშაქვა და ფიქალებრივი თიხა ბატონობს.

წულუკიძის განაკვეთში მდ. ალგეთი ძევლი მანგლისის და-

სავლეთით სინკლინის ღერძზე მიმდინარეობს, ხოლო ძველი მანგლისტიკური ანტიკლინის ღერძზე ნაჩვენები. ესეც შეცდომად მიგვაჩნია, რაც გან, როგორც მდ. ალგეთის ორთავ ნაპირზე ისე ძველი მანგლისის ცნობილი ტაძრის გვერდით, ფენები სულ სამხრეთითაა დაქანებული. აქ არავითარი სინკლინ-ანტიკლინის მორიგეობას აღგილი არა აქვს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკრისის ქედი წულუკიძის განაკვეთში ძველ მანგლისზე ოდნავ მაღლა არის ნაჩვენები, სინამდვილეში კი პირველი მეორეზე ეჭვსასი მეტრით მაღალია. თვით საკრისის ქედი, ავტორის აზრით, წარმოადგენს ანტიკლინს, როგორც ძველი მანგლისი. ამ მეორე ანტიკლინის ღერძი საკრისის შუაგულ გადის, ასე რომ ქედი წულუკიძის განაკვეთით მთლიანად დანალეჭი ქანებისაგან შესდგება, არსად გულკანური ქანი აქ ნაჩვენები არ არის.

გონიურის მხარეზე, ე. ი. საკრისის სამხრეთ ფერდზე, იმავე სურათს ვხედავთ, რასაც არხოტან. აქაც ქვიშაქვა და ფიქალებრივი თიხა განვითარებული და სამხრეთით დახრილა. კარგი გრძაკვეთია, სხვათა შორის, ლაკვის წყაროს გვერდით, ღუქანთან, გზატკეცილის გასწროვ. ამ ქვიშაქვაში ხშირად მცენარეების გაურკვეველი აღნაბეჭებია, რომელთა მაგვარს ხშირად ვხედავთ მცენარეულისის მიღმოებშიაც. მცხეთის ჯვარის-საყდარი ამგვარი აღნაბეჭებით მდიდარ ქანებზე აშენებული. სხვა ნამარხები ამ ქანებში არ შემიმჩნევია და არც დრო მქონდა საკმაო მთა საძებრად. იგივე ფიქალებრივი თიხა და იმავე მიმართულებით დაქანებული კარგად სჩანს ლიპარიტისეული ეკკლესიის ნაგრევის წინ, როგორც გზატკეცილის პირას ისე პატარა ხევებში.

ამნაირად, საკრისის მთის ირგვლივ არხოტიდან გონიურამდე ყველგან ქვიშაქვისა და ფიქალებრივი თიხის ფენებს ვხედავთ რიგოვად. ფენები ყველგან სამხრეთითაა დახრილი.

ბ. მეორე წრე.

ს. არხოტში მხოლოდ ნახევარი საათი დავყავით და მდინარის გაღმა, სამხრეთით, ტყით დაბურულ ფერდობზე არ ავსულვართ და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ ქვიშაქვას რა ადევს ზედ უშუალოდ; მაგრამ ს. შახვეტილთან, რომელიც სამიოდე კილომეტრითაა ს. არხოტს დაშორებული, 120 მეტრის მაღლა ალგეთის დონედან ქვიშაქვა არა სჩანს, სამაგიეროდ ვხედავთ კონგლომერატს: სხვადასხვა ზომის ქნებები, ქვიშაქვის ნამტვრევები და ანამეზიტის დიდი ნაგორები ქვები ერთიმეორეშია არეული და შეცემენტებული.



მავე ქანებს ვხედავთ უფრო მაღლა, 232 მ. (1232 აბსოლუტური ალგეთის დონეზან). ზემოთ-კი ადგილი სქელი ნიადაგითა და წმინდა ტყით არის შემოსილი და აქ ფენების გარჩევა შეუძლებელია. მაგრამ მარიამ-ჯვარის, სამხრეთით, გოხნარ-მანგლისის საურმე გზის პირას, ჯერ ვხვდება ქვიშაქვა. ფიქალებრუვი თიხა და შემდეგ დაახლოებით 1300 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონეზან იწყება კონგლომერატი, რომელიც უთანხმოდ ადევს ქვიშაქვას. ერთ აღაგას სჩანს წვრილი კენჭები მჭიდროდ ერთიმეორესთან შეცემენტებული, თხელი, სამოციოდე სანტიმეტრის სისქის მქონე ზოლივით გაყოლებული და მის ზემოთ კვლავ კონგლომერატები გრძელდება, სადაც ნაგორები ანამეზიტები ძლიერ ბევრია. კი დავ ზემოთ, საურმე გზა პატარა ულელტეხილზე გადის, რომლის მარცხნივ გორაქზე, ანამეზიტების დიდი სვეტებია აჩხირული. ამ წერტილიდან მშვენივრად სჩანს როგორც ძველი, ისე ახალი მანგლისი. აქედან რომ ძველი მანგლისისკენ სწორი ხაზი გავატაროთ, მივიღებთ დაახლოებით ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებას და, მაშასადამე, წულუკიძის განაკვეთიც საღმე აქ უნდა გადიოდეს. ამ ულელტეხილის ღერძი ანამეზიტებს უჭირავს. შემდეგ, დაბლა, გოხნარისაკენ კვლავ კონგლომერატი გვხვდება გზატეტილამდე, რაც ბუნებრივია, და შემდეგ გზატეტილთან კვლავ ქვიშაქვა და ფიქალებრუვი თიხა იჩენს თავს. ეს განაკვეთი საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს გოხნარის მიღამოების სტრატიგრაფიის შესწავლის დროს.

კონგლომერატის ჩვენ ვხედავთ მეორე მხრივაც ე. ი. დუქანსა და ექლესის ნანგრევს შეუ. აქ პატარა ხევი ჩამოდის, რომლის დასაწყისი ლოდიანთან არის; გზის სიახლოეს ხევი საკმაო განიერია, მისი ნაპირები ციცაბოა და აქ კარგი განაკვეთიც სჩანს. ქვიშაქვა და ფიქალებრივი თიხა აქ ძლიერ შენჯლრეულია, მასზედ ვარჩევთ სწორედ იმ შეცემენტებული ხრეშის ზოლს, რომელიც ვნახეთ ულელტეხილის გადაღმა, ხოლო ხრეშის ზოლის ზემოთ აქაც ნაგორები ანამეზიტების შემაგრებულ ლოდებს ვხედავთ.

ამნაირად, არხოტიდან მოყოლებული გოხნარამდე ქვიშაქვა და ფიქალებრივ თიხას უთანხმოდ ზედ ადევს კონგლომერატის საკმაო სქელი ფენა.

ზემოხსენებული ავტორი კი კონგლომერატებს თავის განაკვეთში საკრისის ანტიკლინის სიღრმეში ათავსებს, ხოლო ტექსტში ამბობს, რომ ვ ვერ ხვერცი არ არის. მის განაკვეთში კი მდ. ალგეთი ქვიანი კონგლომერატი არისო. მის განაკვეთში კი მდ. ალგეთი ქვი-

შაქერის ფენების სინკლინის ღერძზე მიმდინარეობს. აშკარა ჭინჩილი მდეგობაა ტექსტისა და განაკვეთს შორის.



გ. მესამე წრე.

მესამე წრე წარმოადგენს საკრისის ქედზეგანის ღერძს, მის შუაულს. საკრისის კიდეები, როგორც არხოტ-შახვეტილისა ისე გოხნარის შხრივ, შვეულებრივად ჩიმოთლილი კლდეებისაგან შესდგება. ეს კლდეები ანამეზიტის უზარმაზარი სვეტებია, ერთი მეორეზე მჭიდროდ მიკრული და შვეულებრივად ამართული. სწორედ ამიტომაცაა საკრისის ზეგანი ტახტივით ბრტყელი. ანამეზიტის სვეტების ბრტყელი თავები ფილაქანივითაა დალაგებული და ალა-ალაგ ეს საუცხოოდ ჩანს. სვეტებს შუა ნაპრალები მიწით არის ამოესებული. ზედ ბალახ-ყვავილი ხარობს, ხოლო თვით ანამეზიტის ბრტყელი თავები, ჭაღრაკის უჯრედებივით არის აქა-იქ გამოჩენილი. მარიამ-ჯვარიდან დასავლეთით სამიოდე კილომეტრი გავიარეთ და ყველგან ერთი და იგივე სურათი გვხვდებოდა. მარიამ-ჯვარიდან სამხრეთით ზემოხსენებულ უღელტეხილამდეც იგივე სანახაობაა. გამოდის, რომ საკრისის ზეგანი დიდ მანძილზე ყალყზე დამდგარი ანამეზიტების სვეტებისაგან შესდგება.

ინუენ. წულუკი ძის განაკვეთზე საკრისის ქედი ანტიკლინის ღერძად, ერთგვარ ზურგა მთად არის გამოყვანილი, სადაც ზევით ქვიშაქვის ფენებია და ქვევით, სილრმეში, კონგლომერატები, ხოლო ანამეზიტები ანუ, ავტორით, ბაზალტები არსალა ჩანს. ტექსტში ბაზალტებზე ბევრია ნათქვამი, განაკვეთში მანგლისიდან გოხნარამდე იგი არსად არ არის ნაჩვენები.

ლოდიანი.

ლოდიანი 1500 მეტრით მაღალია ზღვის დონეზე. აღსანიშნავია, 1925 წ. 17 მაისს თოვლი ვიწრო და გრძელ ზოლებად აქა-იქ იდვა, როცა თვით საკრისზე, რომელიც ლოდიანზე გაცილებიც მაღალია, თოვლის ერთი ნამცეციც არ მოიძებნებოდა. ლოდიანი საკრისის გაგრძელებაა, მხოლოდ მთა (ანამეზიტის კლდე) გატეხილა და მოზრდილი ნაწილი გადმონგრეულა და შექმნილა ერთგვარი დავაკება, სადაც ატრიასფერის აგენტებს სამოქმედო ასპარეზი გასჩენია, ანამეზიტის სვეტებისათვის თიხა-ნიადაგი მოუცლია და გატიტვლებული მზეზე გამოუჩენია. იგივე აგენტები ახლა ამ გატიტვლებულ კლდეებს სცემიან, ათასფრად გაუხეოქიათ და მიუნგრ-მოუნგრევიათ. პირვენდელი სვეტები ახლა მხოლოდ აქა-იქა სჩანს დამტვრეული ლოდებით გარშემორტყმული.

ლოდიანს სიგრძე, აღმოსავლეთ-დასავლეთით, მეტრი ექნება, ხოლო სიგანე ასიოდე მეტრი. სამხრეთის შზრძე ის ძნელი მისასვლელია, ხოლო დასავლეთის მხრივ შედარებით აღვილი და სწორედ ამ მხრივ სჩანს ამ ლოდებისაგან გაკეთებული, ხელოვნური, სქელი გალავანი. ლოდიანის ზოგან საკმაო ფართე ნაპრალებს და მის გარშემო მიყრილ-მოყრილ, უთვალავ, სხვადასხვა ზომის ლოდებისათვის ადამიანსაც მიუქცევია ყურადღება, ზოგან ნაპრალისათვის გან-და-გან ბრტყელი და ფართე ლოდი დაუფარებია სახურავად, ზოგან ბუნებრივად ამართული სვეტებისათვის ქვები მიუშველებია და ერთგარი, გვირაბში შესავალი კარი გამოუყვანია. ზოგან იმავე ლოდებისაგან კედლები ოსტატურად ამოუყვანია, ლოდებით გადაუხურავს, და გამოსულა რაღაც გვირაბ-თავშესაფარი. თავშესაფარი, ვამბობ იმიტომ, რომ ამ გვირაბების მოცულობა ერთობ ვიწრო და პატარაა და ვეჭვობ, რომ იგი ოდესმე ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ყოფილიყოს: იქ არავითარი ამისი კვალიც არ სჩანს.

საკრისის ქედის წარმოშობის მოკლე ისტორია.

როგორც ვნახეთ, საკრისის ქედს საძირკვლად უდევს ქვიშა-ქვა და ფიქალებრივი თიხა, მორიგეობით დალეკილი და სამხრეთით დაქანებული. დამახასიათებელი ნამარხების უქმნლობისა გამო შეუძლებელია ამ ფენების ამა თუ იმ გეოლოგიური სართულისათვის მიკუთვნება. სახელ. უნივერსიტეტის ასისტენტმა ბ. ყავრი შვილმა ამ ფენებში მანგლისის აღმოსავლეთით იპოვა ორსაგლულიანი მოლიუს-ქების კალაპოტები, მაგრამ იმდენად ცუდად შენახული, რომ არა თუ სახის, გვარის განსაზღვრაც კი ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ბ. ყავრი შვილის მიკვლევა საყურადღებოა და სწორედ იმ მიდამოებშია კვლევა-ძიების მოხდენა საჭირო. ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ეს ფენები ტფილისის მიღამოების მესამეული ფენების გაგრძელებაა და გვგონია, რომ, ყოველ შემთხვევაში, ოლიგოცენ-მიოცენზე უფრო ძველი არ უნდა იყოს. ქვიშაქვის ფენებს ხნოვანობით მოსდევს ანამეზიტი, ეს მთავარი ქანი, რომელიც აგვირგვინებს თანამედროვე საკრისის ქედს. საიდან წარმოიშვა იგი? სამწუხაროდ აქაც ძნელად გადასაჭრელი საკითხის წინაშე ვდგავართ. ქანის სტრუქტურა ამტკიცებს, რომ ის გაცივებული ლავაა. მაგრამ საიდან მოვიდა ეს ლავა? ადგილობრივ ამოინთხა დედამიწის სილრმიდან, თუ შორიდან მოვიდა, მესამეულის ფენებს ზედ მოეფინა და გაცივდა? პირველ შეხედულებას გაარკვევს საკრისის ანამეზიტის ექს-

პლოატაცია ფართე მასშტაბით. ეს ქანი პრაქტიკულად უძლიერი უდიდესი სასარგებლოა: მჩატეა, ადვილად სათლელი და ლამაზი უძლიერი უდიდესი გამოდგება, როგორც საშენად ისე ქუჩების მოსაფენად. მეორე შეხედულების გასარკვევად არემარის დაწვრილებითი გეოლოგიური შესწავლა საჭირო. ყველაზე უფრო ახალი ფორმაცია საკრისის ქედზე არის კონგლომერატი. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მოუვა კაცს ამ კონგლომერატების დანახვაზე, არის მათი მდ. აღგეთის ტერასებისათვის მიუკთვნება. მავრამ, ერთი რომ ამ კონგლომერატებს ვხედავთ იქ, სადაც მდ. აღგეთი არ უდგება, სახელით დობრ გოხნარის დუქანსა და ნანგრევს შუა, და მეორე ანამეზიტების ლოდები, ნავორები და დამრგვალებული, შიგ არის მოქცეული. უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, თითქო აღგეთისაზე უფრო მძლავრ ტალღებს ემოქმედოს საკრისის ქედის ირგვლივ, ანამეზიტების გაცივების შემდეგ. გადაჭრით აქაც არაფრის თქმა არ შეიძლება; არემარის უფრო ფართედ შესწავლა საჭირო

საკრისის ქედის ჰიდროლოგია.

ჰიდროლოგია ადგილის გეოლოგიური აღნაგობისაგანაა დამოკიდებული. როგორც ვიცით, საკრისის შუაგული ანამეზიტების სვეტებს უჭირავს, მათ გარს არტყია კონგლომერატი, ხოლო საძირკვლიდ ქვიშაქვა და ფიქალებრივი თიხა დაგებული. ანამეზიტს ზედ ადევს ანუ, უქეთ რომ ვსოქვათ, მისი სვეტებშუა ნაპრალები ამოვსებულია შავი პოხიერი ნიადაგით. ნიადაგი წვიმა-თოვლის წყალს ადვილად უშვებს ძირს, მაგრამ სილრმეში მას ანამეზიტის მჭიდრო კლდე ხვდება, რომელიც პრაქტიკულად წყლის არგამტარია. წყალი იძულებულია განზე იძოვოს გასასვლელი და საკრისის ქედის ზემო კალთებზე წყაროების სახით იჩენს თაგს. ამნაირად გაჩენილია ლოდიანის და საკრისის ქედის დასავლეთით გამომავალი წყაროები. ხელოვნური ტბაც საკრისის დასავლეთითვე ამგვარი წყაროთი საზრდოობს.

უფრო ღრმად წასული წვიმა-თოვლის წყალი კონგლომერატებს წააწყდება. კონგლომერატი წყლის საუცხოო გამტარია და ამავე დროს მისი გამწმენდაცი, მასში წყალი ადვილად გაივლის, მაგრამ ძირს დალაგებული ქვიშა-ქვა და ფიქალებრივი თიხა წყალს იკერს და ისიც იძულებულია საღმე ფერდობზე გასავალი იპოვოს. ამგვარად, გაჩენილია ლაგვის წყარო, გოხნარის დუქნის წინ. წყარო სწორედ კონგლომერატებსა და ფიქალებრივ თიხას შუა გამოდის. შახვეტილის წყაროც კონგლომერატ ფიქალებრივ თიხის მიჯნაზეა.

საერთოდ საკრის - გოხნარის ფერდები წყლით მდიდარია. უძრი ნიადაგი პოხიერი, ჰაერი საღი, და სრულიად ბუნებრივია, რომ XI—XII საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ძლიერების ხანაში, სიცოცხლის მაჯის ცემა ამ მიღამოებში თვალსაჩინო იყო, რასაც მოწმობს მრავალი ეკკლესიის ნანვრევები და სასაფლაოები. აქაც გეოლოგიას უძევს თავისი წილი, რადგან ეს ეკკლესიები და საფლავის ქვები იმავ ანამეზიტის ლოდებისგან არის გამოთლილი. ეს მკვიდრი მასალა რომ აქ არ ყოფილიყო, ვერც ეს კულტურის ნაშთი მოაღწევდა ჩვენ დრომდე.

გ. ჩიტაბა.

პიტარეთისა და გუდარეხის საცლავის-ძვები.

როდესაც გასული წლის ზაფხულში მუხეუმის დავალებით აღ-
 ბულახ-წალკის რაიონში სამუშაოდ ვიყავით მივლინებული, ჩვენ შემ-
 თვევა მოგვეცა მუშაობის დროს, გზადაგზა, ძველ სასაფლაოებს გავ-
 ცნობოდით და მათ ქვებზე შენახული ჩვენთვის საყურადღებო ეთნო-
 გრაფიულ-არქეოლოგიური მასალა შეგვეგროვებინა. ერთის მხრით,
 საშუალება გვქონდა ამ რაიონში მრავალგან ქვა-ყუთის ტიპის სა-
 მარხების არსებობა დაგვეღვინა, როგორც მაგალითად: სოფ. ხო-
 ფისში, დუმანისში (ეხლანდელი გამოთქმით), პიტარეთში და სხვაგან,
 რომლებიც ახლო მომავალში სისტემატიური არქეოლოგიური გათ-
 ხრის იბიექტად უნდა შეიქმნენ. მეორეს მხრით, ამ ხასიათის ძეგ-
 ლებზე უშუალო დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ სასაფლაოს ქვა-მა-
 ტურები მეტად საინტერესო მასალაა და არქეოლოგიურ-ეთნოგრა-
 ფიულად მნიშვნელოვანი. ინტერესსა და ყურადღებას იწვევს არა
 მარტო მათი წმინდა არქეოლოგიური მნიშვნელობა, არამედ კიდევ
 უფრო მეტად მათი ეთნოგრაფიული ღირებულებაა საგულისხმო.

საყურადღებოა, რომ ჩვენ ამ კუთხის ძველ სასაფლაოებში
 ხშირად ვხვდებით ისეთ ქვებს, რომლებიც ცხვრების, ყოჩების და
 ცხენების ქანდაკებათ წარმოადგენენ. ასეთი საფლავის ქვები ბევრია: სამშვილდეში¹, ქსოვრეთში, ვაკეში, დიდ-დაღეთში, ტაშბაშში და
 სხვაგან. ამ სახის ძეგლები აგრეთვე ბევრი გვინახავს მესხეთში² და
 სომხეთში. სამწუხაროდ დღეს-დღეობით ჩვენ არ მოგვეპოება ამ ძეგ-
 ლების არც სათანადო რეგისტრაცია და არც მათი აღწერილობა.

¹⁾ ცნობა სამშვილდის ერთ-ერთი ცხენის ქვა-ქანდაკების შესახებ იხილე: M. Brosset, Inscriptions et antiquités géorgiennes: *Mélanges Asiatiques t. II*, გვ. 95.

²⁾ იხილე საქ. მუხეუმის 1924 წ. ქვაბლიანის ეთნოლოგიური ექსკურსიის
 დღიური.



აშერაა, რომ ამ ძეგლებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ არაული მნიშვნელობა ვებში დამარხულ ხალხთა სარწმუნოებრივ შეხედულებათა დაღენი-სათვის. ამ ხასიათის ძეგლების წარმოშობის სათავის მისაკვლევად უსათუოდ საჭირო იქნება მათი გავრცელებულობის შესწავლა, რო-გორც საქართველოში, აგრეთვე მის მეზობლებშიც.

ალსანიშნავია ისიც, რომ ქანდაკებათა ამგვარი თავისორავადი მნიშვნელობის გარეშე მათზე ჩვენ გვაქვს მრავალი ძველი დროის ეთნოგრაფიული დეტალი. ასეთი დეტალები ქანდაკებების გვერდებზეა ხოლმე გამოსახული (იხ. სურ. 1). მაგრამ ეს დეტალები ამ რაიონის ჩვეულებრივი ოთხ-კუთხი საფლავის ქვეზედაც მოიპოვება (იხ. სურ. 2 და მუხ. კოლ. № 36—09). აյ ჩვენ ხშირად გხვდებით ქვაზე ამოჭრილს სხვადასხვა საომარსა და შრომის იარაღებს, სატუა-ლეტო საგნებს, ჩაცმულობა-დახურვას და სხვას. ამ ხასიათის ძეგლებს შეუნახავს, ჩვენის აზრით, ძველი დროის ისეთი ეთნოგრაფიული დე-ტალები, რომელთა შესახებ წერილობითს წყაროებში მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება.

მეორეს მხრით უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი მასალის სამეც-ნიერო მიზნით გამოყენება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ეთნოლო-გიური მეცნიერება გვიკარნახებს: ვიღრე რომელიმე დადგენილი ეთ-ნოგრაფიული ფაქტი ეთნოლოგიურად იქნებოდეს გამოყენებული, სა-ჭიროა ფაქტის შედარებითი დათარიღება, თუ, რასაკვირველია, შე-უძლებელია ზედმიწევნითი თარიღის გარკვევა¹⁾. მხოლოდ ამ ძირითა-დი და აუცილებელი პირობის დაცვით ეთნოგრაფიული ფაქტი ჰქოუ-ლობს ღირებულებას.

ამ მხრივ იმ ძეგლების შესახებ, რომელთაც ზემოთ შევეხეთ, შეიძლება შემდეგი ითქვას.

ცნობილია, რომ ეს კუთხე მეტად რთული და მრავალმხრივი ისტორიული ცხოვრების მატარებელი იყო. ცნობები ასეთი ნიშან-დობლივი ცხოვრების შესახებ მრავალ მოიპოვება საისტორიო წე-რილობითს ძეგლებში ჩვენი ისტორიის თვით უძველესი ხანიდან. ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ ამ რაიონს, როგორც საქართველოს „მეწინავე დროშის ნაწილს“, მრავალი ისტორიული ქარიშხალი გა-ნუცდია და თავისი ეკოლუციონური პროცესის ბუნებრივ ფენებში მრავალი გარედან შემოჭრილი ფენა მოულია. უკანასკნელად მეჩევილ-მეტე საუკუნეში მასზედ თავდამტყდარმა უბედურებამ (შაპ-აბასის შემოსევამ) ბევრი ადგილის გაპარტახება-გაოხრება და ხალხის მას-

¹⁾ F. Graeber, Methode der Ethnologie, Heidelberg, 1911
83. 128.

სიური გადასახლება გამოაწვია¹⁾. ამიტომ არის, რომ ჩვენ აյ შოაზ-ლად ვპოულობთ ნასოფლარებს, ნაქალაქარებს და მიტოვებულ სასა-ფლაოებს. ეს მიტოვებული სასაფლაოები, სახელდობრ ისინი, რომ-ლებიც მიწის ზედა ფეხშია მოქცეული, აშკარაა, ამ საერთო აწიო-კების და გადასახლების ნაშთებს უნდა წარმოადგენდენ. ეს ერთ-გვარი terminus ante quem არის ამ ძეგლებისათვის. მეორეს მხრით,



სურ. 1. სამშვილდე. საფლავის ქვა.

საფლავის ქვებზე ვპოულობთ სასროლი თოფის გამოხატულებასაც, რაც terminus post quem ისათვის გარკვეულს და მტკიცე ბაზას იდ-ლება. ამის მიხედვით ჩვენს ძეგლებზე მოცემული ეთნოგრაფიული დეტალები რელატიური დათარიღებისათვის (XV—XVIII საუკუ-ნეები) გარკვეულ საფუძველს პოულობს და მათი გამოყენება სამეც-ნიერო მიზნით შესაძლებელი ხდება.

¹⁾ Tsarévitch Wakhoucht, Description géographique de la Géorgie, ბრისსეს გამოცემა, პეტერბურგი, 1842, გვ. 164 და სხვ.; აგრეთვე ე. თა-კუაშვილი „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრა-მეტე საუკუნეში; აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა“, ტფ. 1907 წ.



აღბულახ-წალეის რაიონის შესახებ არსებული მწირი და ტერიტორიაზე მოვალეობა არ მომდინარეობს. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ აქ „ბევრია საფლავის ქვა“ ზოგ მათგანზე შვილდ-ბოძალია დახატული, ზოგი გუთნისდედის იარა-ლითაა შეჩუქურთმებული¹, თუმცა ეს მასალა აღწერილი და ჩა-ხატული დღემდე არსად არ ყოფილი. ძეგლების გაცნობამ ადგილო-ბრივ ჩვენ მრავალი ამ ხასიათის ეთნოგრაფიული მასალა მოვცა, რომელიც გამოყენებული იქნება სხვა შრომაში და სხვა დროს. ამი-ტომ მათზე მეტს აღარ შევჩერდებით, მხოლოდ რამოდენიმე მაგალი-თის დასახელებით დავკმაყოფილდებით. ასე, სოფ. ბარმაქსიშში ერთს, დაახლოებით მეტიდმეტე საუკუნის, საფლავის ქვაზე ჩვენ ვპოულობთ იმ დროის გუთნის გამოხატულებას თავისი ქბილა-ჭან-ჭიქით, ფრთით, მხარით და ათი ულლით. ამგვარივე შემთხვევა ჩვენ გვაქვს ბეშთაშენიდან 4 კილომეტრის მანძილზე დასავლეთით, ეგრეთ წოდებულ „ხარაბაში“².

სამწუხაროა, რომ ამ ხასიათის ძეგლებს წინათ ჯეროვან ყუ-რადლებას არ აქცევდენ. მართალია, თავის დროზე ბროსესა და ბართოლომეის საფლავის ქვებიც აინტერესებდათ, მაგრამ მათი ინტერესი უმთავრესად საფლავის ქვების წარწერებით ითარგლე-ბოდა³. ბროსესა შემდეგ თვით წარწერიანი საფლავის ქვებიც იშ-ვიათად ხდება მკვლევართა ყურადლების საგნად. ეს კი მეტად სამ-წუხაროა, რადგანაც საფლავის ქვები არა ნაკლები სისწრაფით ჰქონდა და ნადგურდება, ვიდრე სხვა ძეგლები. თუ ჩვენ ვიცით შემთხვევები, რომ სოფლელები კირის დასაწვავად იყენებენ ქვა-ყუთის ტიპის სა-მარხების ქვებს, რაღა უნდა გაგვიკირდეს, როცა მიწის ზედაპირზე დებული საფლავის ქვებს სხვადასხვა მიწინით იყენებენ და ძველს ძეგლებს სპობენ.

ამის აშკარა მაგალითებს ჩვენ მიერ იმ ზაფხულს მოვლილი კუთხე იძლევა. პიტარეთის დიდებული მონასტრიდან გაზიდულია და, მაშასადამე, მეცნიერებისათვის საკსებით დაკარგული საფლავის წარ-წერიანი მარმარილოები. აგრეთვე გუდარების მონასტრის⁴ შესანიშ-

¹⁾ ზ. გულისაშილი, გარდაბანისა და გაჩინის საერისთაონი და მათი ნაშთნი: ივერია, 1900 წ. № 154.

²⁾ „ხარაბა“ ბერძნული გამოთქმაა, სიტყვა თურქულია და ნიშნავს „პარ-ტახს“.

³⁾ M. Brosset, Voyages archéologiques, 2-e livr., S. Pet. 1850. Bartholomaei, Antiquités géorgiennes: Mélanges Asiatiques t. II, გვ. 264.

⁴⁾ E. Такайшвили, Археол. æk., разыс. и зам. вып. II გვ. 37. Brosset, op. cit., გვ. III და იქვე ტაბულა I.

ნავი ქანდაკებიანი საფლავის ქვის დიდი ნაწილი ეკლესიიდან გამოიყენებოდა; ნილია და ჯაგებში გდია ტაძრიდან 50—60 მეტრის მოშორების; მეორე წარწერიანი ქვის ნაწილი ამ უამად სრულიდა არა ჩანს. ასეთი



სურ. 2. აბელია. საფლავის ქვა 1/13 n. Gr.

კარნახებს, რაც შეიძლება სწრაფად შევაგროვოთ ამ ძეგლებზე დაცული არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალა და გადავარჩინოთ იგინი განადგურება-მოსპობას.

ბედი სწვევიათ, როგორც ვეხ-დავთ, იმ ქვებს, რომლებიც საყ-დრებში ყოფილა საფლავებზე, და ძნელი არ არის იმის წარ-მოდგენა, თუ რა მოუვიდოდა ლია ცის ქვეშ გალავნებში და გალავნის გარეთ დებულ სამა-რის ქვებს. ჩვენ შემთხვევა. მო-გვეცა დაგვედასტურებია, რომ ბევრი სამარხის ქვა ადგილო-ბრივი მცხოვრებლების მიერ გამოყენებულია, როგორც სა-ამშენებლო მასალა, მაგალითად ფურნებისათვის (სოფ. ფარც-ხისი, წყნარი-აბანო). ამასთანა-ვე ბევრი ამგვარი ძეგლი დრო-თა ვითარებაში უკვე მიწის ქვე-შაა მოქცეული და მათი აღმო-ჩენა ამა თუ იმ სახის გათხრას მოითხოვს. თვით გუდარებში და პიტარეთში ჩვენ არა მცირედი შრომა დაგეჭირდა იმისათვის, რომ მიწიდან განგვეთავისტფლე-ბია ეკლესიაში დამარხულ მი-ცვალებულთა საფლავის- ქვები. სხვათა შრომის ისიც უნდა აღი-ნიშნოს, რომ ეს ქვები მიწის ქვეშ მოყოლილა და წაბლალუ-ლო აკლდამების მქექელთა ხე-ლით¹⁾.

ყოველივე ეს დაუინებით გვი-კარნახებს, რაც შეიძლება სწრაფად შევაგროვოთ ამ ძეგლებზე და-ცული არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალა და გადავარჩინოთ იგი-

1) ამავე აზრისაა E. Takaishvili, op. cit. გვ. 37.

საქართველოს მუზეუმის მოამბე, III

ჩვენ მიერ შეგროვილ ამ ხასიათის მასალებიდან აქ შორეულ მხოლოდ გუდარებისა და პიტარეთის მონასტრების საფლავის-ჭების წარწერები. პიტარეთის სამარხების წარწერები ლიტერატურაში ცნობილი არ არის¹. გუდარების სამარხების წარწერები გამოქვეყნებულია სამი², ჩვენ აქ ოთხი ახალი წარწერა შემოგვაჭვს.

წარწერების ტექსტებიდან ჩვენ ვლებულობთ ცნობებს ამა თუ
იმ საგვაროვნო აქლდამების შესახებ; ვტყობილობთ განსაზღვრული
ეპოქისათვის გვარის შემადგენელ წევრთა დაახლოებითს რაოდენობას; ვამოშებთ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტებს და ზოგს ახალსაც ვიძენთ.
სხვათა შორის ერთი საფლავის ქვის წარწერის მიხედვით ვათარი-
ლებთ პიტარეთის პირველხარისხოვანი ძეგლის მეორედ განახლების
ფაქტს ³, რაც ჩვენ სხვა წყაროებიდან დღემდე არ ვიცოდით. აგრე-
სოვე ვეცნობით განსაზღვრული ხანისათვის ქვაზედ წერის ხელს, იმ
ხანის ორთოვრაფიას, სატერმინო სიტყვებს და სხვას, როგორც ქვე-
მოთ უშუალოდ თვით წარწერებიც დაგვანახებს.

დავიწყოთ გუდარების საფლავის ქვებიდან.

გუდარების მონასტრის მთავარ ტაძარში კანკელის წინ ყველა ნიშნების მიხედვით საგვარეულო აკლდამა ყოფილია. აქ დაცული სამარხის ქვების წარწერები ამჟღავნებენ, რომ ეს აკლდამა გერმანიზაციანთ კუთხით იღება. ამაზე კიდევ უფრო გვაჯერებს ის გარემოება, რომ მეთვრამეტე საუკუნის პირველი ხანებისათვის გერმანი-

¹⁾ ლიტერატურაში ცნობა არის მხოლოდ ერთი წარწერის შესახებ (იხ. Brosset, op. cit. გვ. 116. ამ ცნობას იმეორებენ ზემდეგში დ. მ. Бакрадзе, Кавказ в его памятниках церковной архитектуры, Тиф. 1875. М. Джанашвили, Географ. Цар. Вахушти. გვ. 45, შენაშვნა 191. რადგანაც ეს წარწერა პალეოგრაფიულად მეტად საინტერესოდ მიგავაჩნია, აქეთ ვაჭვეყნებო ჩვენ მიერ გაკეთებულ ესტამპაჟიდან გადაღებულ სურათს (ტაბ. V).

²⁾ Brosset, op. cit. ss. 111—112, E. Такайшвили, op. cit., ss. 37—38.

3) ეს ძეგლი ერთი უშესანიშნავესთავანია საქართველოში. ამის შესახებ M. Bartholomaei სწერდა: „C'est une des plus belles églises et des mieux conservées de toutes celles que j'ai vues en Géorgie“ (Brossat op. cit., გვ. 113). ამავე აზრს შემდევში იმეორებენ დ. ბაქრაძე, კავკას ვ იმ ხასიათის კულტ. აღ. ხახანაშვილი, მთავრული მუზეუმის მუზეუმური მუზეუმების დროს დაცულობის მხრით ერთი საუკეთესოთავანი იყო, დღეს მას საშინელი ბაზარი აქვს გუმბათიდან ძირამდე, მისი გუმბათის ყელის პერანგი აქა-იქ უკვე გარღვეულია და დღე-დღეს მოსალოდნელია დაიქცეს. ძეგლის დასაცავად საჭირო ზომების შესახებ ჩვენ ვწერდით მოხსენებაში, რომელიც სიძელეთა და ხელოვ. ძეგლთა დაცვის განყ. გადაგვცით 1926 წ. ოქტომბერში.

ზიანთ გვარს გუდარებში საკუთრება ჰქონია და ყმებიც ჰყოლია მისი მიზანისათვის.
როგორც ეს ჩანს 1723 წლის სტატისტიკური აღწერილობიდან:

როგორც ვიცით გერმანოზიშვილები ბარათაშვილების გვარის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენენ და მათთან ერთად ამ კუთხის, საბარათიანოს, მფლობელნი იყვნენ.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, საფლავის წარწერიანი ქვები მიწით იყო დაფარული. მიწის გადაღების შემდეგ აქ კანკელის წინ ათხი წარწერიანი საფლავის ქვა აღმოჩნდა. ეს ქვები მარცხნიდან შარჯვნით შემდეგი რიგით მისდევს ერთ-მეორეს:

№ 1. ოლილი ბაზალტის ქვა. სიგრძე უდრის 89 cm., სიგანე—50 cm. ქვა ფერხთან ჩამომტკრეულია. მის ზედაპირზე ამოჭრილია მხედრული წარწერა, რომელიც იყითხება:

1. ქ. საფლავს
2. ამა მდებარეობა
3. რე გარ გვში
4. კარზას : შვ
5. ლი გიორგი

ამ საფლავის ქვას თარიღი არ აქვს. არ ვიცით, კარზაშვილი გერმანოზიშვილებთან რა კავშირში იყო.

№ 2. მშენიერი თლილი კირქვა, მცენარის ორნამენტებით შემკული. სიგრძე—155 cm., სიგანე—58 cm. სიგრძეზე ამოჭრილია მხედრული წარწერა. იყითხება:

1. განსასევენებელსა ამას და საფლავსა შინა მდებარე კარ ბერმანზის შეიღია ბაზატას ასულ (sic)
2. ბოქსულთ უსუცესი შაპუა და თანამეცხედრება ჩემა ათგვის : ერისთვის : მდივანებებ უდიშვლის ქალბა
3. ანასანუმ კელვევით დოდი ესე პატრონსა ჩვენსა საქებლად ვათარცა ათდღ... (?) და სული მისაღსე
4. ხებლად ვიმუშებ მისივ ესე საქმე : ვინცა მთბძნდთ შენდობას თქვენის მაღლსათვეს ქერთ ტრი : გ...

ამ წარწერაში ყურადღებას იქცევს პირველ ყოვლისა მისი თარიღი. დატა იძლევა ციფრებს 300, 4 და 3, რაც აღრიცხვის მხრით

1) ე. თაყაიშვილი, მასალანი საქ. სტ. აღწერ. გვ. 132, 135.



უმართებულოა. მეორე ასეთი შემთხვევა, მხოლოდ აუგუსტუსმიწა
მართ, ჩვენ გვაქვს ამლივის ეკლესიის დასავლეთის ტიმბანზე, სადაც
ამოჭრილია ქორონიკონი: $\text{ტონა} = 300, 50, 70$ და 1^1 . საკითხი ის-
მება, თუ როგორ უნდა იქმნეს გაგებული ჩვენი წარწერის თარიღი;
უდრის ის 1616, 1615 თუ იგი არის 1619. მხედველობაში უნდა მი-
ვიღოთ რომ წარწერის ხელი მეტად მდარეა, ტექსტი გრამატიკუ-
ლი შეცდომებითაა სავსე; ჩანს, ამოჭრელი ენის უვიცი ყოფილა
და შეიძლება მან ასოებით ათვლა რიგიანად არც კი იცოდა. ამი-
ტომ უნდა ვითქმოთ, რომ მცდარი ქორონიკონი უცოდინარობის
ბრალია. უთუოთ თარიღი უდრის 1615 წელს. წარწერაში მოხ-
სენებულ გერმანოზისშვილებს ჩვენ ვიცნობთ ბარათაანთ საგვარე-
ულო აქტებიდან.

№ 3. თლილი ბაზალტი, ორნამენტოვანი, სიგრძით 116 cm., სიგა-
ნით—54 cm., ქვა გატებილია შუაზედ. გატებილთან რამდენიმე ასო და-
ზიანებულია. წარწერა ამოჭრილია სიგრძით მხედრული ასოებით, იკითხება:

1. განსაკვენებულისა ამას შინა და საფლავს შინა მდგარე
გარ მე ბატონ
2. ის შეიღი თინათინ ქე ლითისა მეუღლე გ.. მა-
ნოზისშეიღის იასე
3. ვინცა შპნდეთ შენდობა ბძნეთ მდთს გდსთვნ ამნ-
ქეს ტი:

ამ წარწერის თარიღია 1622 წელი. აქ მოხსებული იასე გერ-
მანოზისშვილის ქალი დარეჯანი მარხია ამავე ეკლესიის ჩრდილოე-
თის ეგვტერში². იასე გერმანოზისშვილი გვხვდება ისტორიულ სა-
ბუთებში.

№ 4. თლილი ბაზალტი, ორნამენტოვანი, სიგრძით 138 cm., სიგა-
ნით 51 cm. მხედრული წარწერა იკითხება:

1. მოკუსენე უფლო მთნა მდთსა
2. სამის... ქალი დათუნას ცოლი თამარი.

ამ წარწერაში მოხსენებული დათუნა უნდა იყოს ის დათუნა
გერმანოზისშვილი, რომელიც მოხსენებულია ვახუშტის და თუმანი-

¹⁾ Е ТАКАЙШВИЛИ, op. cit. გვ. 7—8.

²⁾ დარეჯანის საფლავის ქვის წარწერა გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაი-
შვილს, Apx. etc. B. II. გვ. 38.

შვილის მიერ 1723 წელს შედგენილ ამ კუთხის სტატისტიკურ ბიბლიოგრაფიულ წერილობაში¹, როგორც მებატონე. იმ ხანებში დათუნაშვილს ორ-მოცდაშეიდი კომლი ყმა და ოთხმეტი ბოგანო ჰყავდა, ამათგან თვით გუდარებში მას ეკუთხნოდა ორი კომლი, სახელდობრ ლაზარა-შვილი პაპუა და ოთხშიშვილი პაპუნა. ამით დაახლოებით ირკვევა თამარის ცხოვრების დრო.

აქვე, ამავე საფლავის გვერდით, დამარხულა გუდარების მონასტრის მეორედ გამკეთებელი წინამძღვარი ლომენტი, რომელიც გამოქანდაკებულია საფლავის ქვაზე და რომელსაც უთარილო წარწერა აქვს².

აქ მოყვანილ წარწერებს თუ მივუმატებთ ამ მონასტრის ომან გერმანიზისშვილის საფლავის ქვის ზედწერილს³, აღმოჩნდება, რომ გუდარების საფლავის ქვებზე ჩვენ გვაქვს მოხსენებული გერმანიზიანთ ლჯახის 9 წევრი, სახელდობრ: გერმანიზიშვილი პაატა, ბოქაულთ უხუცესი პაპუნა, მისი „თანამეცხედრე“ ანახანუმ, მეჯინიბეთ უხუცესი და ყაენის მუსიბი იმანი, იასე, მისი „შეუღლე“ „ლიონის ძე“ თინათინი, მისი „ქალი“ დარეჯანი, დათუნა და მისი „ცოლი“ თამარი. ეს გარემოება საქმაო სიცხადით ამტკიცებს, რომ გუდარების მონასტრის მთავარი ეკლესია მეჩვიდმეტე საუკუნეში, შეიძლება მე-თვრამეტის პირველ ნახევარშიც გერმანიზისშვილების გვარის საძლე იყო, სადაც იმარხებოდენ ბარათაანთ გვარის ამ განშტოების ლჯახის წევრები.

ფეოდალურ საქართველოში ყოველი კუთხის ძლიერი მებატონე-ფეოდალი სცდილობდა ისეთი ძეგლი - ნაშენები აეგო, რომლის მსგავსი მეზობელ მებატონეს არ ჰქონდა ან არ შეეძლო აეშენებია. ამ არტისტიული გაჯიბრების ნაყოფია ფეოდალური ხანის მრავალი საინტერესო ძეგლი. სახელდახელოდ შეიძლება დავასახელოთ თარ-ხნისშვილების ერთაწმინდა, მალალაშვილების ეკლესია, ბარათაშვი-ლების ამლევი, ზარზმა, საფარა და სხვა მრავალი. ამათ რიცხვშია დიდებული პიტარეთიც, რომელიც სახელგანთქმულ ორბელთა გვარის მიერ არის შექმნილი. ბარათოლომების თქმის არ იყოს, საქართველოში ამ ძეგლს ბადალი არ ყავს. მისი გუმბათის ყელის

1) ე. თაყაიშვილი. მასალანი საქ. სტატ. აღწ. მეთვრამეტე საუკ. თბ. 1907, გვ. 132.

2) წარწერა გამოცემული აქვთ ბროსეს და თაყაიშვილს; ქადა-კების ხელის ჩანახატი Brosset, op. cit. ტაბ. I; ესტამპაჟი ნახე საქართ. მუზეუმში.

3) გამოცემულია ბროსეს და თაყაიშვილის მიერ op. cit.

ჩუქურთმები წმინდა ნაქარგს მოაგავს და პეტრი მარტინ შარლ ფრედერიკ შემცირებული ახდენს.

ამ ძეგლის აშენების შესახებ მოგვითხრობს ქავთარის წარწერა სამხრეთის სტოას კედელზე. იგი თუმცა წაკითხულია ბროსეს მიერ¹, მაგრამ წაკითხვა ახალ კონიექტურებს მოითხოვს. სასურველია იგი გამოიცეს ხელმეორედ, მით უფრო რომ ამ წარწერის ფოტოგრაფიული გადაღება ან ესტამპაჟი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ჩვენ შემთხვევა მოგვეცა წარწერა ესტამპაჟით გაგვეკეთებინა. ესტამპაჟი ინახება საქართველოს მუზეუმში. ამ ხასიათის სხვა წარწერა ეკლესიაზე მეტი არ მოიპოვება. მხოლოდ მარანზე, რომელიც აქვე ახლოა ტაძართან, ჩრდილოეთის კედელში დატანებულია თეთრი ქვა, რომელზედაც ამოჭრილია მხედრულად შემდეგი წარწერა, რომელიც დღემდე უცნობი იყო:

1. ქ. მ; ე ვლად ჰატიონსანთ და საშინელო ფიარა.
2. ეთისა დთის მშობელო ულინე სულსა ე დ
3. ცოდვილის წინაშძღვრის იაბისასა
4. რომელმან აღვაშენე მარანი ე სე
5. შენდობას იტერდით სმადლის ქვს ტად

ქორონიკონი უდრის 1696 წელს. აქ მოხსენებული წინამძღვარი იობი არის გამოჩენილი მკითხველი და მქადაგებელი, უკანასკელი წინამძღვარი პიტარეთის მონასტრისა, რომელიც იძულებული შეიქმნა პიტარეთი დაეტოვებია 1731 წელს და ტფილისში გადმოსახლებულიყო². იგი დასაფლავებულია ტფილისის სიონში.

ამ ძეგლის ისტორიისათვის არა ნაკლები მნიშვნელობისაა აქ დაცული სამარხის ქვების წარწერები. მათხე დღემდე ყურადღება არავის არ მიუქცევია და იგი არც ყოფილა გამოქვეყნებული. როგორც ზემოთაც გვქონდა მოხსენებული ზოგიერთი სამარხის ქვები აქედან მოპარულია, ზოგიც შიგვე დამტვრეულ-წაბლალულია. აქაც ბევრი საფლავის ქვა მიწით იყო დაფარული. ჩვენ ისინი მიწისგან განვათავისუფლეთ და წარწერები ამოვასუფთავეთ. აქაც საფლავის ქვების პირველი რიგი კანკელის გასწვრივაა. მეორე—ამ რიგის პარალელურად.

დავიწყოთ პირველი რიგის მარცხნილან და მარჯვნივ დავუკეთ.

¹⁾ Brosset, Inscriptions et antiq. géorg.: Mélanges asiatiques, t. II, გვ. 113—115.

²⁾ ან ტონ კათალიკოზი, წყობილ-სიტყვაობა („მე ფიტარეთის დეკანოზი ამისი მოწმე ვარ“: საქ. სიძვ. ტ II, გვ. 385, 6).

№ 1. საფლავის ქვა სამკვეთლოს კარების პირდაპირ. ჩამოტენილი არის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე, სიგრძე 185 cm., სიგანე 67 cm.—დან 70 cm.—სავლეთის კუთხეებში ამოკვეთილია ას ომთავრულ ლა დ 1:

| | |
|------|------|
| [ლო] | შე |
| ზრნი | უფლნ |

შემდეგ იკითხება ამავე ასომთავრულით ლამაზი ხელით, ბევრი ასო ლიგატურაშია მოქცეული:

1. ქ. წბთა და შწნთა
2. ღთა შე თრბ-დს შეფლა
3. უფლნ მეთრეთ შგმე
4. მნსტრი: ქსე: და: ბრ-სა: და
5. მთში მტრსგნ გაფკრბლი
6. მკდრი მამული: ჩმა: აღვ
7. შენე: სიყლა: ე-ა: და
8. ამ-ს: გრეთ: შენი: მაშებ
9. რა: სი-ღი: ი-ზ: ქსე: გ-ა:
10. დაუტევე: ქეთა: ჩ-თა:
11. ე: და: დავმკდრე ამასა:
12. შნა: ქ-ქსა: ტნთ: შენ
13. და: უგთ: ჩონ გდბი.

წარწერა ქარაგმების და ლიგატურების დახსნით წაიკითხება: „ლმერთო შეიწყალე პატრონი ყაფლან

ქ. წყალობითა და შეწევნითა ღვთისითა მე ორბელის შეიღმა ყაფლან მეორეთ შევამკე მონასტერი ესე და ბარსა და მთაში მტრი-საგან გაოკრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელი მა (61) და ამას გარეთ შენი მამებრა სოფელი 17 (იზ). ესე ყოველი დაუტევე ძეთა ჩემთა ე (ხუთთა) და დავემკვიდრე ამასა შინა ქორონი-კონსა ტნთ (1671 წ.). შენდობა ყავთ ჩინ[თვის] გევედრები“.

№ 2. ყაფლანის საფლავის მარჯვნით საფლავის ქვა სამ ალაგას გა-ტეხილია. სიგრძე—173 cm., სიგანე—53 cm.

ასომთავრული წარწერა იკითხება:

1. შე დიდის თრ
2. ბელის შელის ბტონი

1) ასომთავრული წარწერები აქ და ქვემოთ იძებედება მხედრულით.



3. ს: ეფლ-ნის: უხუცესი ძე
4. სომხითის. მთრვი სათრპ
5. ფს პრონი: სპრათიანის დ
6. იდი თვედი: შეტის გათრგ
7. ის: დედის: ძმა: ბტონი: ჟა
8. ჰუნა: გრძელცლე: და ძ
9. ე: არა: მესვა: არცა ას
10. ული: ესოდენის დიდ
11. ების პრონი: ამ მცირე
12. ს სფლუს: დაუმკვიდ
13. რე: შეძრვდ კელს: ნ
14. უ: მეფეთ: წნ-დთბ-ს
15. ბრძანებდეთ: გგდრ-ბ: ქქ: ტოზ:

ქარაგმების გახსნით და ლიგატურების ამოკითხვით:

„მე დიდის ორბელის შვილის ბატონის ყაფლანის უხუცესი ძე სომხითის მო(უ)რავი, საორბელოს პატრონი, საბართიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა ბატონი პაპუნა გარდავიცვალე და ძე არა მესვა არცა ასული. ესოდენის დიდების პატრონი ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე, შეძრვად კელს ნუ მიყოფთ, შენდობას ბრძანებდეთ გევედრებით. ქორონიკონი ტოზ (1689)“.

№ 3. ზემორე მოხსენებული ქვის მარჯვნით ჩალეჭილი საფლავის ქვა რომელსაც ზემო ნაწილში ნახევარზე მეტი აკლია. სიგანე—51 cm., მშეღდლული ასოები იკითხება:

- 0) მონაზონი ბარბარე და
- 00) [თითქმის მთელი სტრიქონი ამოტეხილია] შათა
- 000) შენდობას უთვიდეთ
- 0000) ჩემ: ცდვილისათვი
- 0.) ს რათა თქვენცა. მოგეტავი
- 01) ნეს ცდვანი თქვენნი: ამინ:
- 02) დაიწერა ქქ: ტბთ სეპდენბ
- 03) . . . იზ: გარდავიცვალე

ამ წარწერის ქორონიკონი=1701 წელს.

№ 4. შემდეგი ქვა მეტად დაზიანებულია, წარწერა გადასჭირდება. სიგრძე—159 cm., სიგანე—53 cm., ასომთავრული წარწერა იკითხება:

1. მე დიდის არ
2.
3.
7. თ თრ
8. . . . თრბ
9.
10. ამდე ესე არს
11. განსასვენ: ებჲ..
12. ამს დვემკვიდ.
13. ე: რ: მთნეს: ესე:
14. მთ: წლისა: მეი..
15. ვალე: ქეს: ტ: [ო:დ:]
16. შენდობა ვაკო
17. ბეჭედრებით

სამწუხაროდ ქვის დაზიანების გამო არ იკითხება აქ დასაფლა-
ვებულის სახელი; მხოლოდ ჩანს, რომ ის დიდი ორბელის მახლო-
ბელი უნდა ყოფილიყო. მეათე სტრიქონიდან წარწერა ასე უნდა წა-
ვიკითხოთ:

„ამდე. ესე არს განსასვენებე[ლი] ამას დავემკვიდ[რ]ე,
რამეთუ მთნაეს ესე. 49 წლისა მივიცვალე ქორონიკონს ტ[ოდ]
(1686). შენდობა ყავო გევეღრებით“.

№ 5. მეორე რიგი. საფლავის-ქვა ჩრდილოეთის კედელთან დასავ-
ლეთისკენ. სიგრძე—159 cm., სიგანე—50 cm. მხედრული წარწერა იკითხება:

1. ქ. რომელმან შიწიას
2. გან შექმნენ და დაჭ
3. ბადენ ცანი და ზუ
4. [ღუანი] მიწად მიქცენი
5. ინე(?) აქა მეც
6. ბრძანებითა
7. შენითა შივა



8. გაფე სოფლის ამის
9. გან ამირებიძე
10. ის ასელი და თრ
11. ბეჭის შეილის ქა
12. იხასროს შეუღ
13. ლე ლელი ეფფილი მონაზ
14. ა ნი ელისაბედ და
15. ცემოსანი ეპატე
16. რანე შენდო(ბ)ას ი
17. ტე-დეთ ქპ-სა ტშ ლვ
18. ნობისთვის ცხრასა

ამ წარწერის თარიღი = 1702 წელს.

№ 6. ამავე ქვასთან, საფლავის ქვა სიგრძით 172 cm., სიგანით 48 cm., მხედრული წარწერა იკითხება:

1. ქ. მოიხსენ
2. ე უფალი
3. თრბეჭის
4. შეილის მოლა
5. რეთ უხუცეს
6. ქაიხსროს თანა
7. მეცხდოე თ
8. ანათინ ამ
9. სამარხს დგ
10. მეგდრა გინც
11. წაიგო იხოთ შენ
12. დობა ქავთ

№ 7. ამავე რიგში გუმბათის დასავლეთის სვეტებს შუა, უფრო ჩრდილოეთისკენ აბლო, ჩინებული, იშვიათი მოწითლო ფერის ქვა, დიდებულად შესრულებული ლიგატურებიანი ასომთავრული წარწერით (იხილე ტაბულა V)¹⁾, ქვის სიგრძე—135 cm., სიგანე—65 cm., კუთხეებში იგრ ჩამომტკრულია.

¹⁾ იხილვა აქვე გვერდი 114, შენიშვნა 1.



1. ესე: ას: გრესასენებელი:
2. ჩემი: თე: თებე:
3. აშე: დავემებიდრო:
4. რ: მთხავს: ესე

ქარაგმების გახსნით და ლიგატურების ამოკითხვით:

„ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემებიდრო, რამეთუ მთნავს ესე“.

ბროსეს ეს ქვა, რასაკვირველია შეცდომით, მიაჩნია ტაძრის დამაარსებელის საფლავის ქვად. შეუძლებელია, რომ ეს იყოს ქავთარის სამარხის ქვა. სხვებისგან ეს წარწერა განსხვავდება იმით, რომ ასოები გამოქანდაკებულია ¹⁾.

№ 8. ამის მარჯვნით საფლავის ქვა ასომთავრული წარწერით. სი-
გრძე—170 cm., სიგანე—59 cm.

1. ბაგრატია
2. ნთ ასელი
3. და დადის
4. თრბელის: ს
5. ძლი სოკლხნი
6. ს მეუღლე ბტ
7. თნი დრეჭნ
8. ამს დგემბ
9. უადრე ქა: ტოა

ქორონიკონი=1683 წ.

№ 9. საფლავის-ქვა სამხრეთის კარებთან, სიგრძით 159 cm., სი-
განით—50 cm. მხედრული წარწერა იყითხება ასე:

ქს-სა (sic)

ტბილ

1. მე აგალი
2. ს შეილის
3. ასელი და თ

¹⁾ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, ტფ. 1926, გვ. 42.



4. რბელისშვილის: ჸა
5. ტრანის: ზ
6. აპუას მეუ
7. ღლე ბატ
8. თნი ანა დავეტ
9. არცე

ამ წარწერის თარიღი = 1706 წელს.

ვინ არიან ზემოთ მოყვანილ წარწერებში მოხსენებული პირები.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში ბარათა-შვილების გვარეულობა სამ შტოდ გაიყო: ბარათაშვილებად, აბა-შიშვილებად და ორბელიშვილებად ¹. ორბელიშვილების გვარი მე-ჩივიდმეტე საუკუნეში და მეთვრამეტის პირველ ნახევარში დიდ როლს თამაშობდა იმდროინდელ საქართველოს ცხოვრებაში.

ამ დიდს გვარს ეკუთვნის ის პირი, რომელიც ჩვენს წარწერებში ყველაზე უფრო ადრინდელ თარიღს ატარებს. ეს პირია „დიდი ორბელისშვილი ყაფლანი“, რომელმაც, როგორც წარწერიდან ვტყობილობთ, პიტარეთი „მეორედ შეამკო“ აოხრებული კუთხე აღაშენა და „ხუთი ძე“ დასტოვა. ისტორიული დოკუმენტები მას სახლო-უხუცესად იხსენიებს ². ჩვენი წარწერის მიხედვით ის გარდაცვლილა 1671 წ.

მისი ხუთი შვილი იყო: პაპუნა (ზოგ დოკუმენტებში პაპუნ-ბეგად მოხსენებული ეპოქის საერთო სულისკვეთების თანახმად) ³, ასლანი (ასლან-ბეგი), ვახტანგი (აგრეთვე ორბელი, თანამდებობით მდიგარებეგი), თამაზი (სარდალი) და ვიორგი ⁴. მასვე ჰყავდა ქალი როდამი, რომელიც მითხოვდა მეფე ვახტანგ მეხუთეს და იყო მეფის ვიორგი XI დედა. როდამი, შემდეგში სქემოსანი ეკატერინე, ასაფლავია რუისის ეკლესიაში. გარდაცვლილა ქორონიკონს „ტოთ“ = 1691 წელს ⁵.

ყაფლანის უხუცესი ძე პაპუნა მარხია მამის გვერდით. ის იყო ვიორგი მეფის დედის ძმა, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი და სომხითის მოურავი. გარდაცვლილა 1689 წელს.

¹⁾ თ. უორდანია, ქორინიკები, ტ. II. გვ. 352 და შემდეგი. საქართველოს სიძველენი, ტფილ. 1909 წ, ტ. II, გვ. 133 და 137.

²⁾ საქ. სიძველენი, II, 122-24, 412.

³⁾ ქრონიკები, II, 500—1.

⁴⁾ საქ. სიძველენი, II, 133, 143, 188, 142 და 412.

⁵⁾ ქრონიკები, II, 497 და 111; აგრეთვე Chronique géorgienne, გვ. 111.

პიტარეთის ექლესიაში დასაფლავებული ქალებიდან წარწერაში მოხსენებული „ბატონი ანა“, გარდაცვლილი 1706 წელს, არის ორბელისშვილის გიორგის შვილის პაპუას მეუღლე. ეს პაპუა ისტორიულ საბუთებში ამ ხანების მახლობლად იხსენება¹. ამასთან დაკავშირებით ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ. ე. თაყაი შვილის მიერ გამოცემულ ნასყიდობის წიგნში, რომელიც იხსენიებს „ბატონის ყაფლანის შვილის გიორგის შვილს პაპუას, გორჯასპის და ზურაბს“, —დედნის თარიღი ტჲ გასწორებულია—ტტ-თ. ამ შესწორებას მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ხანების და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის მოღვაწენი მეჩვიდმეტე საუკუნეში გადაყავს. პაპუა, გორჯასპი და ზურაბი მეორე თაობაა ყაფლანის შემდეგ, რომელიც 1671 წელს გარდაიცვალა. ამიტომ მათი ცხოვრების თარიღის მეჩვიდმეტე საუკუნეში გადატანა ყოვლად დაუშვებელია. პაპუას მეუღლე, როგორც ზემოთ აღნიშნეთ 1706 წელს გარდაიცვალა.

მეხუთე და მეექვსე წარწერებში მოხსენებული ქალები: ლელი ყოფილი მონაზონი ელისაბედი, იგივე სქემოსანი ეკატერინე, და თინათინ, ჩანს, ორთავე იმ ქაიხოსრო ორბელიშვილის, პირველი და მეორე, მეუღლე ყოფილან, რომელიც ასლან-ბეგის შვილი იყო და რომელიც ისტორიულ საბუთებში მეჩვიდმეტე საუკუნის უკნასკნელ მეოთხედში გვხვდება². მესამე წარწერის მონაზონ ბარბარეს სხვა წყაროებიდან არ ვიცნობთ.

რაც შეეხება „დიდის ორბელის სძალს სულხანის მეუღლე ბატონ დარეჯანს, ბაგრატიონთა ასულს,—ის ცნობილი მეცნიერის, მწერლის და სახელმწიფო მოღვაწის საბა-სულხან ორბელიანის პირველი მეუღლე უნდა იყოს. 1655 წელს დაბადებულს სულხანს რომ 1683 წლისათვის 28 წლის ჭაბუქს ცოლი ყოლოდეს—წარმოუდგენელს არაფერს შეიცავს. როგორც ვიცით სულხანს ჰყავდა მეუღლედ აგრეთვე ათაბაგის ქალი თამარი³.

რომ უფრო ცხადი გახდეს აქ მოყვანილ წარწერებში მოხსენებულ ორბელიშვილთა ურთიერთი ნათესავური დამოკიდებულება,— მოვცყავს ამ გვარის გენეალოგია მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებისათვის. ეს გენეალოგია დამყარებულია ამ ეპოქის ისტორიულ დოკუმენტებზე⁴, ქართლის ცხოვრებაზე და ამ წერილში მოყვანილ ახალ მასალებზე.

¹⁾ საქ. სიძველენი II, 259, 430 და სხვ.

²⁾ საქ. სიძველენი, II, 430.

³⁾ ქრონიკები, II, 519.

⁴⁾ საქართ. სიძველ., ტ, II და თ. უორდანია, ქრონიკები ტ. II.

გენეალოგია-ბარათაანთ ორბელიშვილების გვარისა (XVII—XVIII სს.).
ყაფლან სახლო-უხუცესი † 1671 წ.

126



კაპუნა † 1689
მეულე
ბანჯიგასპი
ნაშვილები—
ძმის-შვილი
ერასტი

- 1) ლუარსაბ—
სარდალი 1703 წ.
2) დომენტი—ტუილელი
მიტროპოლიტი
3) ქანისორი, სახ. უხუც.
მეულ ლელი † 1702; მეულ. თინათ.
4) ოთარ—ბახ-უხუც.
5) მანუჩარ—მოლ-უხუც.
6) რევაზ—ეშიგ-აღასი

ასლან—ასლან-ბეგ

- გამტანგ—ორბელი
მდივან-ბეგი, მეულელ ზალ-
ერისთავის ქალი თამარი
† 1683.
1) სულხან-საბა † 1726
ცოლი დარეჯან † 1683 წ.
2) ერასტი—მდივან-ბეგი
ცოლი ათაბაგის ქალი
თამარ † 1698 წ.
3) გამუშტი † 1707 წ.
სარსეთში
4) ყაფლანი
5) ზურაბი
6) დემეტრე
7) ნიკოლოზ
8) ზალ

| | |
|---------|---------|
| ელიზბარ | გამტანგ |
| გამტანგ | ერასტი |

- თამაზ—
სარდალი
1) მამუკა
2) რამაზ
3) მხეკაბუქ
4) რევაზ

- გიორგი
როდამ
ვახტანგ V-ეს
მეულე,
სემოსანი
ეპატერინე
† 1691 წ.
2) გორგასპი
3) ზურაბ

ქაბოსრო

G. TSCHITAJA.

GRABSTEINE AUS PITARETHI UND GUDARECHI.

Zusammenfassung.

Als der Verfasser im Sommer 1926 im Auftrage des Georgischen Museums in der Gegend von Aghbulach-Zalka arbeitete, gelang es ihm, ausser der Lösung anderer ihm gestellter Aufgaben, sich auch mit den Gräberstätten dieses historisch sehr wichtigen Teils Georgiens (historisch—Gardabani und Gatschiani, Sabarathiano-Somchithi) bekannt zu machen. Einerseits wurde die Anwesenheit von Gräbern des Steinkistentypus (Chophisi, Dmanisi, Pitarethi u. a.) festgestellt und andernteils ethnographisches Material gesammelt, das sich in Form von Abbildungen auf den Grabsteinen von Gräbern eines anderen Typus, als der der Grabkisten, erhalten hatte. Zu nennen wären: Arbeitsgeräte, der Toilette und rituellen Zwecken dienende Gegenstände und dergl. m.

Die Convergenz dieser ethnographischen Details mit historischen Fakta und Ereignissen gibt eine feste Basis für die relative Chronologie der Gräberstätten dieser Art: terminus post quem ergibt das 15-te Jahrhundert und terminus ante quem ergibt das 18-te Jahrhundert.

Ausserdem erwiesen sich als interessant die Grabschriften dieser Gegend, besonders die von Pitarethi und Gudarechi. Sie bilden das Haupthema dieses Aufsatzes. Durch Hinzuziehung dieses Materials, das weder von Brosset, Bartholomaei, noch Chachanaschwili¹ und anderen seinerzeits bemerkt worden war, wurde eine ganze Reihe historisch sehr wichtiger und be-

¹⁾ M. Brosset. Voyages archéologiques, 2-e livr. S.-Pét. 1850. Bartholomaei, Antiquités géorgiennes: *Mélanges Asiatiques* t. II p. 264 et pas. Хаханов, Экспедиция на Кавказ, MAK. VII.



deutsamer Ereignisse aus der stürmischen Epoche Georgiens hauptsächlich des 17-ten Jahrhunderts, die Zeit der Wirksamkeit historischer Personen und nebenbei auch die Terminologie der entsprechenden Epochen festgestellt; wie auch das Factum der Wiedererneuerung der Kirche von Pitarethi, einer der schönsten in Georgien, das aus anderen Quellen bis heute unbekannt war. Diese Grabschriften bringen auch Klarheit in die früher über diese Gegend veröffentlichten historischen Dokumente.

Endlich, es sei noch bemerkt, dass in Anschluss an verschiedene historische Urkunden und an Kharthlis Zchowreba (*Chronique géorg.*) dieses Material die Genealogie hervorragender, dem Staate, dem Gemeinwesen, der Literatur und Wissenschaft, dienender Personen, die in Georgien des 17-ten Jahrhunderts wirkten,—nämlich die des Barathaanth-Orbelischwili, feststellt.

Die genealogische Tabelle zeigt die Nachkommenreihe in der Deszendenz des Kaphlan Orbelischwili.

ЕВГ. ПЧЕЛИНА (Москва).

ОТЧЕТ О РАСКОПКАХ БЛИЗ ДЕРЕВНИ САГУРАМО.

(Табл. VI, VI.).

Деревня Сагурамо расположена на реке Арагве в 8-ми верстах от впадения ее в Куру. Могильник найден¹ в двух верстах от деревни, в толще древних лессовидных наносов второй террасы реки Арагвы (Приложение I). Он находится на высоте 10 метров над современным уровнем реки, откуда начинается могильный пласт толщиной 0,9—1,2 метра, прикрытый сверху слоем наносов 4,5 метра толщины в среднем (Рис. 1). Могильный горизонт на всем протяжении могильника, около 170 метров, отмечен в срезе обрыва галечной и валунной насыпью, идущей прямой линией над местами, под которыми нет могил, и небольшими холмиками, высоты от 0,2—0,5 метр. над погребениями; думается, что эта «мостовая» устраивалась с целью защиты могил от гиен. Низ линии галечника совпадает с верхом свода могил, где таковой не обрушился. Могильные камеры в большинстве испорчены обвалами и оползнями обрыва. В этом же могильном горизонте имеется погребенное под теми же лессовидными наносами скопление валунов и гальки, длиной около 9 метров, высоты около 1,5 метра, являющееся могильной ка-

¹⁾ Проф. Д. Г. Виленским во время летней практики по почвоведению со студентами агрономич. фак. Тифл. Политехн. Института в июле 1924 г.

Вещи, означенные в «случ. нах. студ.» явились результатом любопытства молодежи, принявшейся выковыривать вещи из оползней могил.



мерой, подобно Самтаврской, или стеной (Рис. 2). К сожалению, это скопление валунов раскопать мне не пришлось, а только слегка снаружи обчистить и обнажить для более точного обмера.




Рис. 1. Могильный горизонт, отмеченный второй линией камней над местами, где нет могил.

Раскопанные мной в Сагурамо могилы устроены следующим образом. Вырывалась яма, глубиной 1,1—1,2 метра, диаметром 2,3 метра в среднем. Дно могильной ямы тщательно гладживалось, камни удалялись. По краю колодца устраивался

круг из валунов и булыжника, шириной в 0,3—0,4 метра, служащий основанием для свода сложенного, повидимому, на растворе глины. На этот круг клали следующие ряды камней, после чего делали покрытие могилы. Несмотря на то, что кроме угля других остатков дерева в могилах я не заметила, мне кажется, что свод, или верней быть может сказать, покрытие могил из речных гальшней нельзя было бы устроить без помощи досок, или брусьев. Здесь форма свода не коническая, ко-




Рис. 2. Скопление из валунов и гальки.

торая могла бы быть при сужении колец из камня и наложении их одно на другое, а полусферическая, вверху почти плоская. Свод такой формы едва ли бы удержался на одной глине, так как известки в кладках могильных ям нет. Все покойники, раскопанные мной в Сагурамо были найдены в сидячем положении. На одних покойниках были одеты украшения (могилы №№ 2 и 4); у других лежало оружие, или орудие труда (могила № 8), предметы домашнего обихода (мог. № 4). В могилы ставились сосуды (мог. №№ 1, 2, 5, 7), клалась птица



(мог. №№ 1, 2), ягненок (мог. № 2), головы: свиньи (мог. №№ 1, 2) и лошади (мог. № 8). Вокруг покойника были насыпаны скопки обсидиана (мог. №№ 3, 4, 7, 8) и угли (мог. №№ 1, 3, 5, 7, 8), которые, впрочем, могут являться остатками сгнившего дерева — досок, или балок, придерживавших свод над могилой. Над одной могилой (№ 4) между холмиком из гальки и верхом свода могилы, лежал тонкий зольный слой, толщиной в 0,09 метра. При костяках были найдены предметы из золота, меди (анализ сделан проф. Д. Г. Виленским), стекла, гешира, камня и глины. Что же касается железа, то его здесь не оказалось. Рассмотрим могильный инвентарь Сагурамо в групповом порядке.

Предметы одежды и украшения.

I. Пуговицы.

1. *Костяные* (табл. VI рис. №№ по описи 1—3), аккуратно вырезанные из костяной пластинки, дисковидные с круглым отверстием внутри (3 штуки случ. нах. студ.):

а) пуговица № 1, диаметр 0,036 метр.; толщ. пластинки 0,0025 метр.;

б) пуговица № 2, диаметр 0,018 метр., толщ. пластин. 0,001 метр.,

в) пуговица № 3, диаметр 0,012 метр., толщ. пластинки 0,0015 метр.

2. *Перламутровые* (табл. VI №№ 4, 100—102), грубо вырезанные, неправильно круглые, изогнутые в плоскости, с круглыми отверстиями внутри (4 шт. случ. нах. студ. и 3 шт. из мог. № 4), размер этих пуговиц (№№ 4, 7; 100, 102) колеблется, но незначительно. В диаметре от 0,01 (№ 100, мог. № 4) до 0,016 метра (№ 5 случ. нах. студ.); толщина пластинки от 0,0015 (№ 5 случ. нах. студ.) до 0,002 метра (№ 101 мог. № 4). Подобные пуговицы имеются, напр., в коллекции Д. Я. Самоквасова из нижнего горизонта большого кургана у колонии Константиновка под Пятигорском, Терской обл.,¹ относящегося

¹⁾ См. кол. Д. Я. Самоквасова в Рос. Ист. Музее и «Основания хронол. классификации и каталог коллекций древностей» проф. Д. Я. Самоквасова (стр. 14, № 502). Варшава 1892 год. Табл. I, чертеж 14

ко времени начала металлической культуры на Сев. Кавказе. Затем, в раскопках В. А. Тимофеева в ауле Фоскай в Северной Осетии¹, в культуре, во времени не вполне определенной, в раскопках В. П. Долбекова из катакомбных погребений аула Чми Тагаурской Осетии², в культуре, имеющей монеты IX в. по Р. Х. Подобные пуговицы имеются и в других могильниках Кавказского перешейка, но вследствие того, что место их во времени еще более шатко, чем у приведенных, я их не перечисляю.

II. Перстни.

Из круглой медной проволоки, кольцеобразные, петельчатые, но без спиралей на концах (3 шт. случ. нах. студ.): а) и б) №№ 27 и 28 одинакового размера, шир., 0,019 метр., высота 0,017 метр., диаметр проволоки 0,0015 метр. (табл. I рис. № 27); в) более тонкой проволоки, диаметр проволоки 0,001 метр..

Перстней, тождественных по форме только что описанным, мне в могильниках Кавказского перешейка не встретилось.

III. Булавки.

Медные, литые с продольными отверстиями в стержне.

1. С пирамидальными головками (2 шт. случ. нах. студ.):

1) თუმცა საქართველოში ხის კულტის არსებობის შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც საისტორიო წერილობით წყაროებში, ისე ეთნოგრაფიულ მასალებში, მაგრამ ხის კულტის არც ერთი კონკრეტული ფაქტი დეტალურად დღემდე აღწერილი არ ყოფილა. წარსულ ზაფხულს, როდესაც ჩვენ საქართველოს მუზეუმის დავალებით მთიან ქართლში ვმუშაობდით, შემთხვევა მოგვეცა რკონში (თეძმის ხეობა) ღვთისმშობლისა და ცაცხვისათვის.

მოდგენილია წმ. ცაცხვი და ღვთისმშობელი ფიქსაციით: „წმინდა გიორგი“ და „სახე ღვთისმშობელისა“.



სურ. 1. ს. რკონი. ქვა-ხატი 1⁸ n. Gr.

როგორც ცაცხვი, ისე მის გარშემო ახალგაზრდა ტყე, რომელიც შესდგება სხვადასხვა ჯიშის, უმეტესად რცხილას ხეებისგან, დღესაც მიჩნეულია წმინდა ტყედ. ამ ტყის შეუვალობის საზღვარი ძველად უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ცაცხვის ქვეშ მდგომ ქვა-ხატს ყუაზე აქვს შემდეგი წარწერა მხედრული ასოებით:

| | | | |
|-----------|----|----------|------------------|
| ჩრდილ | 10 | ქედიდგან | თავი |
| ავეთი | | აშოსავ | ს |
| თგან რა | | დათით | რქ |
| ც წეალი | | სამა | თხი |
| 5 დაიდება | | ქალ | დეთის |
| აქეთა | 15 | ოს | მშობე |
| სამხრე | | წელ | 25 დასა: |
| თათ | | ამდ | თავზე აწერა: |
| თხჯოს | | ისინ | „ისაკა დადაციძე“ |



აქ დასახელებულია საზღვრები „თავისა რკონი ღვთებრძოლისა“: ჩრდილოეთიდან „რაც წყლით დაიღება აქეთა“, ხოლო სამხრეთით — „ორჯოს ქედიდგან“ და აღმოსავლეთით — „სამაჭალოს წყლამდისინ“; დასავლეთის საზღვარი ნაჩვენები არ არის. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რის საზღვრებს აღნიშნავს ეს წარწერა — რკონის ღვთისმშობლის ეკლესიის მამულებისას, თუ ცაცხვის წმ. გიორგის ტყის შეუვალობის საზღვარს.

რკონის ღვთისმშობლობაზე მოსული მლოცვები ცაცხვის წმ. გიორგის დიდი სასოებით იხსნიებდენ და გადაწყვეტით გვითხრეს რკონის ეკლესიაზე მითითებით — ეს ჩვენი მეორე სალოცავია, მთავარი მამა-პაპეული-კი ცაცხვიაო¹. ღამისთვევის მეორე დილით, როდესაც მლოცველები იშლებოდენ, თითეული მათგანი აუცილებლად წმინდა ცაცხვს აუვლიდა, მის წინ პირჯვარს გადაიწერდა, ემთხვეოდა და ზედ აკრავდა ანთებულ სანთლებს. ქართველებს გარდა წმინდა ხეს თაყვანი სცეს ოსებმაც. მთელმა ოჯახობამ ანთებული სანთლებით ხელში და „გარმონის“ მონოტონური დაკვრით სამჯერ ცაცხვს გარშემოუარა — მათ ვედრებაში ოსურ ენაზე ისმოდა ხშირად წმ. გიორგის სახელი.

მრავალ შეწირულებათა შორის აღსანიშნავია: ირმის ქალა და რქები, რკინის ფოსტლები, ნალი, წმინდა სანთლები, ფერადი ჩითის ნაწრები, საღვინე ქვევრი პირჩამოტებილი, შუშის ჭურჭელი ზედა-შესათვის, ხისგან გათლილი წევბლა-შამფურები და სხვა. ამ წმინდა ხის ირგვლივ ჯერ კიდევ წარუშლელი ნამწვარი ადგილები მოწმობს, რომ უკანასკნელ დრომდე აქ მლოცველები მოდიოდა და ღამეს უთევდა.

წმინდა ცაცხვი რკონში ჯავახიშევილების საგვარეულო სალოცავად ითვლება. როცა მათ გვარში ვინმე ავად გახდებოდა, მოდიოდენ ცაცხვთან და ათვალიერებდენ მას. თუ ცაცხვს ტოტები ყველა მთელი აღმოაჩნდებოდა, მაშინ ავადმყოფი მორჩებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასიკვდილოდ იყო განწირული.

ერთი ქართლური ლეგენდა მოგვითხრობს: გორის მაზრის ახალქალაქიდან ოცი ვერსის მანძილზე არის ჯავახიშევილების დიდი ტყე, სადაც ნასახლარი ადგილია ქალაქ რკონისის. ეს ქალაქი ლეკებმა დაანგრიეს და ყველაფერი გაანადგურეს გარდა ერთი ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც მათმა მთავარსარდაომა მიითვისა. მოკლე ხნის

¹⁾ მლოცვაგთაგან ერთმა ოსმა გადმოგვცა, რომ სოფელ ფიცესში დგას ცაცხვის წმ. გიორგის ნიში, რომელზეც ხალხი ლოცულობს. სამწუხაროდ, დროდა საშუალება არ გვქონდა ეს ცნობა ადგილობრივ შეგვემოწმებინა.

განმავლობაში მთელ იმ მიღამოში, სადაც ხატი ესვენა, ბალაზი და მარიამი შინაური ფრინველი გაწყდა და გაჩნდა ავალმყოფობა, რომელიც მცხოვრებთ მუსრს ავლებდა. ლეკების უფროსმა უბედურება ღვთის-მშობლის ხატს მიაწერა და გადაწყვიტეს ხატი დაწვათ. ხატს ცეცხლი მიეკარა თუ არა, მან ქალური ხმით დაიყვირა, ავარდა და ხარს რქებზე დაესვენა. ამ სანახაობით თავზარდაცემულმა ლეკებმა, შეცოდების მონანიების შემდეგ, გაამაგრეს ხატი რქებზე და სამი ლეკის თანხლებით ხარი თავისუფლად გაუშვეს. რამოდენიმე ხნის სიარულის შემდეგ ხარი რკონის წმ. გიორგის ცაცხვს მიადგა და გაჩერდა. მაშინ ხატი გადმოეშვა ხარის რქებიდან და ცაცხვის ტოტებზე დაესვენა¹. ეს ლეგენდა, როგორც მისი შინაარსიდან სჩანს, შედარებით ახალი დროის წარმოშობისაა. მაგრამ ის საყურადღებოა, რამდენადაც ძველ რელიგიურ რწმენას შეიცავს.

საქართველოში და მის მეზობელ ხალხთა შორის მეტად გავრცელებულ ხის-კულტის შესახებ არსებობს როგორც წერილობითი ცნობები ძველ საისტორიო წყაროებში, ისე დღემდე ხალხში დაცული ნაშთები ხის თაყვანისცემისა.

ჯერ კიდევ პროკოპი კესარიელი ოლნიშნავს, რომ მის დროს აფშილ-აფხაზები თაყვანსა სცემდენ ტყეებსა და ხეებს, რომლებიც მათ გულუბრყვილოდ ღვთაებებად მიაჩნდათ².

ანტიოქიის მსოფლიო კრების ძეგლის-წერის ქართული თარგმანის ბოლოში არის მხედრული ხელით მინაწერი, რომელიც გადმოვცემს, რომ სომხითსა³ და ქართლში მრავალ წარმართულ ღვთაებათა გარდა ხეებსაც ემსახურებოდენ⁴.

ქართლის ცხოვრება აღნიშნავს: „სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა-მას, რომელსა ეწოდების უბნისი, სადა-იგი იხილა (წმ. ნინომ) ერი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი. რამეთუ თაყუანის-ცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქუასა და ძელთა“⁵. ამავე ძეგლში მეორე ადგილას წმ. ნინო ტირილით ეველრება მეუფეს ცოობილი ხალხის, ქართველებისათვის, რომელიც „ქუათა და

¹⁾ იხ. M. Шатберов, Несколько груз. легенд и сказаний: СМОМПК вип. XXVI, გვ. 247 და 250.

²⁾ Procopii Caesariensis De bello goth. IV, 3, 14.

³⁾ პროფ. ივ. ჯავახიშვილის წაკითხვით, ნაცვლად მინაწერში აღნიშნულ „სამოთხისა“. იხ. ჯავახიშვილის, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 134.

⁴⁾ იხ. Ф. Жордания, Опис. рукоп. Тифл. Церк. Музея, გვ. 200.

⁵⁾ იხ. ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა 1849 წ., გვ. 73.



ძელთა, სპილენძსა და რვალსა განჭედილსა ღმერთად ოუზუნიშვილისა ცემდენ, და ესენი იცნობებოდეს ყოვლისა შემოქმედად¹.

დღესაც საქართველოს სხევადასხვა კუთხეებში მრავალი ხე, ხევნარი და ტყე წმინდად არის მიჩნეული და თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს.

ფ შავის სამლოცველო-ხატების გარშემო მდებარე ტყეები წმინდაა და შეუვალი—იქიდან ნაფოტის გამოტანა არ შეიძლება. საუკეთესო ტყე ხევსურეთში ხატისაა. უმეტესად ხატი მშვენიერ მალობ ადგილას ასვენია და გარშემორტყმულია მაღალი წმინდა ხეებით².

არსებობს გაღმოცემა ხალხში, რომ კახეთში სოფელ აწყურის წმ. გიორგის და ალავერდის ეკლესიების ადგილზე ძველად წმინდა ტყეები ყოფილა გაშენებული³.

სვანეთში, კალის საზოგადოებაში გვხვდება ასწლოვანი ხეებით დაფარული ადგილები. ეს ტყეები წმინდა და შეუვალია. სვანის რწმენით აქედან ნაფოტის გამოტანაც-კი ღვთის რისხვის გამომწვევია—მოავლენს უჩვეულოდ მსხვილ სეტყვას⁴. წმინდაა აგრძოვე წმ. კვირიკეს მონასტრის ფიჭვნარი; მხოლოდ ეკლესიის საჭიროებისათვის, წისქვილის ან ხიდის ასაგებად თუ მოსჭრიან აქედან ხეებს⁵. გარდა ამისა მულახის საზოგადოებაში საეკლესიო ტყეა, რომელსაც სვანები „ხვალმის“ უწოდებენ. ამ ტყის მოჭრის უფლება არავის აქვს. მის განაპირად დგას ნაძვისხე, რომელსაც სვანები თაყვანსა სცემენ. მასზე პირჯვარს იწერენ და შესაწირავი მიაქვთ. ასეთი სალოცავი ხეები სვანეთის სხვა ადგილებშიაც არის⁶.

ვახუშტი გაღმოვცემს, რომ მის დროს აფხაზები მიცვალებულებს ჩაცმულებს და იარაღ-ასხმულებს კუბოთი ხეებზე დგამდენ: ეს ცნობა ვეიდენბაუმს აფიქრებინებს, რომ ამ ჩვეულებას კავშირი უნდა ჰქონდეს ხის კულტოან⁷. უკანასკნელ დრომდე მებით მოკლულს აფხაზები ხეებზე სტოვებენ, ვიდრე გვამი არ გაიხრანება. მხოლოდ ამის შემდეგ კუბოს ჩამოილებენ ხიდან და ძვლებს მიწას

¹⁾ იქვე, გვ. 74.

²⁾ ურბნიშვილი, ეთნოგრაფიული წერილები: „ივერია“, 1886 წ.

³⁾ ერთობის გრუზინული სახელი სვანეთი, 1925 წ., გვ. 134.

⁴⁾ ბართოლომეი, Поездка в Вольную Сванетию: Зап. Кавк. отв. русск. яз. общ. кн. III, გვ. 161—162.

⁵⁾ იბ. დ. ბაკრაძე, Сванетия, გვ. 51—52.

⁶⁾ იბ. ევგ. გაბლიაბი, ძველი და ახალი სვანეთი, 1925 წ., გვ. 134. აგრეთვე გაზ. „Кавказ“, 1891 წ., № 260—Из жизни сванетов.

⁷⁾ Е. Г. Вейденбаум, Кавказские этюды, I, Тифлис, 1901 г. გვ. 81.

მიაბარებენ 1. აფხაზების შესახებ საყურადღებოა დუბარების და დაკვირვებანი. „აბაზე, სწერს ის, ქრისტიანია ხალეში მრავლად დაცული ქრისტიანული ღოვმების მიხედვით, მაპარანია სახით, წარმართია—როგორც ცრუმორწმუნე და უმეცარი; თაყვანსა სცემს ზოგიერთ ხებს, ლოდებს, ხევნარს და ტყეებს და უწოდებს მათ ანასარანის (აკრძალულს, შეუვალს)“ 2. მაისის პირველ რიცხვებში ისინი თავს იყრიან ხშირსა და დაბურულ წმინდა ტყეში, რომელიც შეუვალად ითვლება უზენაესის რისხვის შიშით 3. აფხაზური სიტყვა abnalara (აბნა—ტყე), „ტყეში გაქცევა“ აკადემიკოს შიფნერს მიაჩნია ნაშთად აფხაზეთში არსებული ადათისა: ავაზაკი, რომელიც თავს წმინდა ტყეს შეაფარებდა, არ უნდა დასჯილიყო 4. ზემო აქარაში, იქ სადაც ძევლად ეკლესიები მდგარა, დღეს მათი კვალი აღინიშნება წმინდა ტყეებით, რომელთა ხელის ხლებას ვერავინ ჰგედას 5.

გაცილებით უკეთ შენახულა ხის კულტის ნაშთები მეზობელ ჩერქეზებში. 1637 წლის ახლო ხანებში მათ შორის იმოვაურა Jean de Luca-მ. მას უნახავს მრავალი წმინდა ხე დახუნძლული შვილდისრებით, მახვილებით და ცხერის თავებით. პატივისცემა ამ აღილებისაღმი იმდენად დიდია, მოგვითხრობს მოგზაური, რომ თავზე ხელალებული ავაზაკიც-კი ვერ ეკარება შენაწირ საგნებს 6.

1) იხ. გაზ. კავკაზ. 1855 წ. № 81. აგრეთვე 3. გიორგაძე, აფხაზეთი და აფხაზნი: „ივერია“ 1888 წ. № 185

2) Дубровин, История войны и властычества русских на Кавказе т. I, кн. II. გვ. 12. აგრეთვე გაზ. კავკაზ 1868 წ., № 5. О положении Абхазии в религиозном отношении.

3) Jacob Reinegg's, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, Hildesheim und St. Petersburg 1797. Zweiter Theil, SS. 10, 11.

4) Schieffner, Abchasische Studien: Mem. de l' Acad. des sciences de St. Petersb., VII. série T. VII № 12 p. 58. ტყის ამგვარი მნიშვნელობის მაჩვენებელი უნდა იყოს ოსური თქმულება ხეტალის შესახებ. როდესაც დაღლილ-დაქანცულმა ხეტალმა იმდენი გადასწყვიტა, რომ თავისი მტრების დევნას გადარჩებოდა, უცრად ტყიდან ხმა მოესმა: ; ტყისკნ, ხეტალ, ტყისკენ!“, ღონემითდილმა ხეტალმა უბასუხა: „ხეტალს უკვე აღარ შეუძლია ტყემდე მიღწევა თვით ტყე მოვიდეს მასთან საშველად“. და ასეც მოხდა. უცრად ხეტალს ტყე შემოერტყა და მტრებს გადაარჩინა (იხ. M. Kovalevskii, Современный обычай и древний закон. Москва, 1886 წ. გვ. 94).

nei 5) Д. Бакрадзе, Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджарии: Изв. Кавк. Отд. рус. географ. общ. 1874 г. т. II № 5, გვ. 205.

C/ 6) ვასახელებ ევ. ვეიდენბაუმის მიხედვით: კავკასიან თეოდორის კავკასიანის აღმოჩენის შემთხვევაში და მტრების გადაარჩინა (იხ. M. Kovalevskii, Современный обычай и древний закон. Москва, 1886 წ. გვ. 71).



ჩერქეზებს არა აქვთ არც განსაკუთრებული სამლოცველო ტერიტორია, არც სამსხვერპლო; ეკლესიის ადგილი წმინდა ტყეს უჭირავს, რომელიც შეუვალია. თითეულ ვაკეს აქვს რამოდენიმე ამგვარი ხევნარი. თითეულ ხევნარზე მიუჲოვნებულია სახლების ან ოჯახების განსაზღვრული რიცხვი, რომლებიც წმინდა ტყის მრევლად, „ტგახაპსად“ ითვლება¹. სადგურ თხამახინის მახლობლად, მდინარე შებეჭა ნაპირზე ყოფილი მთელი ხევნარი ცაცხვის ხეების, წმინდა და შეუვალი. აქ იკრიბებოდენ თურმე ადგილობრივი მცხოვრებნი შესაწირავი ცხვრებით ღვთაება მეზითხუს და თლეფშისათვის. ასწლოვან ხეებზე ჰკიდებდენ იარაღს, ფერად ნაკრებს და სხვა შეწირულ საგნებს. 1863 წლის ბოლოს ეს ტყე რუსის ჯარებს გაუნადგურებია².

საქართველოში წმ. ხეთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული მუხის³ და ცაცხვის თაყვანისცემა იყო. გეოგრაფიული ტერმინი „რკონი“ მოწმობს, რომ აქ ცაცხვზე ადრე უნდა ყოფილიყო წმ. მუხის თაყვანისცემა. ამასვე ადასტურებს სამეცნიელოში განთქმული კუნძილი, დიდი მუხის სალოცავი⁴. სვანები ივნისის გასულს მთებსა და ხევნარში მუხის ქვეშ მართავდენ ნამდვილ წარმართულ ორგიებს⁵. ფშავში ლაშარის სალოცავის გალავანში ხევის ბერები უჩვენებენ ადგილს, სადაც „ბერ-მუხა“ მდგარა, შეერთებული ცასთან ოქროს შიბით; ეს მუხა მოუქრევინებია ზურაბ ერისთავს. ჯერ თავისი ყმებისათვის უბრძანებია ვითომც მოჭრა ამ მუხისა, მაგრამ ცული არ მიკარებია, ვერ მოუქრიათ. ბოლოს დაუბარებია ყველა თემის ფშაველი და თითეულისათვის მოუთხოვნია ესწავლებინა ხერხი, საშუალება, რითაც-კი შეიძლებოდა მუხის მოჭრა. მაგრამ არავის უსწავლებია ზურაბისთვის წამალი, რისთვისაც ყველასათვის სხვადასხვა უწმინდური ცხოველი უჭმევია. ბოლოს ერთს უკანა-ფშაველს გაუყიდია თავისი სალოცავი: კატის სისხლით მოუსკრია მუხა, ანგელოზი მოჰშორებია ხატსა, სწყებია, არ ეგონა, თუ ფშაველი

¹⁾ Л. Я. Люлье, Верования, религ. обряды и предразсудки у черкесов: Зап. Кавк. Отд. рус. Геогр. Общ. кн. V გვ. 83. 124, 129

²⁾ იხ. Каменев, Урочище Адыхеко: Кубанские областные ведомости, 1866 г., № № 43, 47 (ვასახელებ ვეიდენბაუმის მიხედვით: Кавказские этюды, I, Тифлис, 1901 г. გვ. 77).

³⁾ მუხის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ბ. მარი, К палеонтологии речи по грузинской лексике: Доклады Академии Наук СССР. 1927, № 4, Ленинград, გვ. 81.

⁴⁾ იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I., გვ. 139—140.

⁵⁾ В. Тепцов, Сванетия: СМОМПК, вып. V. გვ. 59—60.



მოღალატე აღმოჩნდებოდა; ხე გაუჭრია ცულსა, მუხა წაჭალაზე და მუხაზე ჯაჭვი-შიბი ცაში აკეცილა. იმ მოღალატის გვარი აღარ არსებობს. მას შემდეგ გასტეხია საქართველოს ილბალი და ფშავის ბედიც უკან და უკან წასულა. იმ ხალხური ლექსი ამ ამბავზე:

იჩივლა ლაშარის ჯვარმა

ლვთის კარზე თავის პირია:

„ხმელს გორზედ მედგა ბერ-მუხა,

მორთული ოქროს შიბითა;

სულძალმა ე—მა

გადმომიბრუნა ძირითა“.

სანამდე იმის ძე არი,

ის ამაგებს ჭირითა¹.

მეორე ქართული გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მცხეთის სვეტიცხოველის ეკლესიის ადგილზე ძველად მდგარა უზარმაზარი წმინდა მუხა, რომელსაც ხალხი თაყვანსა სცემდა. მირიან მეფის გაქრისტიანების შემდეგ წმინდა მუხა მოუჭრიათ და მის ადგილზე ჯერ ხის ეკლესია გაუშენებიათ და შემდეგ ქვის ეკლესით შეუცვლიათ².

საზოგადოდ, მედიდური სილამაზით და ძლიერებით სავსე მუხა ევროპის თითქმის ყველა ხალხებში მიჩნეული იყო წმინდა ხედ და ცის უზენაესი ღმერთის კუთხნილებად³.

მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მუხაზე არა ნაკლებ გავრცელებული იყო ცაცხისხის თაყვანისცემაც, რომელიც არც სილამაზით და არც ძლიერება-ხანიერებით მუხას არ ჩამოუვარდება. მთელ დასავლეთ საქართველოში ცაცხისხეს დიდ პატივსა სცემენ, როგორც წმინდა ხეს. იმერეთში ცაცხის მოჭრა და მისი შემაღლება დიდი ცოდვაა⁴. იქ ისეთ სოფლებში, სადაც ეკლესია არ იყო, იშვიათი შემთხვევა არა ყოფილა, რომ ეკლესიის მაგივრობას ცაცხისხე ეწეოდა.

როდესაც ვაკვირდებით ხეთა თაყვანისცემასთან დაკავშირებულს მოვლენებს, ვითვალისწინებთ ზოგიერთ მითს და ლეგენდას,

¹⁾ ვაჟა-ფშაველა, ლაშარობა: „ივერია“ 1888 წ., № 174.

²⁾ Грузинские народные праздники: Кавказ, 1878 г., № 229.

³⁾ Е. В. Кагаров, Культ фетишей, растений и животных в Древней Греции, гл. 103.

⁴⁾ М. Глушаков, Памятники народного творчества Кутаиси. губ. СМОМПК вып. 32.



რომლებიც, სამწუხაროდ, კრიტიკულად დადგენილი არ გაისა და
რომელთა ინტერპრეტაციაზე, მაშასადამე, ლაპარაკი ძნელია, და
შეძლებისდა გვარად, ვცდილობთ ზოგიერთი პარალელის გაყვანას—
კატეგორიული დასკვნების გარეშე ისმება საკითხი: შეიძლება თუ
არა გარკვეულ იქმნას პირველყოფილი რელიგიის რომელ განსაზღ-
ვრულ გამომეულავნებას იძლევა ჩვენში ხის კულტი. ვამბობ განსაზ-
ღვრულ გამომეულავნებას, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ხის კულ-
ტის განვითარების პროცესში არსებობს სამი საფეხური თაყვანის-
ცემისა. პირველი საფეხური შეიცავს ხალხის ისეთ რწმენას, როდე-
საც ხე და ტყე წარმოდგენილია სულიერ არსებად და, როგორც ასეთს,
შეუძლია ადამიანს ვნება ან სიკეთე მოუტანოს. მეორე საფეხური—
როცა ხე ან ტყე წინაპართა სულის სადგომია, და მესამე—თავშესა-
ფარი უზენაესი ღვთაების¹⁾. ასეთი მიღომით ხის კულტის განხილვა
საქართველოში არ წარმოებულა. ნაკლებად ვიცით არის თუ არა ჩვენ-
ში ისეთი ხე, ხევნარი ან ტყე, რომელსაც ხალხი ემსახურება, როგორც
საკუთარი სულის და ძალის მქონეს. ამგვარი წარმოდგენის გამჭლავ-
ნებელი უნდა იყოს აფხაზური „ხის სალოცავი“. მარიამობა-დღეს
აფხაზის ოჯახში ცხვება პატარა კვერები რიცხვით იმდენი, რამდე-
ნიც ოჯახში მამაკაცია. ამ კვერს ოჯახის უფროსი წაიღებს
მახლობელ ქორფა ხესთან (თან ბავშვებიც მიჰყებიან), ხეს ფეხს
მიადგამს და შემდეგ ლოცვას ამბობს: „ხეო, შენი მადლი და სიკეთე
მომანიჭე... ხიღან უვნებლად ჩამომიუვნე, ნედლ ტოტზე შეესღე—
გამიმაგრდეს, ხმელზე შეესღე—გამინედლდეს“ და სხ. ²⁾. საზოგადოდ,
წმინდა ანიმისტური შეხედულება ხალხში ძნელად მოიძებნება. ის
უფრო მეტ წილად დაკავშირებულია წინაპართა კულტთან ³⁾. მ. კოვა-
ლევსკი კავკასიის ხალხთა მასალების განხილვიდან გამოდის და
ამბობს, რომ აქ საგვაროვნო წესშეყობილების და ანიმიზმის
განვითარება თანადროულად მოხდა ⁴⁾. საქართველოში ხეთა თაყვა-
ნისცემასთან დაკავშირებული მოვლენების განხილვას უნდა მივყავდეთ
ხის კულტის განვითარების მესამე საფეხურთან, როდესაც წმინდა ხე
წარმოადგენს უზენაესი ღვთაების სადგურს.

1) ვ. თეილორ, Аантропология, изд. 4, Петроград.

2) იხ. პ. გიორგაძე, აფხაზეთი და აფხაზნი: „ივერია“, 1888 წ.,

№ 184.

3) Шурц, История первобытной культуры, вып II, гл. 627. აგრეთვა
К. М. Тахтарев, Очерки по истории первобытной культуры, 1922 г.,
гл. 66—67.

4) М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, 1890 г. Москва т. I. гл. 29.

მეზობელ ჩერქეზებში შედარებით უკეთაა დაცული ძეგლი ჭაო-
მართული წესები. მათ წმინდა ტყეებში დიდი ადგილი აქვს მიკუთ-
ვნებული ხის ჯვრებს, ზოგჯერ მეტად ორიგინალური ფორმისას..
უკელა ჩერქეზული დღესასწაული ამ ჯვრების წინ ტარდება. უკელა
წმინდა ხევნარ-ტყეში მოსახის ჯვრის სიმბოლო¹. ძველიდ, აფხაზე-
თის ერთ-ერთ წმინდა ტყეში ყოფილა დიდი რკინის ჯვარი.
ამ ჯვრის მახლობლად ცხოვრობდენ მეუღაბნოენი, რომლებიც ევედ-
რებოდენ განგებას მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის. მცხოვრებ-
ლები მათ უგზავნიდენ შესაწირავს. ტყეში მიმავლებს თან მიჰქონ-
დათ ხის ჯვრები, რომლებსაც ამწვანებულ ადგილს დგამდენ. ნაც-
ნობები ერთმანეთს ტყეში ხვდებოდენ და მეგობრობის ნიშნად
ერთმანერთს ჯვრებს უცვლიდეს. დიდი რკინის ჯვრის სასწაულების
შესახებ ხალხში სხვადასხვა გადმოცემა შენახულა. სამწუხაროდ, ჩვენ
არ ვიცით რა შინაარსისაა ეს გადმოცემები, მაგრამ რა ადგენ გსი
გვარწმუნებს ამ სასწაულებს არავითარი კაშშირი არა აქვს არც
ქრისტესთან და არც მის მოძღვრებასთან².

დასავლეთ საქართველოში წმინდა ცაცხვებს ხის ჯვრებს უკე-
თებენ. რაჭაში, სოფელ ზედა-შავრაში (ნამანევის თემი), სოფლის
თავსა და ბოლოში დღესაცა დგას უზარმაზარი წმინდა ცაცხვისხეე-
ბი, რომელთა ქვეშ აწყვია შეწირული ნალები, ფული, წმინდა სან-
თელი, ბამბის ძაფები და სხვა. ამ ცაცხვებს ადგილობრივი მცხოვ-
რები „ჯვარს“ უწოდებენ. ქართლში კავთურა-თეძმის ხეობის მთიუ-
ლების სამლოცველო-ნიშები მოთავსებულია ხის ძირში, ან სამლო-
ცველოდ იხმარება წმ. ხედ მიკრული ხის ჯვრით. ხის ჯვარი მე-
ტად გავრცელებულია თუშ-ფშავ-ხევსურების სამლოცველოებში. ³).
გარდა ამისა ამ ხალხის წარმართი ღმერთების სახელწოდება უშუა-
ლოდ შეერთებულია ჯვართან. მაგალითად, ფშავში: ჯიმალის-ჯვარი,
ლაშარის-ჯვარი; ხევსურეთში, ოთხი მთავარი სალოცავი: გუდანის-
ჯვარი, ხახმატის-ჯვარი, სანების-ჯვარი და კარატის-ჯვარი.

ასეთი მძლავრი შეჭრა ქრისტიანული ჯვრისა ძეგლ წარმარტულ
წესებში იწვევს აზრთა სხვაობას მის ახსნა-განმარტებაში. შესაძლე-

¹⁾ Л. Я. Люлье, Верования, религ. обряды и пр., едразусудки у чекес: Зап. Кавк. Отд. русск. геогр. общ. кн. V. 83. 83³. 124, 129.

²⁾ Dr. Jacob Reinegg's, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasisus, H. desheim und St. Peterburg, 1797. Zweiter Theil. აფხაზების დღესასწაულს წმ. ხევნარში ავტორი, აღწერს სიტყვიერი ცნობების მიხედვით, თვითონ ამ დღესასწაულს არ დასწრის. ³⁾

³⁾ იხ. ერისთავ, О Тушини-Пшаво-Хевсуре ком округе: Зап. Кавк. Отд. русск. Геогр. общ. кн. III, 83. 98.



ბელია ჯვრის დაფუძნებამ ტყეში გამოიწვია ტყის აღმართული ბინდედ, მაგრამ მეორეს მხრივ, ქრისტიანული მოძღვრების გამავრცელებელთა ხერხი იყო წარმართი ღვთაებების ადგილებზე ჯვრის აღმართვა. უკანასკნელ აზრს ამოწმებს ბატონიშვილი ვახუშტის ცნობა: „უამსა ქრისტეანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესე-ვითარივე იყო განცხრომა-როვანი. ამისთვის აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან მუნ, ვითარცა აწფერკისა სიმღერითა გაათენიან: და ესენი ესრეთ“¹.

მაგრამ პრობლემის გადასაწყვეტიდ სულ სხვა შიმართულებას იძლევა პროფ. ნ. მარის საყურადღებო ლინგვისტიური დაკვირვება: „ჰაიკური სახ „ჯვარი“ და სომხური სახ „ჯვარი“, როგორც ჩანს, წარმადგენს იაფეტურ სიტყვას თავდაპირველად ხის მნიშვნელობით, კერძოდ, აღბათ საკულტო ხის“².

არა მარტო ქრისტიანული ან, თანახმად პროფ. ნ. მარის დაეჭვებისა, გაერისტიანებული ნიშნები (ამ შემთხვევაში ჯვარი) სუფევენ წარმართ კულტის ხეთა თავკანისცემის სამყაროში. წმინდა ხეებთან და ხევნარ-ტყესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული წმ. გიორგის და ღვთისმშობლის სახელები.

ჩერქეზები წმინდა ხეს უწოდებენ panjassan-ს ანუ panagiassan-ს — ეს არის გადამახინჯებული ბერძნული სიტყვა παναχία, რაც ღვთის მშობელს ნიშნავს³. აუხაზეთში, მთის მწვერვალ ღვთდრუპშის მახლობლად დგას მუხა. მის ძირში ასვენია დიდი ქვა ზედ ამოქანდაკებული ღვთისმშობლის სახით. ამ ქვას (თუ მუხას, ან ორივეს ერთად) ლითონის საგნებს სწირავენ და შენაწირის მოპარვა დაუშვებელია⁴. საქართველოში თითქმის ყველა წმინდა ხე ან ტყე წმინდა გიორგის სახელითაა მონათლული. გორის მაზრაში (თემის ხეობა), როგორც უძვე აღვნიშნეთ, წმ. ცაცხვის ქვეშ დასვენებულ ქვა-ხატზე ერთადაა წარმოდგენილი ცაცხვის წმინდა გიორგი და მარიამ ღვთის-სცემშობელი. ამ ორი ქრისტიანი წმინდანის ასე მჭიდროდ შექრა წარმალულ რელიგიიაში შეიძლება აიხსნებოდეს მათი წარმართული წარმოქმნობა—ბუნებით⁵.

¹⁾ ვახუშტი, ჯანაშვილის გამ. გვ. 14.

²⁾ Н. Марк, Ещё о слове „челеби“: Зап. Вост. отв. Рус. Археол. Общ. т. XX, вып. II—III. გვ. 116.

³⁾ გასახელებელ ვეიდენბაუმის მიხედვით: Кавк. этюды, I, Тифлис, 1901 წ. გვ. 71—72.

⁴⁾ Религиозные верования абхазцев: Сб. Свед. о Кавк. горцах, вып. V, გვ. 18.

⁵⁾ როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა (ქართველი ერის-

ქართული ლეგენდები პირდაპირ მიუთითებენ წმინდა მუხამეს ჭად—
შირს წმ. გიორგისთან. გურულების ერთი ლეგენდა შემდეგი გად-
მოგვცემს: მე-XVII საუკ. ლექებმა გურია დაანგრიეს. დაეცენ ლანჩ-
ხუთსაც, დააქციეს მისი ერთად-ერთი ეკლესია წმ. გიორგის სახე-
ლობისა. ამის შემდეგ რამოდენიმე წლის განმავლობაში სოფელს ეკ-
ლესია არ ჰქონია. ერთხელ ეკლესიის ნანგრევებთან მუხის ქვეშ თა-
ვი მოყვარა გლეხებს. უეცრად მათ ზემოლაბ წრიპინი ჩამოესმათ,
თითქოს მუხაზე ვიღაცა იჯდა და განუწყვეტლივ წრიპინებდა. ცნო-
ბის მოყვარე გლეხებმა მოისურვეს გაეგოთ ვინ ასულა ხეზე, მაგრამ
უცნაური დაბრკოლება გადაელობათ წინ: ვერც ერთი გლეხი მუხის
ნახევარზე ზევით ვერ ავიდა მიუხედავად იმისა, რომ მუხას მრავალი
შტოები ჰქონდა გამოშვერილი, რომლებიც აადვილებდენ ხეზე ას-
კლას—რაღაც უხილავი ძალა არ უშევებდა მათ ზევით. მაშინ გლე-
ხების თხოვნით, ერთმა ბერმა ახსენა ლმერთი და აცოცდა მუხაზე.
იქ მან ტოტებს შეა წმ. გიორგის ხატი ნახა. სოფელმა ააგო ეკლე-
სია წმ. გიორგის სახელობაზე, და ხატიც იქ დაასვენეს. მაგრამ მეო-
რე დღეს ეს ხატი დაიკარგა. ბევრი ძებნის შემდეგ ის ისევ ძველ
ადგილას დიდ მუხაზე იპოვეს. იმავე ბერმა კვლავ ჩამოიტანა ხატი
და ეხლა უკვე სხვა სამლოცველოში დადგა. აქაც ძველი ამბავი გან-
მეორდა: კვლავ დაიკარგა ხატი და ისევ მუხის ტოტებში იპოვეს.
ამიერიდან გადაწყვიტეს მუხა გადაეკრათ და მის ადგილზე ეკლესია
გაეშენებინათ. ასეც მოიქცნენ. წმ. გიორგის ხატი იქ ესვენა მე-XIX
საუკ. დასაწყისამდე, როდესაც ლანჩხუთს აფხაზები დაეცენ და ხატი
გაიტაცეს. ამჟამად ეს ხატი ილორის მონასტერში ინახება. ლანჩხუ-
თელები ყოველ წელს დადიან ამ ხატის მოსალოცად ილორში და
ხარსა სწირავენ¹. არსებობს აგრეთვე მეგრელების მითი, რომელიც
აღიარებს, რომ უზენააქსმა მძინარე წმ. გიორგის კუჭი ამოაცალა და
მაღალ მუხაზე ჩამოკიდა².

წარმართულ დღესასწაულებზე წმინდა ტყეებში და წმინდა ხეს-
თან თვალსაჩინო აღგილი ნადირს, განსაკუთრებით ირემს უჭირავს
ისტორია, ტ. I თავი 3), წმ. გიორგი მნათობთა თაყვანისცემასთან არის დაკავშირე-
ბული ხოლო, რაც შეეხება ღვთისმშობელს, ერთი უცნობი მკვლევარი აღიარებს, რომ
მასში გადასულია მიწის ნაყოფიერების ღვთაება მანუს ანუ მაია, რომლის კულტი
გავრცელებული იყო კაპადუკიასა, პონტოს სამხრეთ ნაწილსა და მცირე კავკასიის
სამჩრეთით (Грузинские народные праздники: Кавказ, 1878 г. № 229).

¹⁾ ლ. Կ ე რ ე ს ე ლ ძ ე, ლანჩხუთ. ს ე ლ ს კ. ი რ ე მ ს უ ჭ ი რ ა ვ ს
უ ე დ ა. СМОМПК, вып. XXIII, გვ. 226.

²⁾ И. Կ օ ბ ა լ ი ა, Из мифической Колхиды: СМОМПК, вып. XXXII, გვ. 91.



და მისი რქები ეწირება ამ წმინდა ადგილებს. თუშ-ფშავ-ხევსურების, მთიულების, სვანების, აფხაზების, მეზობელ ჩერქეზების და სხვათა სამლოცველოები წმ. გიორგის სახელობისა სავსეა ირმის და ჯიხვის რქებით. სვანეთში სოფელ ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესიას გარედან კედლებზე ირმის თავების ჩუქუროთმა ამკობს ¹⁾. სოხუმის მახლობლად არის წმ. გიორგის ეკლესია, რომლის ქვის გალავანი შიგნიდან შემკულია ირმის რქებით. ამ სამკაულების წარმოშობის შესახებ არსებობს გაღმოცემა, რომ ყოველწლიურად აპრილის 22-ს ღამით ეკლესის შესავალ კარებთან ჩნდებოდა უზარმაზარრქებიანი ირემი გამოგზავნილი წმ. გიორგის მიერ. ერთ ასეთ დღესასწაულზე ხილხმა ირემს დაგვიანება უსაყველურა და დატუქსა. ამ ღლის შემდეგ წმ. გიორგი ირემს აღარ გზავნის ²⁾. ამ და მრავალ სხვა ოქმულება-მაგალი-თებძან ჩანს, რომ ირემი დაკავშირებულია წმ. გიორგისთან და ამავე დროს მათი კავშირი მჭიდროა წმ. ტყეებთან და წმ. ხესთან. გარდა ამისა წმინდა ხეები დახუნძლულია ისრებით და სხვა საომარი იარა-ლით, ისევე როგორც წმ. გიორგის ეკლესიებში მრავლად მოიპოვება ამგვარი შეწირულებანი. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ხეთა თაყვანის ცემის რიტუალი ღამით სრულდება. აფხაზები პირველ ყვავილობას უქმე დღის წინა ღამით იყენებენ. შუალამისას სიმღერებით და თო-ფის სროლით ტყისაკენ მიემართებიან ქალწული ქალები მოხუცის წინამძლოლობით ხუთყურა ბალახის მოსანახად, ვაეები-კი განძის საძებნელად. მხოლოდ განთიადზე ბრუნდებიან უკან დაწესებული ცერემონიით: წინ მოხუცი მეჯირითე მოუძღვით, თავზე მუხის გვირ-გვინით და ირემზე მჯდომარე ³⁾. დღესასწაულ ამშაპს სამი ღლით ადრე იწყებენ. აფხაზების მთელი სოფელი, რაც უნდა ცუდი ამინდი შეესწროს, ღამით მიღის ტყეში წმინდა მუხასთან. აქ მათი წინამ-ძლოლი მოხუცი ლოცულობს, რის შემდეგ თავზე ნაბადს წამოიხუ-რავს, რომ მისკენ მიმავალი მლოცველები ვერ დაინახოს. ჯერ ქა-ლები მიუახლოვდებიან მახვილით ხელში, ემთხვევიან მახვილს და წმინდა მუხას ჩასცემენ. ამის შემდეგ იწყება ლოცვა-ვედრება და მოხუცი წინამძლოლის წინაშე აღსარების თქმა ⁴⁾). დღესაც, ფშა-

¹⁾ И. А. Бартоломей Поездка в Вольную Сванетию: Зап. Кавк. Отд. Рус. Геогр. одт. кн. III, 83. 172.

²⁾ М. Машурко, Из области народной фантазии и быта Тифл. и Кут. губ.: СМОМПК, Вып. XVIII, 83. 249—250.

³⁾ Дубровин, История войны и владычества русских на Кавка-зе, т. I, кн. II, 83. 19.

⁴⁾ იქვე, 83. 22.

ვის ხევის ბერები დიდებას დროს სხვათა შორის იხსენიებუნ „განმარტობა მუხის ანგელოზს“¹⁾. ერთ უცნობ მკვლევარს წმ. მუხის დაკუფრულ ჩება წმ. გიორგისთან გადაწყვეტილ საკითხად მიუჩნევია და ამბობს: „замена поклонений священному дубу поклонениями национальному святому Георгию и св. Кресту представляет довольно замечательное явление“²⁾.

ეს მოვლენა მეტად საყურადღებოა, მაგრამ საკითხავია: აქ მართლა წმინდა მუხის შენაცვლებაა წმ. გიორგით, თუ ხის კულტის განვითარების მესამე საფეხურთან გვაქვს საქმე, როდესაც წმინდა ხე თავშესაფარია რომელიმე წარმართი ღვთაებისა?

დასასრულ, წმინდა გიორგის სახელწოდება ენობრივი თვალსაზრისით განხილული აქვს პროფ. ნ. მარს. მისი აზრით სვანური „ჯგრაგ“ და მეგრული „ჯგეგ“ მისი მრავალსახეობით წარმოადგენს წარმართი კულტის ტერმინს, სახელდობრ მუხის, მუხის ხევნარს, წმ. მუხებს, წმ. მუხის ხევნარს შემდეგ ამ სიტყვის სვანური ექვივალენტიდან, მისი ფუძითი ნორმების მიხედვით, გამოყავს ილორის წმ. გიორგის ხატის სახელწოდება³⁾.

ამგვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ რკონის წმინდა ცაცხვის აღწერილობას, რომელიც ზემოთ მოვიყენეთ, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხებში ხის კულტთან დაკავშირებულ მოვლენებს და ზოგიერთ მითსა და ლეგენდას, რამდენადაც საზოგადოდ ამ, მასალის ინტერპრეტაცია დღესდღეობით შეიძლება, უნდა ვიფიქროთ რომ ხის თაყვანისცემა საქართველოში წარმოდგენილია თავისი განვითარების მესამე საფეხურში, როდესაც ხე ან ტყე სადგური იყო ამა თუ იმ ღვთაების. რაც შეეხება პირველი და მეორე საფეხურის რწმენის არსებობას, ეს საკითხი გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს როგორც უკვე არსებული მასალების მიმართ, ისე ახალის შეგროვების გზით.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით უმთავრესი საკულტო ხეები საქართველოში იყო მუხა—„ჯგრაგ“—„ჯგეგ“ (შეიძლება „ჯვარ“-იც) და ცაცხვი.

ამასთანავე ირკვევა, რომ ხის კულტთან ჩვენში ყველაზე შეტად დაკავშირებულია წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის სახელები. ამათგან წმინდა გიორგის კავშირს წმინდა მუხასთან პირდაპირ მიუ-

1) ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ფშაველები: „ი ვ ე რ ი ა“, 1886 წ. № 39.

2) Грузинские народные праздники: Кавказ, 1878, № 229.

3) Н. Я. Марр, О религиозных верованиях абхазов: Христ. Восток, т. IV, вып. I.



თითებს როგორც ეთნოგრაფიული, ისე ლინგვისტური ნიშნების ხოლო ღვთისმშობლის კულტის და მისი პირვანდელი დაკავშირების საკითხი ამა თუ იმ გარკვეულ წმინდა ხესთან ამჟამად, სამწუხაროდ, მეტად გაძნელებულია უკვე მომხდარი აღრევის გამო.

რაც შეეხება მუხისა და ცაცხის კულტის გეოგრაფიულ გავრცელებულობას, უნდა ითქვას, რომ ცაცხისე უფრო მეტად მიღებულია დასავლეთ საქართველოს ზემო ნაწილში.

V. LOMIA.

SUR LE CULTE DE L'ARBRE EN GÉORGIE.

(Résumé).

Au cours d'un voyage d'étude dans la partie montagneuse du Kartli (région de Géorgie) que l'auteur a accompli en été 1926, son attention fut attirée par le tilleul de St. George à Rkoni. L'étude détaillée de cet arbre sacré et sa comparaison avec d'autres analogues, subsistant encore dans les différentes parties de la Géorgie ou connus par des témoignages historiques, lui ont montré que le culte des arbres est représenté en Géorgie sous une forme correspondant à ce qu'on appelle le troisième stade de son développement, quand l'arbre n'est plus considéré que comme le siège d'une divinité. Quant aux stades antérieurs de ce développement, des études ultérieures doivent décider s'ils sont représentés en Géorgie ou non.

Font objet de culte principalement le chêne-«djgéräg»-«djguégué» (peut être aussi «djvar») et le tilleul.

Les noms de St. George et de la Vierge sont le plus souvent liés à ce culte. Celui de St. George est plus spécialement associé au culte du chêne, comme cela est prouvé par les données ethnographiques et linguistiques. Quant au culte de la Vierge il n'est pas encore possible de dire lequel des arbres lui était lié primitivement. La confusion qui règne à ce point de vue actuellement rend la question très difficile à débrouiller.

Au point de vue de l'extension géographique il faut remarquer que le culte du tilleul est plus particulièrement répandu dans les parties montagneuses de la Géorgie occidentale.

სერგი მაკალათია.

ლიტერატურა მითოს კულტი საქართველოში *.

(ტაბ. VIII).

ქრისტიანობის წინამორბედ წარმართ ღვთაებათა შორის ძველ მსოფლიოში უპირველესი ადგილი ღვთაება მითრას ეჭირა.

მითრაიზმი წარმართული მოძღვრების უკანასკნელი და უძლიერესი სიტყვა იყო; მისი მევლეგარნი ერთხმად გვარწმუნებენ, წარმართულ მსოფლიოს ქრისტიანობა რომ არ მოვლენოდა, კაცობრიობა მითრას იწამებდათ. როგორც მითრაიზმის შესახებ არსებული წყაროებიდან და საკმაო დიდი მეცნიერული ლიტერატურიდან ჩანს¹, ამ ღვთაების კულტის გავრცელების ისტორია შესაძლებელია ორ ხანად გაიყოს.

პირველი ხანა შეიცავს მითრას ღვთაებრივობის აღმოსავლეთში წარმოშობისა და მისი კულტის მცირე აზიაში გავრცელების ისტორიას, უძველესი დროიდან I საუკუნემდე ქრ. წ.

მეორე ხანა-კი მითრას კულტის მცირე აზიიდან დასავლეთ ქვეყნებში გავრცელებით იწყება, სახელდობრ ძველი რომის იმპერიის მთელს სიგრცეზე I საუკუნიდან ქრ. წ.-IV საუკუნემდე ქრ. შ.

უძველესი ცნობები მითრას შესახებ დაცულია ინდოელთა „რიგ-ვედა“-ში, სადაც ის მოხსენებულია მთავარ ღვთაება-გარუნასთან თითქმის განუყრელად. მას უწოდებენ ვარუნა-მითრას, ან მითრა-ვარუნას, როგორიც ნათელისა და ბრწყინვალე ცის ღვთაებად იყო

*) მოხსენებულია საისტ.-საეთნ. საზოგადოების საჯარო კრებაზე 1924 წლის 12 აპრილს.

¹⁾ Franz Cumont, Textes et monuments figurés, relatifs aux mystères de Mithra, t. t. I, II, Paris 1896, 1899.; მისივე Les mystères de Mithra, Bruxelles. 1902.; Roscher, Lexikon der gr. u röm. Mythologie s. v. Mithras, (II, 2029 ff); A. Gasquet, Essai sur le culte et les mystères de Mithra, Paris, 1898; Windischmann, F. Mithra, ein Beitrag zur Mythengeschichte des Orients, Lpz. 1857.

აღიარებული და აგრეთვე ყოველგვარი სიკეთისა და სიცოცხლის წყაროდ მიჩნეული. ეს ტყუბი ღვთაება ყოვლის მცოდნე და მხილველია. ორივე ერთს ეტლში სხედან, ერთს ფიქრობენ, ცრუს და მატყუარს სასტიკად სდევნიან და სამყაროსაც ერთად განაგებენ. მზე ვარუნა-მითრას თვალად ითვლებოდა და მისივე გამოხატულების სიმბოლო იყო¹.

ვედასთან შედარებით უფრო ვრცელი ცნობებია დაცული მითრას შესახებ ძველი პართების „ავესტა“-ში, სადაც მისი სავედრებელი ჰიმნებიცაა. შეტანილი. ავესტაში მითრას „Mihir“—„მიზრ“ ეწოდება, რომელიც ნათელს, ან სინათლეს ნიშნავს და მუდამ მთავარი ღვთაების აჟურა-მაზდის გვერდით იხსენიება.

მითრა, როგორც სინათლის ღვთაება, ავესტაშიაც მზედ და აჟურა-მაზდას თვალად იწოდება. მისი სამფლობელო ნათელი ცაა, და ყველა ციური მნათობებიც მას ემორჩილებიან.

მითრა მზის, მთვარის და ვარსკვლავების დახმარებით სამყაროს ბოროტებისაგან იცავს და ის გუშაგინით სდგას კეთილი ღვთაების აჟურა-მაზდის (სინათლის) და ბოროტი ღვთაების არიმანის (სიბნელის) შუა და იბრძვის ბოროტების დასათრებუნავად.

მითრას შესახებ „იეშთ-სადე“-ში² ნათქვამია, რომ „ზეციერ არსებათა შორის ის პირველი თანამგზავრია უკვდავისა და სწრაფ-მავალი მზისა და თავისი მოწყალე თვალით მითრა ზეციდან უმზერს არიელთა სადგომებს, ანაყოფიერებს მათ მიწას და საქონელსაც ვრცელ საძოვრებს აძლევს“. ამავე იეშთ-სადე-ში აგრეთვე ნათქვამია, რომ მითრა, ვრცელი საძოვრების მფლობელი, თავისი გარისკროვნებული სამყაროდან ვარსკვლავებით შემკული ეტლით გან დის, რომელსაც თეთრი ფერის და ოქროს ჩლიქებიანი ოთხი კვიცი მიაქროლებს. ის, როგორც სინათლის და კეთილი ღვთაება, ყოველგვარ სიბნელესა და ბოროტებას სასტიკად სდევნის. ამიტომ მითრა ჰიმნებში გამოყანილია, როგორც კეთილთა მფარველი და დაჩაგრულთა მოსარჩევ. ამასთანავე მითრა განსაკუთრებით წარმოდგენილია, რო-

1) James Darmesteter, Ormazd et Ahriman, Paris 1877, 3-й ч. chapitre VIII, Varuna et Mitra—Ahura et Mitra. гл. 62—66.; З. Раго „Индия и а, История Мидии, СПБ. 1903 г. гл. 42—44; А. Барт, Религии Герм. Моск. 1897 г. гл. 71—72.

2) იეშთ-სადე-ში მოთავსებულია მითრას და სხვა იაზატათა (კეთ Khorda—ბის) სავედრებელი ღოცები და ჰიმნები და შეადგენს მცირე ავესტას. Paris 1892 Avesta): ი. J. Darmesteter, Le Zend—Avesta, II. Volumentar über Khorda-Avesta, Mihir yasht, гл. 441—480. F. Spiegel, Com., гл. 546—586— das Avesta, II Band, Wien, 1868, Khorda-Avesta, Mihir-yashī

ვორც ძლიერი მხედარი და მხედართა მფარველი. იეჟთ-სადეკ-ერთ-ერთს ჰიმნში ნათქვამია: „მითრა ვერცხლის ჩაფხუტიანი მხედარია, ტანზე აცვია ოქროს აბჯარი, ჰყიდია გამგმირავი ხანჯალი, ხელში უჭირავს გრძელი მახვილი და თეთრ ცხენზე ზის“. მითრამ ძილი არ იცის, მუდამ ფხიზლად იცავს აჰურა-მაზდას ქმნილებათ. ის ყველა ღვთაებაზე უმამაცესი და უძლიერესია, მეტად ფხიზელი, მეტად სწრაფი და ყველაზე მეტად ეშმაკთა მმუსრავი. ლაშქრობის წინ მორწმუნენი აჰურა-მაზდასთან მითრასაც ვედრებით მიმართავენ, და მას მტრებზე გამარჯვებას შესთხოვენ. შითრა ათასი თვალით და ყურითა შეიიარაღებული. ის ყველაფერს ჰქედავს, მას ყოველივე ესმის.

ერთი სიტყვით, აქ მოყვანილი მოკლე ცნობებიდან უკვე თვალ-საჩინოდ ირკვევა, რომ მითრა აჰურა-მაზდას მეორე პირს წარმო-ადგენდა, ებრძოდა ბოროტებას და კეთილმორწმუნების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.

ძველ სპარსეთში მითრას კულტი განსაკუთრებით აქემენიდების დროს გაძლიერდა: ის მხედართა მფარველ ღვთაებად იყო აღია-რებული და მის სახელწილებას თვით სპარსეთის მეფები და სარდ-ლებიც ატარებდენ. დარ ას მეფემ (485 წ. ქ. წ.) მითრას გამო-ხატულება სამეფო სასაცლაოს თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა. არტაქსერქს მნემონმა (358 წ. ქ. წ.) მითრას ქანდაკება თავისი სასახლის ტაძარში მოათავსა¹. ამიერიდან მითრა სპარსეთის მეფების მე არველ ღვთაებად იქცა, მის სახელს ისინი ფიცულობდენ და მას ცხენებს სწირავდენ. სპარსეთის სამეფო ჯარს წინ მუდამ მიუძლოდა მითრასადმი შეწირული ეტლი, რომელშიაც ექვსი თეთრი ცხენი იყო შეგული. ამიტომ, სადაც სპარსეთის ძლევამოსილი ჯარი შედიოდა, იქ მას თავისი მფარველი ღვთაების მითრას კულტიც შექონდა და მაზდენობასთან ერთად მითრაიზმაც ავრცელებდა.

ამით აიხსნება ნ. კუნის აზრით ის გარემოება, რომ მით-რის კულტი ასე სწრაფად ვრცელდებოდა მცირე აზიაში, განსაკუთ-რებით პონტოსა და კაბადუკიაში, სადაც ბატონობდენ სპარსელი არისტოკრატები და სადაც მითრას კულტის და ადგილობრივ ღვთაებათა ერთგვარი გადაჯვარედინება მოხდა; ჩქარა კაბადუკია მითრაიზმის რწმენის გამტარებელ სადგურადაც იქცა, საიდანაც მითრას კულტი მოელს იმდროინდელ შეოფლიოში არაჩვეულებრივი სისწრაფით ვრცელდებოდა².

¹⁾ Бетани и Дуглас, Великие религии Востока, Москва 1899, 23. 293.

²⁾ Н. А. Кун, Предшественники христианства, Москва 1922 г. 23. 123.



Յաշրամ, հիզենու անրուտ, մեռլուծ ամ ցարեմոյեծուտ առ շնչա առեսենցօթքը մուտրանիթմուս մըուր անուանու ասեցու ցավրպէլլեծուտ Յոնց- չէծու; այ ալմոհինուլու եղուրու մըցլուծու մովմոնծեն, հռմ մըուր անուանու մուտրան կյուլթու այժմենութքուտ ցածաթոնեծամց շնչա առսե- ծոյլուց.

1906 թյուլ Յ. Յոնց լուրու մոյր մըուր անուանու (Ցուլան- յութու) ալմոհինուլ սաելմթուցու արխիզու Ծյէստրէծու եցուրու նը- ցոյյեծու սեզա լմէրութբուտ յրտալ, մուրանուր յնուտ ացրետու լզտայեծա „Mitrassil“-սալ (մուրանսուլ) օմովմեծեն. (*Mitteilungen der Deutschen Orientgesellschaft*. № 35). առնունուլու արխիզու յայուրնու 1500 թ. յի. Յոն դա, հրցուրը եցուեծու օստուրու մէցլուրարնու ամրկութքեծու, եցուեծու Ցուլութոյցու-կյուլթուրուլու ծագունուտ ցավրպէլլեծուլու շնչա յուցուլուց մուրել մըուր անուանու դա յացյասուանուց¹. ամուրում Ցիսա- ծոյլեծուու լզտայեծա մուտրան կյուլթու մուրանույունու դա եցուեծու ցա- վլենուտ ցավրպէլլեծուլու յուցուլուց մուրել առնունուլ Ծյէրութուրուանց մուսակելու յրուցնեծատա Մորու դա ամ ցարեմոյեծուտաւ շնչա առեսենցօթք- ութքը, հռմ Ցուլութու, յածալույզուանու դա սահուցալուծ մըուր անուանու այժմենութքուտ ոյս ծագունուծու լրու մատ Մորու մուտրան կյուլթուց ասց Սթրագաւ դա ագցուլաւ վրպէլլեծուլու. մուր շմէրիւ հիզեն յուրուտ, հռմ այժմենութքու սահուսու կյուլթուրուսունու ալմոսացլուտու Ցուրդա- Ցուրու մէմբյութքու ոյս դա ու հիյարու մոյյիլա մուր մոյրու լազպուրունու Մուսամճոնարու յրուեծու կյուլթուրուլ-սարվանույունու ցավլենու յայում. լա ալմոսացլուտու տասլու հիմենուտ ցածուերպէլլեծուլու դա այժմենութքուտ մոյր ցանսակութքուլու դա ցածույրէթքուլու լզտայեծա մուտրա ելլուրութք մոյցունու օմժորունութք մուցլուու.

մուտրան կյուլթու ցավրպէլլեծուլու ոյս ացրետու մէյլ սոմեյտնուց² դա մաս „Մէհր“ „մէհր“ յիշութքուլու; մաս ացատանց յուրու սու որ- մութքու Մուսակու յիշութքու³. մուտրան սոմեյտնուտ ցանտմյունու Ծածարու սոմեյտնու մէյլ ծագարունչու օմպուցյուլու⁴. սոմեյրու մուտրան լզտայ- ծուունու ելլուրու ցանսակույրէթքուլու դա այժմենութքուտ մոյր ցանսակութքուլու դա ցածույրէթքուլու լզտայեծա մուտրա ելլուրութք մոյցունու օմժորունութք մուցլուու.

1) Проф. А. Захаров, Хеттский вопрос: *Новый Восток* 1923. I, 251—258.

2) F. Cimont, op. cit., t. I, ss. 13—20; Н. О. Эмин, Очерк по религии армян: Известования и статьи, Москва, 1896 г. ss. 26—28.

3) Agathangē, Histoire du regne de Tiridate (Langlois, Hist. anc. de l'Arménie, t. I, p. 168).

4) Мойсей Хоренский, История Армении, Моск. 1858 г. кн. II, гл. VIII.



მელიც იმავე დროს მამრობითი სქესის ცეცხლის სიმბოლო ჟულიუს მეორე, „*ლისინ*“ (ლუსინ) „მთვარე“ დედრობითი სქესის ცეცხლის სიმბოლო იყო, რომელსაც მოსე ხორენელი ცეცხლის-დას უწოდებს. მითრას განსახიერების ამ ორი ღვთაების უმთავრესი ტაძარი სომხეთის ძევლ სატახტო ქალაქში არმავირში ყოფილა, სადაც მათი კერპები სვენებულა და გაუქრობელი ცეცხლი ნოებულა. ძევლ სომხეთში მითრას კულტი განსაკუთრებით მხედრობაში ყოფილა გავრცელებული და ოვით სომხეთის მეფებიც, რომლებსაც სპარსეთის მეფეებთან დინასტიური კავშირიც ჰქონდათ, ხშირად მითრას სახელწოდებასაც ატარებდნენ.

ახლა ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, არსებობდა თუ არა წარმართულ საქართველოში მითრას კულტი?

თუ ჩვენ ამ მიზნით თვალს გადავავლებთ ქართულ ღვთაებათა პანთეონს, მასში ამგვარი სახელწოდების ღვთაებას ვერ ვიპოვით. არც ქართულ საისტორიო წყაროებში და ნივთიერ ძეგლებში მოიპოვება მის შესახებ პირდაპირი ცნობები. მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველი ტომების მოძრაობის ისტორიული გზები და მათი მჭიდრო ჟულტურული და სარწმუნოებრივი კავშირი აღმოსავლეთის კულტურისან ერებთან გვიკარნახებს ჩვენ ვიფიქროთ, რომ მითრაიზმის უნივერსალური რწმენა ქართველებშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ქართულ უძველეს მატიანეში „მოქცევად ქართლისად“-ში ქართველთა მთავარ ღვთაებად არმაზია მოხსენებული, იგივე აპურა-მაზდა¹. სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელის ცნობით ქართველები არმაზის (აპურა-მაზდას) დილა ადრიან თავიანთ სახლების ბანიდან თაყვანს სცემდენ თურმე². ხოლო ღვთაება არმაზის და ცეცხლის თაყვანისცემის კულტის საქართველოში არსებობა³ თავისთავად ჰყულისხმობს მითრას რწმენის ჩვენში არსებობასაც, რომელიც აპურა-მაზდას მეორე პირად ითვლებოდა. ამის გარდა თვით მაზდეანური მოძღვრების გავრცელებაც ქართველთა შორის მითრას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც მაზდეანიზმის მთელი

1) Е. ТАКАЙШВИЛИ, მოქცევად ქართლისად: Опис. рукоп. общ. распир. грам. т. II, გვ. 751.

2) Монсей Хоренский, оп. cit. кн. II, гл. 86.

3) ი ა კ თ ბ ხ უ ც ე ს ი, წამებად წმიდასა შეზნიერის, ქუთ. 1917 წ., ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ ერის ისტორია, წ. I, ტფილ. 1913 წ. გვ. 169—248; Н. Марр, Боги языческой Грузии, СПБ. 1901 წ. ამასთანავე აპურა-მაზდა (არმაზი) ყველა თავისი ატრიბუტებით გამოხატული იყო ძველ ქართულ ფულებზე: იხ. М. Баратав, Нумизмат. факты Груз. царства СПБ. 1844 წ. გვ. 17—28, tab. I, II.



მოძღვრება და მისი სიშმინდის დაცვა-გატარება უმთავრესად მითრაზე იყო დამყარებული.

წარმართულ საქართველოში მითრას ოწმენის არსებობის შესახებ პირველად ნიკ. მარმა აღნიშნა და ქართული პანთეონის შეიდო ლვთაებათა შორის ზადენი მან მითრად აღიარა. ნ. მარი ამბობს: „ზადენი აუცილებლად ავესტის „yazata“-ს, ან სპარსულ „yazdan“-ს წარმოადგენს, რომელიც კეთილ გენიას ნიშნავს, განსაკუთრებით მითრას და შემდეგ საზოგადოდ კეთილ ლვთაებას“¹. ამასთანავე ის ამბობს, რომ ქართულ მატიანებში არმაზის შემდეგ მეორე ადგილს ზადენ-მითრას მოხსენიება სრულიად ეთანხმება მას, რომ მითრა მაზდენანურ მოძღვრებაში აჰურა-მაზდას შემდეგ ერთი უმთავრესი ლვთაებათაგანია. ნ. მარის ეს მოსაზრება სრულიად ეთანხმება მითრას ჰიმნების შინაარსს, სადაც ის ხშირად იხსენიება „იაზატარ“ ე. ი. კეთილ არსებად.

ამავე აზრისაა ო. ფონ-ვეზენდ ან კი თავის გამოკვლევაში „ქართული წარმართობის შესახებ“; ის სხვათა-შორის ამბობს: „ქართული ზადენი მითრას უნდა უდრიდეს, რადგანაც იძერიაში მიღებული იყო მზის ლვთაების თავისისცემა, და ამიტომ არაფერი ეჭინაალმდევება იმას, რომ ჩვენ ეს დავინახოთ ზადენში, რომელიც უნდა იყოს ირანულ მითრას შესატყვისი ლვთაება“².

ირანული მითრა-იაზატასი და ქართული ზადენის ერთიდაიგივე-ობა სარწმუნო გახდება, თუ ჩვენ ქართველ ხალხში დღემდე დაცულ წარმართული ხასიათის სალოცავებსა და რიტუალურ წესებს მივმართავთ.

როგორც ჩვენ ალენიშნეთ, აჰურა-მაზდას განუშევეტელი ბრძოლა ბოროტი ლვთაების არიმანის დასათრგუნავად უმთავრესად დამყარებული იყო იმ კეთილ გენიებზე ან სულებზე, რომლებსაც იაზატებს უწოდებდენ. მათ შორის პირველობდა მითრა (სამყაროს გამგებელი და მებრძოლ ლაშქართა სარდალი) და ათარი (უხილავი წმ. ცეცხლი). იმ ორივე კეთილი გენის კულტი ქართულ ხალხურ რწმენაში დღემდე დაცული. მაგალითად, დიღმარხვის აღება ლამეს სამეგრელოში ასრულებენ სალოცავ „ეინი ანთარს“³ (ზეციერი ანთარი). იმ დღეს მეგრელები კერაზე აცხობენ ოთხუთხედი ფორმის მოზრდილ ყველიან კვერს, რომელსაც ჯერ სუროს ფოთლებში შეა-

¹⁾ H. Mapp, op. cit., 23. 7.

²⁾ O. von Wessendonk, Über georgisches Heidentum. Leipzig, 1924. 23. 84.

³⁾ И. Кобалия, Из миенической Колхиды: СМОПК вып. XXXII, от. III, 23. 99—101.

ხვევენ და შემდეგ ზედ ნაღვერდალს ღააყრიან. ვახშმის წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი კერასთან მივა, ნამცხვარს ნაცარს და სურის მოაცლის, კვერს ზედ კერაზე ოთხეუთხედ ნაჭრებად დასჭრის და შემდეგ ვეღრებას წარმოსთქვამს:

უნი ანთარი, პანტენი გომორძ- ზეციერო ანთარო, ბატონო-
გვილი!

ჩქიმი ორინჯი სი ამიშინი! ჩქიმი საქონელი შენ გაამრავლე! ასობით ვიჭრდე და არაფერი
ოშოშო გვშაფტოფუნდევ დო მუთას მააკორდედასენი, უხაფუ დო აკლდებოდეს, უშობელსა და
ხაფილც ვაიშებჩინენდევ თეში. ხბიოანს ვერ ვარჩევდე ისე.

ღვთაება ანთარი აფხაზეთ შიაც ცნობილია „ავთარ“-ის სახელით. აქც ის ოჯახისა და შინაური პირუტყვის მფარველ ღვთაებად ითვლება. ავთარს აფხაზები „ლმერომანი“-ს მაგიერ ფიცულობენ თურმე. ამის გარდა, როდესაც მათში მეხნაკრავი პირუტყვი კვდება, რასაც იქ დიდ ცოდვად სთვლიან, აფხაზები მაშინვე შეუდგებიან ამ წმინდა პირუტყვის „გასვენებას“ შემდეგი გალობით:

ვად ტლარ!
ავთარ ეტლარ!
ეტლარ ჩოფჰარ!
ჩოფჰარ ეტლარ! ¹⁾

ამ სიტყვების აზრი და მნიშვნელობა დღეს აფხაზებისათვის უკვე გაუგებარია, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საგალობელში ისინი მიმართავენ ღვთაება ავთარს.

ეს—აფხაზური „ავთარი“ და მეგრული „უინი ანთარი“ ²⁾ არის ავესტაში მოხსენებული იაზატა (კეთილი სული) adar-âtar-ათარი, რომელიც ცეცხლის ღვთაება იყო, და ის ავესტაში წოდებულია აჟურა-მაზდას შვილად.

ათარი როგორც ცეცხლის ღვთაება ადამიანის ოჯახთან მეტად ახლოს იდგა, შეიძლება ითქვას, რომ ის ოჯახის კერაზე იჯდა და მის მფარველად ითვლებოდა. ამიტომ მაზდეანური ოჯახის უხუცესი წევრი ათარს მფარველობისათვის თხოვნით მიმართავდა და, თუ ოჯახი კერის ცეცხლის სიწმინდეს სათანადოდ ინახავდა და ათარ-საც ზვარაკს სწირავდა, მაშინ ათარი მას ასეთ კურთხევას უგზავ-

¹⁾ ნ. ჯანა შია, აფხაზები, „მოამბე“ 1897 № II, გვ. 70; 3. გიორგაძე: ივერია 1883 წ. № 180 С. ვანა ბა, Абхазская мифология, Кавказ 1855 г. № 81. ივ. ჯავახი შვილი, ქ. ერის ისტ. წ. I, გვ. 132—133.

²⁾ И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) языка, СПБ. 1914 г. №. სიტყვა „ანთარი უინი“ გვ. 194—195.



ნიდა: „გაგიმრავლდეს შენ საქონლის ჯოჯები და შვილები... იყავ მთელს სიცოცხლეში მუდმივ სულიერ ლხენაში... და სხვა.¹

აქედან უკვე ნათლად ირკვევა მეგრულ-აფხაზურ ანთარ-ადთარის და ირანული ათარის ერთდაიგივეობა, როგორც სახელწოდებით, ისე მათთან დაკავშირებული რწმენითა და რიტუალობით. ათარის კულტის არსებობა კი თავისთავად ჰგულისხმობს მითრას კულტის ჩვენში არსებობას: მითრას ციურ ეტლს ცეცხლოვანი ათარი ხომ მუდამ უკან მისდევდა.

რომ ეს ასე იყო, ამას მოწმობს დასავლეთ საქართველოში დღემდე დაცული ერთი ფრიად საყურადღებო სალოცავი, რომელსაც მეგრულები „მირსობა“-ს, ან „მისრობა“-ს უწოდებენ, სვანები, „მედ-სარიბ“-ს და გურულები კი „მოისარობა“-ს.

მირსობას წევრელები დიდმარხვის დაწყებამდე იხდიან, ამ დღისათვის საგანგებოდ ასუქებენ ღორს, რომელსაც „ოძირს“ ეწოდება. მირსობა დღეს, ხუთშაბათს (მეგრ. ცაშხა), ოჯახის უფროსი ამ ღორს კერის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებს შემდეგი ლოცვით: დღარი მირსობაში მოზოჯუა! დღეს მირსობის მობრანებავ! მა დო ჩქიმი ჩილი დო სქუას მე და ჩქმ ცოლს და შვილს ბედი მეჩი, ბედნიერო დაარინე, ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე, ირი ალიანი დო ჩალიანი კუვერაწი, ირი უბადო შარას, კუვერაწი, სი დოთხილე, სქანი კუვერაწი, სი დოთხილე, სქანი სახელი ხვამელი.

ლოცვის დასასრულს ღორს დაჰკლავენ. შემდეგ ოჯახის დიასახლისი ოჯახის თვითეული წევრისათვის ორ-ორ მრგვალ კვერს და კვერცხს ხარშავს. სადილის წინ ოჯახის წევრები უფროს-უმცროსობით კერასთან მდგარ ტაბაკთან მივლენ და სათითაოდ აიღებენ თავიანთ კვერებსა და კვერცხებს, თვალებზე მიიფარებენ, თან ატრიალებენ და შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამენ:

წმ. მირსა! ამუდღა ვხამულენჯი ჩქიმი თოლიში სასიმთელოთ კვერცხით დო ხვიანდით, უბადო თოლიში ჭუა, უბადო თოლიში ფაცუცუა შორიშა ქევომირაწი გოლას ჭანჯი მეფურინუნდას

დღეს მირსობის მობრანებავ! ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე, კუველი ალიანი ტე ჩალიანი (სიავე) გაუქარვე, ყოველ ავი გზისაგან, წყლისაგან შენ დაიცავი, შენ სახელ დალოცვილო!²

წმ. მირსა! დღეს ვლოცულობ ჩქმი თვალის სიმრთელისათვის კვერცხით და კვერით, ავი თვალის ტკივილი, ავი თვალის დაწირპლვა შორს გამიქარვე. მთაზე ბუზი მიფრინავდეს

¹⁾ J. Darmesteter, op. cit., II Vol. Khorda Avesta--atashnyaysh, გვ. 705—708; 3. Рагозина, op. cit.. გვ. 93.

²⁾ И. Кобалия, op. cit., გვ. 98.

ჩქიმ თოლს ქააძირი. გოლას
ჭიდვიტია მეხოხუნდას, ღორონთი,
ჩქიმ თოლს ქააძირი.
ჩქიმ თოლიში ნაქიმინათი
ჩქიმი გური გაახარი.

ჩემს თვალს დაანახუა ჭიდვიტია
ჭიანჭველა მიცოცავდეს, ღმერთო
ჩემს თვალს დაანახვე,
ჩემი თვალის ნაქნარით ჩემი
გული გაახარე !.

ამ ლოცვის დასასრულს კვერს და კვერცხს იქვე შესჭამენ.

ამასთანავე ალსანიშნავია, რომ სამეგრელოში, თუ ვინმეს რაი-
მე უბედურება ეწია ან ცეცხლისაგან ზიანი მოუვიდა, ამას მირსას
განრისხებით ხსნან და მიზეზის გასაგებად მეოთხავთან გარბიან.

მირსობას სვანებიც იხდიან, რომლებიც თავიანთ „მესა-
რიბ“-ს დიდის ზემით ეგებებიან. მესარიობა სვანეთში თათქმის
ორი კვირა გრძელდება და ყველიერის ორშაბათს თავდება. მეს-
სარიობის პარასკევს ოჯახის უფროსი ამ დღისათვის საგანგებოდ
გასუქებულ ლორს ჰქლავს, რომლის ხორცის ჭამა გალოცვამდე აკრძა-
ლულია. შემდეგ ოჯახის თვითეული წევრისთვის თვალის ქაჭლის
ზომის და ფორმის თვალის კვერებს აცხობენ. მეორე დღეს შაბათს
ოჯახის უფროსი სამესარიობო ლორს და კვერებს თაბაზე დაალაგებს
და შემდეგ ლოცვას წარმოსთვამს:

ხატ მესარეაშ, სი ლოგვეშდ
ი ლოგმეერ, თერალე მაზიგ
ოგქაბუნ, მცრუმი ნაშკდობოშ
ოგხად, კუმაშ ოგფიშირ²

ხატო მეისარისაო, შენ შეგვეწიე
და მოგვეხმარე, თვალების ჭირი
მოგვაშორე, კაცების მშვიდობით
გაგვახარე, საქონელი გაგვიმ-
რავლე

და სხვა.

ამ სალოცავს გურაშიაც იხდიან და მას „მოისარიობა“-ს უწო-
დებენ. მოისარიობას ოჯახის უფროსი პატარა ცომს მოზელავს, შემ-
დეგ მას ორ პატარა გუნდას მოსწყვეტს. და ოჯახის წევრებს სათი-
თაოდ გამოუხახებს. ოჯახის უფროსი ამ ცომის გუნდას თვითეულ
მათგანს ორივე თვალის გარშემო შემოუტრიიალებს და თან მოისარს
შესთხოვს მათი თვალის სალობას და შემდეგ შენალოც გუნდას სუფთა
წყალში ჩააგდებს. დასასრულ, ცომის გუნდიან წყალს ოჯახის დია-
სახლისი აიღებს და საღმე სუფთა წყალში ან მდინარეში ჩაღრის³.

¹⁾ ამოდებულია ჩემ მიერ 1923 წ. შეკრებილი და ჯერ დაუბეჭდავი სა-
მეგრელოს ეთნოგრაფიული მასალებიდან.

²⁾ Ареен Ониани, Сван. тексты на Лашхском наречии.
Мат. по Яфет. Языкоzn, IX, Петроград -1917 г. 83. 18.

³⁾ Т. Мамаладзе, Народн. обыч. и повер. Гурийцев: СМОМПК
вып. XVII, отд. П. 83. 41.



თუ ჩვენ ახლა — მეგრულ-სვანურ-გურულ მირსობას და მირებას რწმენას და მის რიტუალს შევადარებთ, მათ შორის ბევრ საგულისხმო მსგავსებას აღმოვაჩინთ. გარდა სახელწოდების მხრივ მსგავსებისა (ავესტას Mithra¹, მეგრ. „მირსა“, სვან. „მედსარიბ“, გურ. „მოსარიობა“) ირანულ მითრას და ქართულ შესატყვის რწმენას რამდენი შინაგანი მომენტიც აახლოვებს ერთმნერთს.

როგორც უკვე ოღნიშვნეთ, დასავლეთ საქართველოს მირსობა საზოგადოდ თვალის სალოცავია, რომელიც მუდამ სინათლის ემბლემა იყო. მირსობას მსხვერპლად ლორს სწირავენ. ხმარობენ მოხარ-შულ მრგვალ კვერებს, კვერცხებს და სუფთა წყალს. მირსობას თებერვალში იხდიან, სამეგრელოში ხუთშაბათ დღეს.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მირსასავით ღვთაება მითრაც აჰერა-მაზდას თვალად იწოდებოდა და მითრას ემბლემად თვალის გამოხატულება იყო მიღებული. ძველ სომხეთში მზე და მთვრე მითრას თვალად იწოდებოდა.

კვერცხი, როგორც სიცოცხლის სიმბოლო, მითრას მომდევართა შორის ამ ღვთაების სიმბოლოდ იყო აღიარებული. ამის შესახებ „ვედაში“ ნათქვამია, რომ მითრა მზე თვალი ღვთაებისა, კვერცხი-საგან შობილი დიდად ეხმარება „სევითრებს“ (კეთილ სულებს) ბოროტების დათრგუნვაში.

მაგრამ მირსობის რიტუალში ფრიად საყურადღებო მოვლენას ლორის მსხვერპლად შეწირვა წარმოადგენს. გარეული ტახი იეშთ-სადეში პატივისცემითაა მოხსენებული, როგორც მითრას ცხოველი და იმის შესახებ იქ ნათქვამია: „ამ სასარგებლო ცხოველის მოდგმა მეორედ მკვდრეოთით აღდგომამდე უნდა გაგრძელდეს“-ო². ამის გარდა, ვესტას ერთს მუხლში ნათქვამია, რომ, როდესაც მითრა ბნელი ძალების დასათრგუნავად ეტლით გამოდის, მას წინ მიუძღვით „ვერე-თრაგნა“ (გამარჯვება) და „ბრძნეთა ფიცი“, რომლებიც გარეული ლორის სახით არიან წარმოადგენილი და თავიანთი მახვილი ეშვებით ბოროტ სულებს ჰმუსრავენ. ლორის დაკავშირებას მითრას კულტთან აგრეთვე მოწმობენ ტოანსილვანიაში, მარსელში, ტიროლსა და მანპავმი აღმოჩენილი მითრას ბარელიეფები, სადაც სხვა ცხოველებთან ერთად მითრას გვერდით ლორიცაა გამოხატული³.

¹⁾ გამოითქმოდა დახლოვებით „მისრა“-დ: იხ. B. M i l l e r სიტყვა Miwa: მაციკ. ც. ს. ეფრო, ფ. 28.

— მზადდება დასაბეჭდად „საქ. გ. ინსტ. მოამბის“ პირველი ტომი, რომელშიაც მოთავსებული იქნება ინსტიტუტის დაარსების ისტორია, მისი მუშაობის ანგარიში და ინსტიტუტის გეოლოგების და თანამშრომლების შრომები.

— გასული წლის განმავლობაში ინსტ. მიიღო გერმანიდან 1200 მან. წიგნები. კიდევ გამოწერილი არის 9000 მანეთისა.

საქართველოს გეო-ფიზიკური ობსერვატორია. 1926 წლის თებერვალში ამოქმედდა ობსერვატორიის ეზოში მიმღები რადიო-სადგური მეტეოროლოგიურ რადიო-ცნობათა მისაღებად მთელი ევროპის, აზიას უდიდესი ნაწილისა და ჩრდილო აფრიკის ტერიტორიიდან. ამის გამო შესაძლებელი გახდა ყოველდღიური სინოპტიკური ბაზულეტენის შედგენა სინოპტიკური რუკით, ამიდის წინასწარმეტყველებით 24 საათით წინ და წინა დღის ამიდის მიმოხილვით.

— 1926 წლის მაისის თვიდან კვლავ გაიხსნა აეროლოგიური განყოფილება, რომელმაც შესწყვიტა მუშაობა ჯერ კიდივ 1917 წელს. სწარმოებს ე. წ. საბაზისო დაკვირვება არი პუნქტიდან; განყოფილება იკვლევს ჰაერის ზევითა ფენების მეტეოროლოგიურ ელემენტებს, რაც დიდ საჭიროებას წარმოაზენს, როგორც წმინდა მეცნიერული, ისე პრაქტიკული მიზნებისათვის. განყოფილების შტატი შესდგება ხუთი კაცისაგან. აეროლოგიურ დაკვირვებათა ცნობები იბეჭდება ამა წლის მაისის თვიდან ობსერვატორიის ყოველთვიურ მეტეოროლოგიურ ბაზულეტენში.

— 1926 წლის ივნისის ბოლო რიცხვებიდან კვლავ აღდგენილია აქტინომეტრიულ დაკვირვებათა სისტემატიური წარმოება, ამავე დროიდან შედგები იბეჭდება ზემოხსენებულ ყოველთვიურ ბაზულეტენში.

— მოწყობილია 1926 წლიდან მე-II ხარისხის სათადარიგო სადგური, რათა ფართე მასებს საშუალება მიეცეს ცოტად თუ ბევრად გაეცნონ ამა წლის მაისის თვიდან ობსერვატორიის მუშაობათა ხასიათს.

— მიმდინარე წლის განმავლობაში მივლინებულ იქნენ რუსეთის მთავარ ამა მასებს საშუალება მიეცეს ცოტად თუ ბევრად გაეცნონ ადგილობრივად გასაცნობად ობსერვატორიის საქართველოს მუზეუმის მოამბე, III

სამეცნიერო საბჭოს წევრები: ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი და მუზეუმულური გამარტინული სამ-სამი თვეთ.

— შედარებულია ობსერვატორიის ძირითადი მაგნიტური იარა-ღები რუსეთის მთავარი ობსერვატორიის ასეთსავე იარაღებთან; ამისა-თვის რუსეთის ობსერვატორიიდან მოვლინებულ იქნა წარმომადგენელი ნ. ტ. რუბ და ტ. ჩ. ინს კი მუშაობა გაგრძელდა ივნისის 26-დან ივლისის 23-მდე. საქართველოს ობსერვატორიის მხრით შედარება აწარმოა მაგნიტური განყოფილების გამგემ, ნოდიამ. შედარებამ დაამ-ტკიცა, რომ მაგნიტური ობსერვატორია სრულ წესრიგშია.

— მყინვარ-წვერზე მივლინებულ იქნა თანამშრომელი ალექ-სანდრა ჯაფარიძის ასული, რომ შეემოწმებინა გასულ წელს იქ პროფესორ დიდებული ძირი მიერ დადგმული ობსერვატორიის მეტეოროლოგიური ბუღარუგანის მდგომარეობა და ეწარმოებინა აგრეთვე ზოგიერთი მეტეოროლოგიური დაკვირვებები, ჯაფარიძე ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ ავიდა მწვერვალზე, რის მეოხებით შესაძლებელი გახდა კუზნეცოვის ოერმო-პიგროგრა-ფის ჩანაწერის მიღება მთელი კვირის განმავლობაში. ბუღარუგანაში მის მიერ დადგმულ იქნა წინა წელთან შედარებით უფრო გრძელ-სკალიანი მინიმალი თერმომეტრი. ბუღარუგანა აღმოჩნდა სრულ წე-რიგში.

— გასული წლის ნოემბრის 21-დან, ერთი თვის ვადით, ლე-ნინაკანში მივლინებულ იქნენ სამეცნიერო საბჭოს წევრნი: ევგ-ზ დ უ ს ი და ვ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ოქტომბერში მომხდარი მიწის ძვრით დაზარალებულ რაიონის სეისმიურად გამოსაკვლევად. ეს მუშაობა შესრულებულია წარმატებით და შედეგები გამოქვეყნე-ბული იქნება მასალების დამუშავებისთანავე.

ციხის-ძირის ბიოლოგიური ხადგური. ციხის-ძირის ბიოლო-გიურმა სადგურმა, რომელიც არსებობს 1926 წ. ივნისიდან ტფ. სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიურ კაბინეტთან,—მიმდინარე წლის ზაფხულში შემდევი მუშაობა ჩაატარა: შეგროვილ იქმნა ბიო-ცენობის სანიმუშო მასალა შავი ზღვის ნაპირებზე ბარცხანიდან ვიდრე პალეასტომამდე. ნასალა აღებულია ყოველ ერთი ვერსის მანძილზე. ვინაიდან შავი ზღვის ნაპირების ბიოცენოზების შედარება მტკნარი წყლების და ტბების ბიოცენოზებთან საყურადღებო იყო, სადგურმა დოც. ნ. კიფიანის ხელმძღვანელობით შეაგროვა ყველა იმ ტბების მასალა, რომელიც მდებარეობენ ჩოლოქსა და პალეას-ტომს (რიონს) შორის. შეგროვილია აგრეთვე აჭარის წყლებისა და ტბების ლიტორალური მასალა.

— აქვე მუშაობდენ: ტფ. სახელმ. უნივერ. პროფ. ს. ჭავჭავაძე და გიბი და მ. ფარცვანიძე (აგროვებდენ მასალებს შავი ღლების და ტერიების შესასწავლად) და პროფესორები: არნოლდი და პაული.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომებზე მოსმენილი იყო შემდეგი მოხსენებები: „ფალოსის კულტი საქართველოში“ (ს. მა კა ლ ა თ ი ა; დაიბეჭდა „მიმომხილველში“, ტ. I, 122—136); „აფხაზური ენის ისტორიიდან“ (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა); „ზოგიერთი პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანი [ქართული] ძეგლის დათარიღებისათვის“ (პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი); „გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“ (გ. ჩ ი ტ ა ი ა; დაიბეჭდა „მიმომხილველ“-ში, ტ. I, 137—156); „დას. საქართველოს საეკლესიო წესწყობილება XV—XVIII სს-ში“ (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი; დაიბეჭდა „მიმომხილველში“ ტ. I); „ამირან-დარეჯანიანის შემადგენლობა“ (ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე); „მეგრული ქორწილი (თ. ს ა ხ ი კ ი ა); ბატონიშვილის დროინდელი ერთი ტერმინის შესახებ“ (ბ. ხ უ ბ უ ა); „ძეგლი და გაერთიანების ხანის ქართული სახელმწიფო და სოციალური წყობილების მთავარი საკითხები“ (პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი); „არქეოლოგიურ-ეთნოლოგიური მოგზაურობა ზემო სვანეთში“ (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა); ახლად აღმოჩენილი ხანმეტი მრავალთავი“ (პროფ. აკ. შ ა ნ ი ძ ე; დაიბეჭდა ტფ. უნ. მოამბეჭი ტ. VII); „ვინ არის კალმასობის ანუ „ხუმარსწავლად“ წოდებულის ქართული ენციკლოპედიის ავტორი“ (დავ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი; დაიბეჭდა „საქართველოს არქივ“-ში, ტ. II). „ბელგიელი ორიენტალისტი კონსტანტინე—კახის შესახებ“ (პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე; დაიბეჭდა ტფ. უნ. მოამბეჭი ტ. VII); „შენიშვნები შავნამეს ვერსიების შესახებ“ (ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე); „ლუკიანე სამოხატელი, როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია“ (ალ. წ ე რ ე თ ე ლ ი); „კავკასიის ალვანთა დაკარგული ანბანი“ (პ. ი ნ გ ო რ ი ყ ვ ა); „ქართულ, ალვანურ და სომხურ ანბანთა წარმოშობა“ (პ. ი ნ გ ო რ ი ყ ვ ა); „იერარქული წესწყობილება ძველ საქართველოში“ (პროფ. კ ე კ ე ლ ი ძ ე); „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“ (გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე; დაიბეჭდა „საქართველოს არქივში“ წ. III, გვ. 206—208); და „ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის“ (შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი).

— მიმდინარე წლის 30ქტომბერს საზოგადოებამ საგანგებო სხდომით აღნიშნა თავისი არსებობის ოცის წლის თავი (1907 წ. 3 ოქტ. ახალი სტილით—1927 წ.). ს. გ ო რ გ ა ძ ი ს მოკლე სანგარიშო მოხსენებისა და მოძმე სამეცნიერო საზოგადოებათა მისამების შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარემ პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა აღნიშნა განვლილ

პერიოდში საზოგადოების მოქმედების ლირსება-ნაკლულურანებრივი მომავალი მოქმედების პერსპექტივები: განვლილ პერიოდში საზოგადოების მიერ ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული ეთნოგრაფიას. თუმცა საზოგადოების ლონისძიებებით ეთნოგრაფიული მასალა ბლომად იქმნა დაგროვილი, მაგრამ მათ შესწავლას ადგილი არ ჰქონია. ითქვა, რომ თუმცა ეთნოლოგია თანამედროვე მეცნიერების მიერ აღიარებულია საბუნების მეტყველო დისკიპლინად, მაგრამ ეს სწორია მხოლოდ უკულტურო ხალხების ეთნოლოგიის მიმართ; საქართველოში კი ეთნოლოგია ისტორიული მეცნიერების მოსაზღვრე დარგია. ამ გარემოებას შესაფერი ანგარიში უნდა გაეწიოს. შემდეგ საჭიროა ადგილებზე მომუშავე კულტურული ძალების (მასწავლებლები და სხვა) საქმეში ჩაბმა. აუცილებელია აგრეთვე სათანადო ყურადღება მიეკცეს არქეოლოგიასაც. ყოველივე ამასთან ერთად თვით კვლევის არეც უნდა გაფართოვდეს. ჯერ-ჯერობით ეს უნდა მოხდეს მთლიანად კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის მიმართულებით.

— საზოგადოების მატერიალური დახმარებით მოეწყო რამდენიმე წვრილი ექსპედიცია და ექსურსია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (ქართლი, ოსეთი, კახეთი, ჯავახეთი და სხვ.).

— მიდინარე წელს განზრახულია გამოიცეს საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების ორგანო „მიმოხილველის“ მორიგი წიგნი.

— მიმდინარე წელს გამოვა ამავე საზოგადოების გამოცემა: უბისის მხატვრობის აღბომი.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომებზე 1926 წ. მოსმენილ იქმნა შემდეგი მოხსენებები: „ექსპერიმენტული ფონეტიკის მამათავრის Rouselot-ს ხსოვნისათვის“ (პროფ. ახ. ვლედიანი), „სუბექტ-ობექტის მიმართებანი აფხაზურში და მისი პარალელები კავკასიურ ენებში“ (პროფ. აკ. შანიძე); „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ფონეტიკა“ (არ. ჩიქობავა); „უარყოფითობის სვანურ—ურ სუფიქსის ნაშთები ქართულსა და მეგრულში“ (ვ. თოფურია); „ხშულთა ზოგიერთი ბუნებრივი კომპლექსები ქართულში“ (პროფ. გ. ახ. ვლედიანი); „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: მორფოლოგია-სინტაქსი“ (არნ. ჩიქობავა); „დაიბეჭდა მთლიანად სათანადო ტექსტის დართვით ტფ. უნივ. მოამბე“ (ში, ტ. VII, გვ. 166—247); „შეიძლება თუ არა ქართულში ერთი და იმავე პირის როგორც სუბექტი, ისე ობექტი ერთი და იმავე ფორმანტით იყოს აღიშნული?“ (არნ. ჩიქობავა); „ზოგიერთი ქართული სიტყვის ეტიმოლოგია“ (ვ. თოფურია, მოანთა დასგავსების საკითხისათვის მეგრულ-

ში“ (მ. ხუბუა); „მესამე ჯვეფის დრო-კილოთა გენეზისისათვის ქართულში“ (არ. ჩიქობავა); „პირველი და მეორე ჯვეფის დრო-კილოთა გენეტური ურთიერთობისათვის ქართულში“ (არნ. ჩიქობავა); „ზმნათა კლასიფიკაციისათვის ქართულში“ (პროფ. აკ. შანიძე); „ე და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში“ (ვ. თოფურია; დაიბეჭდა „საქართველოს არქივში“, წ. II, გვ. 174—186); „პირველი ოსური წერილობითი ძეგლი“ (პროფ. გ. ახვლედიანი; დაიბეჭდა „ტფ. უნივ. მოამბეში“, ტ. VII, გვ. 90—97: „1802 წლის ოსური A ხელნაწერი“ — სათაურით); „პირველი ჯვეფის დროთა დაბოლოების მიმოხილვა ქართულში“ (არ. ჩიქობავა); „აფრიკაციის საკითხის გარშემო“ (პროფ. გ. ახვლედიანი); „ბეგრილი მოვლენათა თანამიმდევრობა სვანურსა და ქართულში“ (ვ. თოფურია); „ზემო-იმერეთი დიალექტოლოგიურად“ (მაკ. ხუბუა); „მესხური დიალექტი ოსმალური ენისა“ (ს. ჯიქია); „დამატებითი ცნობები ზემო-იმერულის შესახებ“ (გ. წერეთელი); „ქართველები და ქართული ენა: ოსმობითი ზმნა და ნაცვალსახელები“ (მ. ჯანაშვილი); „რელუქციისათვის სვანურში“ (ვ. თოფურია); „წინასწარი მოხსენება ლაზების სოფ. სარფში საენათმეცნიერო მივლინების შესახებ“ (არნ. ჩიქობავა); „ქართველები და ქართული ენა: ქ—მეგრული ზმნის პირველსა და მეორე პირში და სახელის მოთხრობით გრუნვაში“ (მ. ჯანაშვილი); „ზემო-აჭარის ენობრივი მიმოხილვა“ (მაკ. ხუბუა); „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“ (ვ. თოფურია; დაიბეჭდა „ტფ. უნივ. მოამბე“—ში, ტ. VII, 285—315).

— საზოგადოების საბჭოს დავალებით საბჭოს წევრი ვარ. თოფური მივლინებულ იქმნა ა. | წ. ზაფხულში 2½ თვით სვანეთში წინაშელებში წარმოებული მუშაობის გასაგრძელებლად. კვლევის ძირითად ამოცანას შეადგენდა სვანური ზმნის ულვლიერების სისტემის დადგენა. შედეგი ცალკე გამოკვლევის სახით იქმნება გამოქვეყნებული.

— ამავე საბჭოს დავალებით ა. | წ. ოქტომბერში ლაზურ სოფელ სარფში და აჭარულ სოფელებში მახო, ოხირნალი და სიმონეთი, საღაც მიღებული ცნობების მიხედვით ვიწე-არქაბიდან გადმოსახლებული ლაზები უნდა ცხოვრობდენ, 25 დღით მივლინებულია ამავე საზოგადოების მდივანი არნ. ჩიქობავა. მივლინების მიზანია: ლაზური ტექსტების ჩაწერა. იგივე მკვლევარი შარშან მუშაობდა სოფ. სარფში.

— საზოგადოებამ მიიღო ფოტოგრაფიული სურათი ოსური სახარებისა, რომელიც ინახება ლენინგრადის სააზიო მუზეუმში და წარმოადგენს იალლუზიდის ნათარგმნ დედანს. როგორც ვიცით იალ-



ლუზიძის თარგმანი ოსური მწერლობის უძველეს ძეგლს წარმოადგენს. ტექტზე მუშაობს პროფ. გ. ახ. ვლედიანი.

— საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა პროფ. აკ. შანიძე მიიღო გრაციიდან (ავსტრია) ფოტოგრაფიული სურათი (რამოდენიმე სანიმუშო გვერდი) ხანმეტი ხელნაწერისა, რომელიც ეკუთვნოდა აჭ განსვენებულ ჰუგო შუხართს. მიღებულია ზომები მთელი ხელნაწერის (შეიცავს 49 გვერდს) გადმოსალებად და გამოსაცემად. ამ ძეგლის მოპოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულმარტყველებისათვის.

— 1927 წ. 9 ოქტომბერს საზოგადოების საჯარო სხდომაზე მოხსენება წაიკითხა აღმოსავლეთის ხალხთა და ენათა ინსტიტუტის (მოსკოვში) წევრმა პროფ. ნ. ია კო ვლევამ ა შემდეგ თემაზე: „კავკასიური ენების ფონეტიკის დადგენის პრინციპები“. მანვე გააცნო საზოგადოებას კავკასიის კვლევის საქმის მდგომარეობა მოსკოვში. ამ მოხსენებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა საკირო კონტაქტის დასამყარებლად იმ მკვლევარებთან, რომელნიც განსაკუთრებით კავკასიურ ენებზე მუშაობენ. განზრახულია მოსკოვის და ტფილისის ლინგვისტების შეთანხმებით შემუშავდეს საერთო სატრინსკრიპციო ანბანი კავკასიური ტექსტების ჩასაწერად (მოსკოველი ლინგვისტებიდან პრუფ. ია კო ვლევამი მუშაობდა ყაბარდოულსა და აბაზურზე, ხოლო უკანასკნელად ქისტურზე), და პროფ. უირ კო ვი — გასაკუთრებით დალესტნურ ენებზე).

კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტში. ინსტიტუტმა მოაწყო შემდეგი ექსკურსიები: ლორის რაიონში (დ. გორდევი და ს. ტერ-ავეტი ისიანი); ქართლში: სამთავისის და სხვა არქეოლოგიური ძეგლების გამოსაკვლევად (დ. გორდევი გორდიან-თორის რაიონში (ლ. მელიქ სეთბეგი) და ახტალასა და სანაინში (ხუროთმოძღვარი მ. კალაშნიკოვი).

— ამავე ინსტიტუტის კოლეგიის სხდომებზე წაკითხულია სხვათა შორის შემდეგი მოხსენებები: „ისლამური გავლენა მონლოლთა შემდეგ-დღონინდელ ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში“ (ლ. გორდევი გორდიან-თორი); „ყარაბალის უძველესი ძეგლები აზერბეიჯანის ყორლინთა სკვითური წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით“ (ს. ტერ-ავეტი ისიანი); „ძველი კოხბოთორის ტოპონიმიკისათვის“ (ს. ტერ-ავეტი ისიანი); „ძველი საქართველოს ტოპონიმიკიდან: ივერლიახვი და გვერდის ძირი“ (ს. კაკაბაძე); „დასავლეთ საქართველოს ტიპონიმიკისათვის“ (ს. კაკაბაძე); „ტფილისი-გალისა-კალა“ (ს. კაკაბაძე); „პლახაჭანქი“ (ლ. მელიქ სეთბეგი);

„მატრიარხატის ნაშთები კავკასიის ხალხებში“ (ლ. მელი იქაშვილი მეტელია); „განხილული იაფეტიდოლოგიურად და საშუალო საუკუნეების საქართველოს მატერიალური ძეგლების მიხედვით“ (ლ. მელი ქსეთ-ბეგი); „ძველი სომხური და ძველი ქართული ლექსიკონის ახალი ხელნაწერის შესახებ“ (ლ. მელი ქსეთ-ბეგი); „ჩრდილოეთ ქვეყნების სომხეთი ვართაპეტები და სომხურ-ქართული ეკლესიების განხეთქილების საკითხი მე XI—XII სს. სომხურ ლიტერატურაში“ (ლ. მელი ქსეთ-ბეგი); „უახლოესი ამოცანები სომხეთის ეთნოგრაფიისა“ (ს. ლისიციანი); „სომხეთი ჰეროლოტეს მიხედვით“ (ს. ლისიციანი); „მელრის რაიონის გლეხური სახლი“ (ს. ლისიციანი); „საინფორმაციო მოხსენება სომხეთის სამეცნიერო დაწესებულებათა შესახებ“ (ს. ლისიციანი); „მელიქ-ტაუზის გამოსახულების შესახებ უკრნალ „Anthropos“-ში 1911 წ. და საქართველოს მუზეუმის ფარშევანგის ფიგურებისათვის“ (გ. ჩურსინი); „რკინის კულტი კავკასიის ხალხთა შორის“ (გ. ჩურსინი); „მატერიალური კულტურის ისტორიის რუსეთის აკადემიის მიერ ჩრდილო-კავკასიაში მივლინებული სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ“ (ა. მილერი) და „კონბა მანგლისის მღვიმეების შესახებ“ (ვ. გურეოცრიაშვინი).

— ინსტიტუტის მიერ არქ. ს. ტერ-ავეტისიანი მივლინებულია არმავირში (არეზზე) არქეოლოგიური დაზვერვის მოსახლენად და ნაქალაქარის ასაგეგმავად.

ინსტიტუტიან დაარსდა სამეცნიერო კომისია, რომელსაც დავალებული იქნა ძველი ტფილისის, მცხეთის და მათი მიღამოების შესწავლა.

— ინსტიტუტის მოეწყო ხელოვნების კაბინეტი.

— ინსტიტუტის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად ინსტიტუტის კოლეგია ამზადებს ინსტიტუტის მოამბის საიუბილეო ტომს.

რესპუბლიკის ცენტრალური არქივი. 1926 წლის აპრილში გაიხსნა სამეცადინო დარბაზი, სადაც განსაზღვრული წესის მიხედვით სწარმოებს საარქივო მასალების გამოკვლევა და სხვაგვარი სამეცნიერო მუშაობა.

— იუსტიციის სახალხო კომისარიატიდან გადმოცემულ სასამართლო მასალებიდან და სხვა მონათესავე ფონდებიდან ამავე წლის ივნისში მოეწყო ცენტრალური იურიდიული არქივი, რომელიც იმყოფება რესპუბლიკის ცენტრარქივის გამგებლობაში.

— საქართველოს ყველა მაზრაში, სამაზრო აღმასრულებელ



კომიტეტებთან, თანახმად სრულიად საქართველოს ცაის მიერ დამტკიცებული დებულებისა, დაარსდა სამაზრო საარქივო ბიუროები, რომლებიც ემორჩილებიან რესპუბლიკის ცენტრარქივს.

— ცენტრარქივთან მოწყობილია საარქივო მუზეუმი, რომელიც შეიცავს უმთავრესად ყოფილი ქავკასიის საისტორიო მუზეუმის ექსპონატებს. მუზეუმის დათვალიერება შეუძლიათ იმათ, ვინც საარქივო მასალებზე მუშაობენ ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზში განსაზღვრული წების დაცვით.

— უკანასკნელ ხანებში ცენტრარქივის მიერ შეძენილ იქმნა:

- 1) წყალობის სიგელი ბოძებული რუსულან დედოფლის მიერ აბულახტარისძისადმი მე-13 საუკ. 2) აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი მე 16-ე საუკ. 3) წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი, 1669 წლ. 4) საქ. ისტორია და გეოგრაფია, ავტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილისა, 1745 წლ., 5) გეოგრაფიული ატლასი მისივე, 1745 წ. 6) ოთხთავი ეტრატზე ნაწერი მე 10-11 საუკ. 6) დავითინი, დასურათებული მე 16-ე საუკ. 7) საგალობელი ნიშნები მე 10 საუკ. 8) ხილვა ექლესიათა შინა წიგნთა ათანასე რომთა პაპის მიერ ეტრ. ნაწ. მე 12 ს. 9) ვეფხისტყაოსანი დაზ. 17 საუკ. 10) რუსულანიანი 17-18 ს. ს. და სხვა ხელთნაწერები დაახლოებით 120 ცალამდე. ამის გარდა შეძენილია 1) 1830 წ. სრული კრებული „Тифлисие Ведомости“ და 2) 1814 წ. „Московские Ведомости“.

სხვადასხვა.

— საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე ა. წ. 24 მაისს ცნობილი მკვლევარი კავკასიის ქედისა დუგლას ფრეჭფილდი არჩეულ იქმნა ამავე საზოგადოების საპატიო წევრად. დუგლას ფრეჭფილდი სამეცნიერო მიზნით პირველად 1868 წელს ასულა იალბუზსა და ყაზბეგზე.

— განათლების სახალხო კომისარის განკარგულებით საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნ. იოსელიანი.

— საქართველოს გეოლოგიურ საკავლევო ინსტიტუტის ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ალ. ჯანელიძე; ინსტიტუტის წევრები არიან: პროფ. ალ. თვალშრეელიძე, დოც. ნ. ყიფიანი და ინჟ.-გეოლოგი კ. გაბუნია.

— საქართველოს სასოფლო მეურნეობის საზოგადოებრივ კომიტეტის მენეჯერი გეორგი პრეზიდენტი შედიან: თავმჯდომარე — გ. კანდელარი, მოადგილე იულ. ლომოური და მდივანი-მოლარე — ი. ჯაჭია.

— საქართ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტი შედიან: პროფ. ივ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), + დ. კარიჭაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი) სვ. ჯანაშია (მდივანი) და ირ. სონღულაშვილი (მოლარე).

— ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ახლად არჩეულ საბჭოს შეადგენენ: პროფ. გ. ახვლედიანი (თავმჯდომარე), პროფ. აკ. შანიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), არნ. ჩიქობავა (მდივანი), დოც. სიმ. ყაფხჩიშვილი და ვარ. თოფურია.

— ციხის-ძირის ბიოლოგიურ სადგურს ხელმძღვანელობს ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გ. ჯავახიშვილი.

— საქართველოს სამხატვრო აკადემიის რექტორი პროფ. გ. ჩუბინაშვილი მივლინებულია საზღვარგარეთ ექვსი თვით სამეცნიერო მიზნით.

— ტფილისის აღმასკომი მდ. ვერის მარჯვენა ნაპირთან აარსებს ძმოლოგიურ ბალს. ამჟამდ სწარმოებს მუშაობა ბალთან მისავალი გზის გასაყვანად.

— სოხუმში არსდება მოსკოვის ექსპერიმენტალურ ენდოკრინოლოგიის და მაიმუნების ახალშენის ინსტიტუტის განყოფილება.

— 1929 წ. სექტემბერს ტფილისში შესდგება საკავშირო მინერალოგიური მეორე ყრილობა.

— მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტიმირეაზევის სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ 1917 წლის ზაფხულის ოვეებში ანთროპოლოგიური მიზნით აფხაზეთში მივლინებული იყო ექსპედიცია პროფ. ადლერის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის წევრმა, მოსკოვის ცენტრალური ეთნოლოგიური მუზეუმის თანამშრომელმა ე. შილინგმა სხვათაშორის შესძლო მუზეუმისათვის შეეძინა აფხაზური გრდებილი.

— საქართველოს სამხატვრო აკადემიამ გამოსცა ქართლის დარბაზების სერიის 1,2,3,4 და 5 წიგნი (ალბომი).

— აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკადემია (სოხუმში) შეუდგა ადგილობრივი ძალების დახმარებით აფხაზური ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვებას.

— აქარის ადგილობრივ ტურისტთა სამთო კლუბი ენერგიულ მუშაობას აწარმოებს. 1927 წლის განმავლობაში მხარეობის ცოდნეო-



ბის მიზნით მან მოაწყო 19 ექსკურსია ზემო-აჭარაში და გორეთიშვილის სხალთა-გორაკეთზე, ნინოთ ნაფაცხვარზე და სხვ. შეგროვილია გეოლო-გიური (გაქვავებული ხეების ნიმუშები გოდერძის ულელტეხილიდან) და დენდროლოგიური მასალები.

— ქ. გორში დაარსდა მხარეთცოდნეობის საზოგადოება, რო-მელთანაც მოეწყო ორი სექცია: საზოგადოებათმცოდნეობის და ბუ-ნებისმეტყველების.

— თელავში მხარეთმცოდნეობის საზოგადოებას აქვს სამი გან-ყოფილება: კულტურულ-ისტორიული, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული. ქალაქის აღმასკომშა საზოგა-დოებას მუზეუმისათვის ცენტრალურ ადგილზე დაუთმო სახლი.

ნეპროლოგია.

პეტრე მელიქიშვილი. მიმდინარე წლის მარტში ტფილისში ხანშოკლე ავაღმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი და პირველი რექტორი პ. მელიქიშვილი. ის დაიბადა 1850 წლის ივნისის 29. ს. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის მიერ მივლინებულ იქმნა სახლვარგარეთ, სადაც მუშაობდა პროფესორებთან: მაცერთან, აუსტრიან, ბავერიან, ბერტელოსთან და სხვებთან. 1878 წ. მან დაიცვა სამაგისტრო დისერტეცია თემაზე: „აკრილის მჟავების ნაწარმთა შესახებ“, ხოლო 1885 წ. სადოქტორო შრომა: „იზოკროტონმჟავის ნაწარმთა შესახებ“. ჯერკიდევ 1884 წელს პ. მელიქიშვილი არჩეულ იქმნა აგრონომიული ქიმიის დოცენტად, 1889 წელს კი წმინდა ქიმიის კათედრის ორდინარ პროფესორად.

პ. მელიქიშვილი ცნობილია, როგორც ორიგინალი და დიდად ნიჭიერი მკვლევარი. მან მრავალი აღმოჩენა გააქვთა ქიმიის დარგში, რაც მას საპატიო აღვილს ანიჭებს ქიმიკოსთა შორის. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი გამოკვლევები პეროქსიდების შესახებ. ამ მიმართულებით მან სხვათაშორის ახალი მეთოდიც კი აღმოაჩინა — „P-ის ოდენობითი განსაზღვრისათვის კოლოიდალ SiO_2 -თან“. სხვადასხვა ენებზე დაბეჭდილი მისი შრომები შესდგება 80-ზე მეტი სახელმწოდებისაგან.

განსვენებული ქიმიკოსთა რამოდენიმე თაობის აღმზრდელ-ხელმძღვანელი იყო. მის მოწაფეთაგან რამოდენიმე უკვე ცნობილი პროფესორია. განსვენებული დიდის ენთუზიაზმით გამოიხმაურა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების იდეას. მან უყოყმანოდ დაანება თავი ოდესის უნივერსიტეტს, სადაც ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა, რომ ასალ ასპარეზზე გადმოეტანა თავისი მრავალ-მხრივი და სასარგებლო მოღვაწეობა. იგი კაბუკური გატა-კებით შეუდგა ამ საქმეს და მეტად მძიმე პირობებში, თითქმის არაობიდან მოკლე ხანში შექმნა და ფეხზე დააყენა ქიმიის კათედრა და ლაბორატორიუმები.

1924 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტშია და ხელისუფლებამ ზეიმით გაღაიხადა მისი 50 წლის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე.



3. მელიქიშვილი იყო საქართველოს სასოფლო მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარე, რუსეთის მენცელეევის სახელობის ქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, გერმანეთის ქიმიკოსთა საზოგადოების წევრი, საკავშირო აკადემიის კორესპონდენტი წევრი.

3. მელიქიშვილი დაასაფლავეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, შენობის მთავარი კორპუსის შესავალთან, საღაც განზრახულია მას შესაფერისი ძეგლი დაედგას.

დავით კარიქაშვილი. 1927 წ. აგვისტოს 16-ს გარდაიცვალა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის გამგე, ქართველოლოგი და დამსახურებული საზოგადო მოღვაწე დ. კარიქაშვილი. განსვენებული დაიბადა 1860 წ. ქართლის სოფ. ხიდისთავში. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგსა და პარიზში.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, ის გულმოდგინედ ჩაება ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში: იყო საზოგადოების მდივნად, ვიცე-პრეზიდენტად და ორქივ-ბიბლიოთეკის გამგედ. განსვენებულმა განსაკუთრებული ამაგი დასდო არქივ-ბიბლიოთეკას. მისი თავდარიგით და ხელმძღვანელობით საზოგადოების არქივ-ბიბლიოთეკაში, რომელიც მაშინ მუზეუმის როლს ასრულებდა—დაგროვდა ფასდაუდებელი ქართული წერილობითი ძეგლები. ამჟამად ეს ძეგლები ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის იშვიათ განძს და ძვირფასს სამეცნიერო მასალას წარმოადგენენ. დ. კარიქაშვილი იმთავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენში მუზეუმის დაარსების საჭიროებას. ამის შესახებ მან ჯერ კიდევ 1898 წელს დაბეჭდა წერილი: „სერო მუზეუმი და მისთვის შენობის აგების საჭიროება“ (ივერია, 1898 წ. № 18).

განსვენებულმა აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა მიიღო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებაში; აქ იგი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ იყო დღიდან დაარსებისა სიკვდილის დღემდე. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაშიც.

ქართველოლოგი კარიქაშვილის კვლევის ასპარეზი იყო არა-მარტო საქართველოს ისტორია, არამედ ქართული ენა და ლიტერატურაც. მეთოდოლოგიის თეალსაზრისით განსვენებული თავის სამეცნიერო კვლევა-ძებაში ბატონიშვილი თეიმურაზის და ბროსეს სკოლის საუკეთესო ტრადიციებს მისდევდა. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: а) „ვინ იყო მობიდან ეფისკოპოზი, ბ) „ნიკიფორე ირბაზი“, გ) ვინ იყო კალმასობის ავტორი“ და მრავალი სხვა.

საქართველოს მუზეუმის 1926 წლის მუშაობის ანგარიში *.

ვ ე რ ს ო ნ ა ლ ი.

1926 წლის განმავლობაში საქართველოს მუზეუმის პრესონალის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. მუზეუმის სამეცნიერო საბჭო, რომელიც ბოლო ზანებში ფაქტიურად აღარ მუშაობდა, დაშლილად იქმნა გამოცხადებული (1926 წლის ოქტომბერვალშა). მის ნაცვლად დანიშნულ იქმნა ახალი სამეცნიერო საბჭო, დროებითი, რაღაც მუზეუმის დებულების შემუშავება და დამტკიცება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მუზეუმის ღირებულობის დაცვა ასევე მარტის 15-ს მის აღვილზე დაინიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ჯანელიძე. გეოლოგის უფროსი პრეპარატორი ინჟ. გ. გაბუნია და მხატვარი კ. ქავთარაძე, თანახმად მათი თხოვნისა, განთავისუფლებულ იქმნენ სამსახურისგან, პირველი პპროლის 1-დან, მეორე ნოემბრის 17-დან. აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნენ სამსახურისგან გამომცემლობის მდივანი ს. იორდანიშვილი და ტაქსიდერმიული სახელოსნოს უფროსი პრეპარატორი ვ. რეიში, პარველი ავადმყოფობისა, ხოლო მეორე ჯარში გაწვევის გამო. გეოლოგის უფროსი პრეპარატორის თანამდებობაზე მოწვეულ იქმნა უნივერსიტეტის გეოლოგიის დოქტორი ი. რუხაძე, გამომცემლობის მდივანის მოვალეობას დროებით ასრულებდა ეთნოგრაფი გ. ჩიტაია, ხოლო მხატვრის და ტაქსიდერმიის პრეპარატორის მოწვევა 1927 წლისათვის გადაიდო.

მიმდინარე 1926 წლის დამლევისათვის მუზეუმის თანამშრომელთა რიცხვი 29 უდრიდა, აქედან 5 შტატს გარეშე. სამეცნიერო

*) მოსმენილ იქმნა საქ. მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1927 წლის 22 აპრილს.



და სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის პირადი შემაღვევის დროები იყო:

მუზეუმის დირექტორი პროფ. ალ. ჯანელიძე.
დროებითი სამეცნიერო საბჭო:

თავმჯდომარე—მუზეუმის დირექტორი.

| | |
|----------|--|
| შევრები: | პროფ. გ. ჩუბინაშვილი, პროფ. ს. ქურდიანი, პროფ. ფ. ზაიცევი, დოც. ნ. იოსელიანი, დოც. ს. ყაუხეიშვილი, ძოლლ. გან. გამგე—ივ. ჩხიკვიშვილი, არქ.-ეთნ. განყ. გამგე—გ. ნიორაძე, ბიბლიოთეკის გამგე—მ. შავარდნაძე. |
|----------|--|

მდიგანი—გ. ჩიტაია.

ძოლლოგიური განყოფილება:

გამგე—ი. ჩხიკვიშვილი,
 ასისტენტი—ვ. როსტომბეგოვი,
 უფრ. პრეპარატორი—ნინო იოსელიანი,
 ტაქსიდერმისტი—კ. კრელი,
 ტექსიდერმისტის პრეპარატორი—ნე.

პოტანიკური განყოფილება:

გამგე—ნე,
 ასისტენტი—ელ. ქიქოძე—აბულაძისა,
 უფრ. პრეპარატორი—ევ. ყარა-მურზა.

გეოლოგიური განყოფილება:

გამგე—პროფ. ალ. ჯანელიძე,
 ასისტენტი—კ. თათარიშვილი,
 უფრ. პრეპარატორი—ივ. რუხაძე.

არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული განყოფილება:

გამგე—გ. ნიორაძე,
 ეთნოგრაფი—გ. ჩიტაია,
 უფროსი პრეპარატორები: ს. მაკალათია და
 ვ. ბარდაველიძე-ლომია.

შეგნოსაცავი:

გამგე—მ. შავარდნაძე,
 ბიბლიოთეკარი—თ. ამირეჯიბი.

გიგანტური მუზეუმის
გიგანტური მუზაობა.

წასული წლის მუშაობას საქართველოს მუზეუმში სრულიად თავისებური ხასიათი მისცა ზემოთ ხსენებულმა პერსონალურმა ცვლილებამ. ახალი დირექტორის მიერ მუზეუმის მიღებამ მუზეუმის ქონების შემოწმება გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ ყოფ. კავკასიის მუზეუმის ძეგლი შენობის ევაკუაციას, ომსა და რევოლუციური წლების ამბებს მეტად მძიმე გავლენა მოეხდინათ მუზეუმის კოლექციებზედაც. მდგომარეობა ისეთი იყო, რომ თითქმის ყველაფერი ახლად ასაწერი შეიქნა. სავსებით ასეთი მუშაობის შესრულება, რა თქმა უნდა, ერთდროულად შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც მუზეუმის თანამშრომელთა ენერგიის დიდი ნაწილი ამ საქმემ შეიწირა. კერძოდ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ეს მუშაობა ჯერაც დამთავრებული არ არის.

ა. ძოოლოგიური განყოფილება.

შესავალი იქმნა განყოფილების ინვენტარისა და კოლექციების სიები. მეტად მრავალრიცხვოვანი კოლექციების აღნუსხვა, რასა-კვირველია, შემოლოდ სუმარულად შეიძლებოდა, მაგრამ იმავე დროს სჭარმოებს მათი დაწვრილებითი აღნუსხვაც ნაწილ-ნაწილ.

ზოგს სპირტში დაცულ ნიმუშს 20 წელიწადია სპირტი აღარ გამოცვლიდა და უკანასკნელს საჭირო სიმაგრე აღარ ჰქონდა. თანაც ქილები ნაკლული იყო. ამიტომ სპირტი შეიქნა ქილების ნაწილის შევსება, სხვებს კიდევ სპირტი გამოიცვალა.

მოწესრიგებულ და ახლად აგებულ იქმნა Coleoptera-თა და Lepidoptera-თა კოლექციების ნაწილი.

მავნებელთაგან დაცვის მიზნით ჩატარებულ იქმნა კოლექციების დეზინტერიზაცია.

განყოფილების ტაქსიდერმიული სახელოსნო გადატანილ იქმნა ახალი შენობის მთავარი კორპუსის ქვედა სართულში ფართო და კარგად მოწყობილ ბინაში. სახელოსნოში დამზადდა: დოდოი 40, ტყავი 125, ქალა 21. მზადდება გამოსაფენად კავკასიის დომბა (ზუბრი). თითქმის მზად არის ლელობში მოკლული ვეფხვის ჩონჩხი.

საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილებას შეემატა 2 გარეული ღორი, შვლის ნუკრი, აფთარი, 2 კავკასიური როჭო, 2 თევზი, 12 სხვადასხვა ფრინველი, მორიელების და ფალანგების 30-ტარა კოლექცია და ეგზოტიკური პეპლების კოლექცია.



განყოფილებაში შემოვიდა ექსკურსიებზე შეტყობინდება

| | |
|------------------------|----------|
| Mammalia | 67 |
| Aves | 125 |
| Reptilia | 27 |
| Amphibia | 6 |
| Pisces | 30 |
| Insecta | 1020 |
| Crustacea | 32 |
| Mollusca | 158 |
| Vermes | 36 |
| Coelenterata | 2 |
| <hr/> | |
| | სულ—1511 |

ყიდვით შეძენილ იქმნა:

| | |
|-------------------|----------------|
| Insecta | 1572 |
| | <hr/> სულ—1572 |

სულ გამყოფილებას შეემატა—3.038 ნიმუში.

განყოფილებამ გადაუგზავნა ბრიტანეთის მუზეუმის ძოლოგს.
ბ. პ. უკაროვს მისი ენტომოლოგიური კოლექცია, რომელიც მუ-
ზეუმში ინახებოდა. საკავშირო აკადემიის ძოლოგიურ მუზეუმს
გადაუგზავნა მისი მოლუსკების კოლექცია. ხსენებულმა მუზეუმმა
დააბრუნა დომბის ქალა.

ს, ბოტანიკური განყოფილება.

ბ. შიშკინის ტომსის უნივერსიტეტში გადასცლის შემდეგ
ბოტანიკურ განყოფილებას გამგე არა ჰყავს. განათლების სახალხო
კომისრის ამხ. დ. კანდელაკისა და მუზეუმის დირექტორის მიერ
მიღებული არის შესაფერი ზომები ასეთი მდგომარეობის სალიკვი-
დაციოდ.

საანგარიშო წლის განმარტობაში ახლად აღწერილ იქმნა გან-
ყოფილების მთელი ქონება, ინგენტარი და კოლექციები. ჩატარდა
ინსერაცია კავკასიის ჰერბარიუმში და ნაწილობრივ ევროპისაში.
მოყვანილ იქმნა სრულ წესრიგში ნაწილი კავკასიის ჰერბარიუმისა,
რომელსაც შეემატა 173 კოლოფი. მოხდენილ იქმნა მთელი კოლექ-
ციების დეზინფექცია.

| განყოფილების ჰერბარიუმს შეემატა: | შემოვლის პირი |
|---|---|
| თანამშრომლების მიერ ექსკურსიებზე შეგროვილი: | |
| ტფილისისა და ცხრაწყაროს მიღამოებში | 1000 ფურ. |
| ატენის ხეობაში | 802 ფურც. |
| პროფ. ს. ჭურდიანის მიერ მთა-მუჭუტიდან (გურია) | |
| გაღმოგზავნილი დენდროლოგიური ნიმუში | 6 ნაკვეთი |
| გ ა ც ვ ლ ი თ: | |
| ქ. ედინბურგის ბოტანიკური ბაღისგან | 107 ფურც. ჩინეთის მცენ. |
| ტომსკის უნივერსიტეტისგან | 132 ფურც. ციმ- ბირის მცენ. |
| ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისგან . . | 34 სომხეთის და საქართვ. მცენ. |
| შემოწირვით | 1000 ფურც. |
| ყ ი დ ვ ი თ: | |
| ევ. ოქრომჭედლიშვილისაგან | 214 ფურც შვეიცა- რიის მცენ. |
| ბოტკოველისგან <i>Celtis caucasica</i> -ს ფესვები . . | 1 ცალი. |
| ს უ ლ | 2.289 ფურც. და 7 ცალი დენდრო- ლოგიური ნიმუში. |
| დაბრუნებულ იქნა ყირიმის ბოტანიკური ბაღის მიერ Scrophulariaceae-ების და Liliaceae-ების ოჯახების 12 გვარი ე. ვ უ ლ- ფისა და გ. ფილიპოვის მიერ მონოგრაფიულად დამუშავე- ბული | 450 ფურც. |
| გ ა ე გ ზ ა ვ ნ ა გ ა ც ვ ლ ი ს ს ა ხ ი თ: | |
| ვენის უნივერს. ბოტანიკურ ინსტიტუტს . . . | 65 ფურც. (სამეგ- რელო, სპარსეთი) |
| ედინბურგის ბოტანიკურ ბაღს | 107 ფურც. (სპარსე- თი, ტფილისი). |
| ლენინგრადის ბოტანიკურ ბაღს | 4 ფურც. |
| ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს . . . | 34 ფურც. |
| დ ა უ ბ რ უ ნ დ ა: | |
| ბაქურიანის ბოტანიკური ბაღის გამგეს ვ. ლ. | |
| კოზლოვსკის | 305 ფურც. |
| ლენინგრადის ბოტანიკურ ბაღს | 282 ფურც. |
| იმავე ბოტანიკურ ბაღს გაეგზავნა თანახმად ადრე დადებული შე- საქართველოს მუზეუმის მოამბე, III | 18 |



| | |
|---|-------------------|
| თანხმებისა ურმიის ექსპედიციის პირველი სადუ- | შემდეგის ანგარიში |
| ბლეტო კოლექცია | პირველი 640 ფურც. |
| გ ა ე გ ზ ა ვ ნ ა დასამუშავებლად ტომსკში | |
| ბ. შიშკინს გვარი Silene | 123 ფურც. |

с, გეოლოგიური განყოფილება.

ყოფ. კავკასიის მუზეუმის ძველი შენაბის დანგრევის შემდეგ ერთხანს გეოლოგიური განყოფილების კერძო შენობაში მოთავსება სცადეს. შემდეგ, კოლექციების ისევ უკან დაბრუნებისას, ისინი ყუთებში ჩაუწყიათ, სამწუხაროდ ხშირად ისე უყურადღებოთ, რომ მათი აღზენა ყოველთვის შესაძლებელი აღარ არის. ამ აღზენის მუშაობა კარგა ხანია სწარმოებს და საანგარიშო წელიწადშიაც გრძელდებოდა. გახსნილ და აღნუსხულ იქმნა უკანასკნელი 52 ყუთიც.

განყოფილება - შეუდგა მზადებას გამოფენის მოსაწყობად, რის-თვისაც უკვე უზრუნველყოფილია საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის ძალების დამარტბა.

განყოფილებაში შემოვიდა ექსკურსიებზე შეგროვილი:

- კ. თათარიშვილის მიერ აღბულალში . . . 37 ნიმუში
ინჟ. კ. გაბუნიას მიერ ჩათახის რაიონში . 100 ნიმუში.
შემოწირულია ივ. რუხაძის მიერ . . . 22 ნიმუში.

ამას გარდა საქ. გეოლოგიური ანსტიტუტის გეოლოგებთან პროფ. ალ. ჯანელიძესთან და ალ. თვალჭრელიძესთან შეთანხმების თანახმად მუზეუმის გეოლოგიურ განყოფილებას გადმოცემა დამუშავების შემდეგ მათ მიერ რაჭაში და ძირულის მასივში შეგროვილი მასალა.

გაეგზავნა დასამუშავებლად გეოლოგ ვ. ბოგაჩევს ბაქოში Zeuglodon-ის ძვლები 82 ცალი.

დ, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული განყოფილება.

მარტიდან დაწყებული მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილების მუშაობის მთავარი საგანი იყო კოლექციების შემწმება და აღწერა ყოფ. დირექტორისაგან მათი მიღების გამო. ჯერ-ჯერობით დასრულებული არის მხოლოდ განყოფილების ეთნოგრაფიული ნაწილის მიღება. სულ გადასინჯულ იქმნა დაახლოვებით 14.000 ნივთი და სიები შედგენილ იქმნა 6118 ნივთისათვის.

იმავე დროს სწარმოებდა ახლად შემოსული კოლექციით მარტინ ფრედერიკ და როგორც ძველი ისე ახალი კოლექციების დაცვისათვის საჭირო მუშაობა, რისთვისაც გამოყენებულ იქმნა, როგორც ნავტალინი და თამბაქო, ისე გოგირდნახშირბადი. გაწმენდილ იქმნა იარაღების კოლექცია. აიწერა და მოწესრიგდა ნუმიზმატიკური კოლექციის 1926 ცალი ფული.

არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექციების მეტად ცუდ მდგომარეობაში არის სივიწროვისა და უჭურჭლობის გამო. ხის ნივთები და კერამიკის ნიჭილი პირდაპირ იატაკზე აწყვია. ქვის ძეგლების ნაწილი მოთავსებულია ხის ფარდულში მუზეუმის ეზოში. მართალია, წასული წლის განმავლობაში განყოფილებას გადაეცა ერთი ოთახი ძველ შენობაში, რომელიც გეოლოგიურ განყოფილებას ეჭირა, და დაეთმო სარესტავრაციო ლაბორატორიისათვის ვრცელი ბინა ახალ შენობაში შესაფერი ინვენტარით; გარდა ამისა გეოლოგიური განყოფილებიდანვე მას გადაეცა 2 კარადა, შეკეთებულ და დაღმულ იქნა 3 კარადა, შეძენილ იქნა 4 დიდი სკივრი ხალიჩებისათვის, მაგრამ ყოველივე ეს გაჭირვებას ვერ შეველის.

საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილებაში შემოვიდა:

ეთნოგრაფიაში:

| | | |
|--|---------------|---------|
| ექსკურსიების დროს შეძენილი | 37 | საგანი, |
| საქართვ. ეროვნ. გალერიის მიერ გადმოცემ. | 40 | " |
| ახალციხის აღმასკომის | 133 | " |
| მოქ. ზ. კობიაშვილისგან შეძენილი (ბუდისტური ნივთების და იარაღების შინშვნელოვანი კოლექცია) | 293 | " |
| ტფილისის აღმასკომისგან შეძენილი კათაროვი-სეული ნივთები | 149 | საგანი. |
| წვრილ-წვრილად ნაყიდი | 9 | " |
| შემოწირული | 3 | " |
| | სულ | 664 |

უკანასკნელ სამ ნივთში ერთი, სპარსული ხელობის ხის კოვზი, მუზეუმს შემოსწირა მოქ. ა. მიქელ ადემ, ხოლო ორი, რაჭული გულის პირის სამკაული და ფარი, მოქ. მ. ლობჟანიძემ.

არქეოლოგიაში:

| | | |
|-------------------------------------|-----|--------|
| ქარსნის ხევის გათხრებიდან | 168 | საგანი |
| ნატახტარის ნივთები | 19 | " |

საგურამოს ნეკროპოლიდან (პჩელინას გათხრები) 1950 საგანი
სხვადასხვა პირისგან 30 "

სულ 367 საგანი

აქიდან შემოწირვით შემოვიდა მოქ. გ. ბახუტაშვილი ის-
ვან მონღლოური ვერცხლის ფული—1; ი. ენუქიძისგან თიხის
სურა სოფ. შყადისიდან—1; კ. ჭაჭიაშვილისგან ბრინჯაოს
სამკაული და თიხის ჭურჭელი—26; მ. ჩინჩალაძისგან კოლხური
ვერცხლის ფული—1; გ. ვეზირი შვილისგან ბრინჯაოს ნაჯახი
სოფ. ცაიშიდან—1.

ე, ბიბლიოთეკა.

ყოფილი ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდიდან საქარ-
თველოს მუზეუმს გადაეცა ის გამოცემანი, რომელთაც მუზეუმის
მოქმედების სფეროსთან აქვთ კავშირი. სამწუხაროდ უბინობის გამო
ეს ქონება დღემდი არ არის მთლად გაშლილი და ნაწილი ისევ გა-
მოუყენებელი რჩება. არც სამკითხველოსათვის არის განსაკუთრებუ-
ლი ოთახი.

საანგარიშო წლის განმავლობაში მოხდა ბიბლიოთეკის ქონე-
ბის საერთო რევიზია. რეგისტრაციაში გატარებულ იქმნა 400 ახალი
წიგნი, ბარათულ კატალოგში შეტანილ იქმნა 1000 წიგნი. ყდა
გაუკეთდა 917 წიგნს. ბიბლიოთეკას შეემატა 724 წიგნი.

საანგარიშო წელში ბიბლიოთეკას გადაეცა მუზეუმის გამოცე-
მათა საწყობი და მასვე დაევალა მათი გავრცელების გაძლილა, რო-
გორც გაცვლით, ისე გაყიდვით. ამით ბიბლიოთეკის მცირერიცხო-
ვან პერსონალს კიდევ ახალი სამუშაო დააწვა. ყოფ. კავკასიის და
საქართველოს მუზეუმის გამოცემათა ფონდით სარგებლობის საქმე
მოუწესრიგებელი იყო და თვით ფონდი აუზუსხავი. მოხდა ქონების
აღწერა, გამოყოფილ იქმნა გამოცემათა კომპლექტები, რომელთა გან-
სახლვრული რაოდენობა გადარიცხულ იქმნა რეზერვში, შემუშავებულ
იქმნა გამოცემათა, როგორც ცალად, ისე კომპლექტებად გაცემის
წესები, როგორც გაცვლით ან მიძღვნით, ისე გაყიდვით, და სხვა.
კერძოდ საკავშირო თუ უცხოეთის დაწესებულებათა თუ საზოგა-
დოებათათვის გამოცემათა გაგზავნისა და მათგან სანაცვლოს მიღების
საქმე ომის შემდეგ ძლიერ არეული იყო და ნორმალური ურთიერ-
თობის აღდგენა დიდ მიწერ-მოწერას მოითხოვდა. ეს მუშაობა
ჯერაც დამთავრებულად ვერ ჩაითვლება.

აშ. უამად მუზეუმი თავის გამოცემებს უგზავნის და სანაცვლოს

ლებულობს 104 დაწესებულებისა და საზოგადოებისაგან. მათ შორის არის 71 ს. ს. რ. კ-ში არის და 33 უცხოეთში. წლის განმავლობაში ამ გზით შემოვიდა 155 სახელწოდების გამოცემა.

საერთოდ ბიბლიოთეკის შენამატიდან 77% გაცვლით არის მიღებული, $14,5\%$ გაღმოცემული არის საქართველოს წიგნის პალატიდან და მხოლოდ 4% ყიდვით შეძენილი.

მოგვყავს იმ დაწესებულებათა და საზოგადოებათა სია, რომლებთანაც გამოცემათა გაცვლა სწარმოებდა 1926 წლის განმავლობაში:

საქართველო *

- 1) ტფილისის უნივერსიტეტი. ტფილისი.
- 2) საქართველოს გეო-ფიზიკური ობსერვატორია. ტფილისი.
- 3) ტფილისის ბოტანიკური ბალი. ტფილისი.
- 4) საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. ტფილისი.
- 5) საქართველოს ცენტრ-არქივი. ტფილისი.
- 6) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ტფილისი.
- 7) ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. ტფილისი.
- 8) სრულიად საქართველოს მონაცირეთა კავშირი. ტფილისი.
- 9) საქართველოს წიგნის პალატა. ტფილისი.
- 10) Тифлисский Государственный Политехнический Институт. ტფილისი.
- 11) Абхасское Научное Об-во. სოხუმი.
- 12) Кавказский Историко-Археологический Институт. ტფილისი.
- 13) Закавказская Научная Ассоциация. ტფილისი.

აზერბაიჯანი:

- 1) Азербайджанский Археологический Комитет. ბაქო.
- 2) Общество обследования и изучения Азербайджана. ბაქო.

სომხეთი:

- 1) Государственный Музей Армении. ეրევანი.
- 2) Государственный Университет Армении. ეրევანი.

* საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებანი და სასოგადოებანი ჩვენთან უშუალო გაცვლა-გამოცემას არ აწარმოებენ. იმათი გამოცემა ნი წიგნის პალატის მეშვეობით მოვადის.



ჩრდილო კავკასია:

- 1) Горский Педагогический Институт. კავკავი.
- 2) Северо-Кавказский Институт Краеведения. კავკავი.
- 3) Северо-Кавказская Гидро-биологическая станция. კავკავი.
- 4) Бальнеологический Институт на Кавказских Минеральных Водах. ბატიგორსკი.
- 5) Терская Окружная Станция Задачи растений. ბიატიგორსკი.
- 6) Кубано-Черноморский Краевой Научно-Исследовательский Институт. კრასბოდარი.
- 7) Ставропольское Этнографическое Об-во. სტავროპოლი.
- 8) Сельско-Хозяйственные Опытные учреждения Дона и Северного Кавказа. როსტოვი (დონი).
- 9) „Крайстазра“. Краевая Станция защиты растений. როსტოვი (დონი).

ყიმია:

- 1) Азовская экспедиция. კერი.
- 2) Керченская Ихтиологическая Лаборатория. კერი.
- 3) Государственный Никитский Ботанический Сад. იალტა.
- 4) Крымское Об-во Естествоиспытателей и Любителей природы. სიმფეროპოლი.

უკრაინა:

- 1) Украинская Академия Наук. კიევი.
- 2) Харьковское Об-во Испытателей Природы. ხარკოვი.
- 3) Всеукраинский Союз Охотников и Рыболовов. ხარკოვი.

ბელარუսი:

- 1) Центраальное Бюро Краеведения при Институте Белорусской Культуры. მინსკი.

თურქეთი:

- 1) Средне-Азиатский Государственный Университет. ტან-
- კენტი.
- 2) Туркестанский Государственный Университет. ტანკენტი.

ციმბირი:

- 1) Западно-Сибирское Отделение Русского Географического Об-ва. მოსკოვი.

რ უ ს ე თ ი:

- 1) Академия Наук СССР. ლენინგრადი.
 а,—Азиатский Музей Академии Наук. ლენინგრადი.
 б,—Ботанический Музей Академии Наук. ლენინგ-
 в,—Геологический и Минералогический музей Ака-
 демии Наук. ლენინგრადი.
 г,—Комиссия по изучению Естественно-произво-
 дительных сил СССР при Академии Наук.
 ლენინგრადი.
 д,—Музей Антропологии и Географии при Ака-
 демии Наук. ლენინგრადი.
- 2) Геологический Комитет. ლენინგრადი.
- 3) Государственный Гидрологический Институт. ლენინ-
 граდი.
- 4) Российской Академия Истории Материальной Культуры.
 ლენინგრადი.
- 5) Институт Археологической Технологии Российской Ака-
 демии Истории Материальной Культуры. ლენინგრადი.
- 6) Главный Ботанический Сад. ლენინგრადი.
- 7) Ленинградское Об-во Естествоиспытателей. ლენინგრადი.
- 8) Русское Энтомологическое Об-во. ლენინგრადი.
- 9) Центральное Бюро Краеведения. ლენინგრადი.
- 10) Государственный Исторический Музей. ლენინგრადი.
- 11) Ленинградский Лесной Институт. ლენინგრადი.
- 12) Государственный Исторический Музей. მოსკოვი.
- 13) Государственный Музей Центральной Промышленной
 Области. მოსკოვი.
- 14) Этнографо-Археологический Музей I-го Московского
 Государственного Университета. მოსკოვი.
- 15) Пловучий Морской Научный Институт. მოსკოვი.
- 16) Русское Батаническое Об-во. მოსკოვი.
- 17) Петергофский Естественно-Научный Институт. პეტერ-
 გოფი.
- 18) Об-во по изучению Тульского Края. ტული.
- 19) Пензенский Государственный Областной Музей. პენზა.
- 20) Пензенское Об-во Любителей Естествознания и Крае-
 ведания. პენზა.



ავსტრია:

- 1) Anthropologische Gesellschaft in Wien. ვენა.
- 2) Naturhistorisches Museum in Wien. ვენა.
- 3) Zoologisch-Botanische Gesellschaft in Wien. ვენა.

ბელგია:

- 1) Jardin Botanique de l'État. ბრიუსელი.

გერმანია:

- 1) Bayerische Akademie der Wissenschaften. მიუნქენი.
- 2) Botanischer Verein der Provinz Brandenburg. ბერლინი.
- 3) Deutsche Akademie der Naturforscher zu Halle. ჰალლე.
- 4) Gesellschaft für deutsche Vorgeschichte. ბერლინი-ლაიპციგი.
- 5) Nassauischer Verein für Naturkunde. გისენი.
- 6) Naturforschende Gesellschaft in Danzig. დანციგი.
- 7) Naturwissenschaftlicher Verein. ბრეմენი.
- 8) Physikalisch - Ökonomische Gesellschaft zu Königsberg. კენიგსბერგი.
- 9) Senckenbergische Naturforschende Gesellschaft. ფრანკფურტი (მაინის).
- 10) Verein für Erdkunde zu Dresden. დრეზდენი.
- 11) Westpreussischer Botanisch-Zoologischer Verein. დანციგი.
- 12) Zoologisches Museum in Berlin. ბერლინი.

ესტონია:

- 1) Naturforschende Gesellschaft bei der Universität Tartu. დორპატი.
- 2) Universitas Dorpatensis. დორპატი.

ინგლისი:

- 1) International Council by the Royal Society of London. ლონდონი.
- 2) Liverpool Biological Society. ლივერპული.

ესპანეთი:

- 1) Real Sociedad Espanola de Historia Natural. მადრიდი.

საფრანგეთი:

- 1) Museum National d'Histoire Naturelle. პარიზი.

უნგრეთი:



უნგრეთის მუზეუმი

- 1) Museum Nationale Hungaricum. ბუდაპეშტი.
- 2) Société Hongroise de Géographie. ბუდაპეშტი.

ფინეთი:

- 1) Societas pro Fauna et Flora Fennica. ჰელსინგფორსი.

შვეიცარია:

- 1) Naturforschende Gesellschaft in Basel. ბაზელი.
- 2) Société Botanique de Genève. ჟენევა.

შვედეთი:

- 1) Vitterhets Historie och Antiquitets Akademien. სტოკჰოლმი.
- 2) Geological Institution of the University of Upsala. უპსალა.

ჩეხეთ-სლოვაკეთი:

- 1) Universite Masaryk. ბრნო.

პოლლანდი:

- 1) Ethnographisches Reichsmuseum. ლეიდენი.

არგენტინა:

- 1) Edicion Oficial de las Obras Completas y Correspondencia Cientifica de Florentino Ameghino. ლა-პლატა.

იაპონია:

- 1) College of Sience Kyoto Imperial University. კიოტო.

ურუგვაი:

- 1) Museo de Historia Natural. მონტევიდეო.

შეერთებული შტატები (ჩრდილო ამერიკას).

- 1) Akademy of Natural Sciences of Philadelphia. ფილადელფია.
- 2) American Museum of natural History. ნიუ-იორკი.
- 3) Cincinnati Museum Association. ცინცინატი.



4) Library of Congress. ვაშინგტონი.

5) New-York Zoological Society of the Diseases of Animals.
ნიუ-იორკი.

6) Smithsonian Institution. ვაშინგტონი.

სამეცნიერო მუზეუმება.

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალი დატვირთული იყო მიმღინარე სამუშაოთი, იგი მანეც ახერხებდა სამეცნიერო მუშაობაც ეწარმოებია. ძოლოგიურ განყოფილებაში გამგის ი. ჩხიოვანიშვილის მიერ გარევეულ იქმნა ახლად შემოსული ორნითოვანიშვილის და ნაწილი მამალოგიური მასალისა. დაიბეჭდა მისი „საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა“ (საქართველოს მუზეუმის შრომები № 5) და „შენიშვნები და დამატებანი სატუნინის შრომის შრომები“ (საქართველოს მისათვის: Систематический каталог штиц Кавказа“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, გვ. 63—80). მზადდება „Dedrostromas leuconotus caucasicus subsp. n.“ და „მასალები საქართველოს ორნითოფაუნისათვების“.

ასისტენტი ვ. როსტომბეკოვი აწარმოებდა ურმიის ექსპედიციის მიერ (1916 წ.) დაგროვილი ჰერპეტოლოგიური მასალის შესწავლას.

უკანასკნელ ოვეებში განყოფილებაში სისტემატიკურად მუშაობდა მუზეუმის ძველი თანამშრომელი პროფ. ფ. ზაიცევი, რომელმაც დამუშავა ჯგუფი Melolonthini.

ბოტანიკური განყოფილების ასისტენტმა ე. ჭიკო ძე-აბულაძემ დაასრულა მის მიერ ატენის ხეობაში დაგროვილი Gramineae—ების გარევება.

უფრ. პრეპარატორი ე. ყარა-მურზა მუშაობდა პროფ. დ. სოსნოვსკის ხელმძღვანელობით რთულყვავილიანების გვარზე Petasites. ამ შრომის გამო მას ბაკურიანის ხეობაში წასვლაც მოუხდა.

განყოფილების ჰერბარიუმში სამუშაოდ მოდიოდენ პროფ. ს. ქურდიანი, ტფილისის ბოტანიკური ბალის უფროსი ბოტანიკოსები პროფ. დ. სოსნოვსკი და ა. გროსგეიმი, ბოტანიკოსები დ. უტკინი, თ. სულაქაძე, ლ. კემულარიანათაძი, მ. ვარდონაძე და სხ.

გეოლოგიური განყოფილების სამეცნიერო მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს გეოლოგიური ინსტი-

ტუტის მუზეუმისთან. საანგარიშო წლის განმავლობაში გამგე მუზეუმის აღ. ჯანელი იძე აწარმოებდა ტფილისის მიდამოებისა და მტკვარსა და იორს შუა მდებარე რაიონის კვლევას და განაგრძობდა რაჭისა და ოკრიბის შესწავლას. დაბეჭდა: „გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი“ (ტფილის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, გვ. 220—266) და „მდ. ვერის ხეობა ტფილისის მიდამოებში“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, გვ. 89—98), დასწერა სამურის ველის მორწყვის პროექტისათვის „მტკვარსა და იორს შუა მდებარე სივრცის ნაწილის გეოლოგია“. ამზადებს დასაბეჭდიდ „მდ. ტყიბულის პრობლემას“ და „ნატახტარის წყაროების პრობლემას“.

ასისენტი კ. თათარიშვილი ამუშავებდა მის მიერ აღმულში და შემდეგ ძირულის მასივში დაგროვებულ მასალას. დაბეჭდა: „გოხნარის მიდამოების გეოლოგია“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, გვ. 99—108).

უფრ. პრეპარატორი ი. რუხაძე ამზადებდა დასამუშავებლად მის მიერ ქუთაისის მიდამოებში შეგროვილ პალეონტოლოგიურ მასალას.

არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული განყოფილი განყოფილების გამგე გ. ნიორაძე იკვლევდა მუზეუმის ამულეტების კოლექციას და მის მიერ გათხრილი კარსნის-ხევის სასაფლაოს ინვენტარს. დაბეჭდა: „კარსნის ხევის სასაფლაო“ (საქართველოს მუზეუმის შრომები). წაიკითხა მოხსენება იმავე თემაზე (საქართველოს მუზეუმი).

ეთნოგრაფმა გ. ჩიტაია მ დაბეჭდა: „გლეხის სახლი ქვიბლიანში“ (მიმომხილველი, ტ. I, გვ. 137—156), — წაკითხულია აგრეთვე როგორც მონსენება საქართველოს საისტორიო-საითნოგრაფიო საზოგადოებაში; „ქართული ეთნოლოგია“ (იქვე, გვ. 247—261); რეცენზია: უურნ. Kaukasica, (ჩვენი მეცნიერება, № 17—18, გვ. 98—100). უფრ. პრეპარატორმა მ აკალათი იამ დაბეჭდა „ფალისის კულტი საქართველოში“ (მიმომხილველი, ტ. I, გვ. 122—136; წაკითხულია აგრეთვე როგორც მოხსენება საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში).

განყოფილებაში მუშაობდენ და კოლექციებს ეცნობოდენ პროფ. ი. ი. მეშჩანინი, ნიკოლერი კულტურის ისტორიის აკადემიის მიერ მოელინებული ს. ნ. ზამიატნინი, ე. გ. პჩელინა და სხვა.

საკვლევო ექსპრესიონი და გათხრები.

ექსკურსიების საკითხის მოსაწესრიგებლად შემუშავებულ იქმნა-



და მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ წალენჯიშვილი იქმნა ინსტრუქტორის ძირითადი დეპულებანი.

მიუხედავად უსახსრობისა, მაინც მოხერხდა საანგარიშო წლის განმავლობაში რამოდენიმე ხანგრძლივი ექსკურსიის მოწყობა, რომელთა შედეგები, როგორც მეცნიერული მიღწევების, ისე დაგროვებული სამუზეუმო მასალის თვალსაჩრიისთ დამაქმაყოფილებლად უნდა იქმნეს მიჩნეული. დაწვრილებით ანგარიშებს მკითხველი „საქართველოს მუზეუმის მოამბი“-ს შემდეგ ნომერში გაეცნობა.

ძოლოვიური განყოფილების მიერ მოწყობილ იქმნა, გარდა 4 ხანმოკლე ექსკურსიისა ტფილისის მიღამოებში, 2 ხანგრძლივი:

1. დედოფლის წყაროს მიღამოებში (ალაზნის ველი), 10 დღე. განყოფილების გამვე და კ. კ რ ე ლ ი.
2. ოლაზნის ხეობის მარცხენა მხარეში შილდას ზემოთ, 22 დღე. განყოფილების გამვე და პრეპ. ვ. რ ე ი შ ი.
3. თითო დღის ექსკურსია 10, თელეთის ქედზე ე. ქიქოძის და ევ. ყ ა რ ა-მ უ რ ზ ა ს მონაწილეობით.
4. ერთი ექსკურსია კოჯორში და ქოროლლის მიღამოებში. ელ. ქიქოძ ე. 2 დღე.
5. ერთი ექსკურსია ბაკურიანის მიღამოებში. 3 დღე. ევ. ყ ა-რ ა-მ უ რ ზ ა.
6. ექსკურსია ატენის ხეობაში. მონაწილენი: ე ლ. ქიქოძ ე და ევ. ყ ა რ ა-მ უ რ ზ ა. 10 დღე. ეს ექსკურსია შეთანახმებული იყო პროფ. დ. სოსნოვსკის ექსკურსიასთან იმავე რაიონში.

გოლოვიურ განყოფილებას, გარდა ერთისა, მუზეუმის ხარჯზე ექსკურსიები არ მოუწყვია. ეს იყო:

1. ერთი ექსკურსია აღმულალის მიღამოებში, ასინტენტის კ. თათარიშვილისა. 10 დღე.

მაგრამ საქართველოს გეოლოგიურ ინსტიტუტთან მჭიდრო კავშირის გამო განყოფილების თანამშრომლებს შეეძლოთ ფართოდ ეწარმოებიათ საველე მუშაობა.

განყოფილების გამგემ შეასრულა შემდეგი ექსკურსიები:

